პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური & თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. რუსთაველის
პროსპ. № 16. მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.— 1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 16 აპრილი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 86 (2734)

დღიური

- ინგლისის ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება.
- რეპრესიები პირველი მაისის წინ ლატვიაში.
- გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო კანონი საბაჟო გადასახადების შესახებ.
- დააპატიმრეს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის თავმჯდომარე ჯავახარლალ ნერუ.
- რევოლუციური პროფოპოზიციის ბრწყინვალე გამარჯვება რურის ოლქში.
- საბჭოთა კავშირში მოემგზავრებიან გერმანელი მუშა-სპორტსმენები.
- ზომები ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში.

ა.-კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციების საყურადღებოდ

ა.-კ. კომუნისტური ორგანიზაციების VI ყრილობა

მოწვეულია 1930 წლის 1-ლ ივნისისათვის

ყრილობის დღის წესრიგი:

1) საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში;
2) ა.-კ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიში;
3) საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
4) ამიერ-კავკასიის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება;
5) საკოლმეურნეო მოძრაობა და სოფლის მეურნეობის ზრდა ამიერ-კავკასიაში;
6) არჩევნები.

ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა:

1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით პარტიის 150 წევრზე; ერთი დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით პარტიის 300 კანდიდატზე.

ზემოაღნიშნულ რაოდენობის გარეშე სათათბირო ხმა არავის მიეცემა.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი: კრინიცკი.

„კომუნისტი"-ს რედაქცია გადავიდა
ახალ ბინაზე
რუსთაველის პროსპექტი № 16
ტელეფონები: რედაქტორის—14—76, მდივნის—10—58
მასიური მუშაობის განყოფილება—22—44.

არ დავივიწყოთ ინდივიდუალური მეურნეობა

კოლმეურნეობათა მშენებლობის ფართოდ გაშლამ გამოიწვია ბევრგან ყურადღების შესუსტება ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებისადმი. მიუხედავათ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების კატეგორიული დირექტივებისა, ბევრგან საკოლმეურნეო მოძრაობით „თავბრუდახვეული" ამხანაგები უკანა რიგში აყენებენ იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებს, რომელნიც ჯერ კიდევ არ გაერთიანებულან კოლექტივებში, ან გავიდენ კოლმეურნეობებიდან.

გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის **უპირველესი ამოცანაა ნათესი ფართობის გადიდება არა მარტო განსაზოგადოებულ (საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში), არამედ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებშიც.** ზოგიერთებმა კი დაივიწყეს ეს ანბანური ჭეშმარიტება და მთელი თავისი საქმიანობა **მხოლოდ** კოლექტიურ მეურნეობებით განსაზღვრეს. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდა, თესვის გეგმას საფრთხე მოელის; ან, როგორც ნათქვამია ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებაში, ადგილობრივ აღმასკომების და საბჭოების უყურადღებობა ინდივიდუალურ მეურნეობებისადმი ჰქმნის იმის საფრთხეს, რომ „საერთო დავალებანი ნათესი ფართობის გადიდების შესახებ არ იქნება შესრულებული".

ნათესი ფართობის გეგმის შეუსრულებლობა კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მომავალ წელს ვერ გავაუმჯობესებთ ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობას, ვერ გავიტანთ პურს უცხოეთში, ვერ გავადიდებთ პურის სარეზერვო ფონდს, რომელიც აუცილებლად საჭიროა ამა თუ იმ სტიქიური უბედურების დროს, ვერ მივაწოდებთ მრეწველობას საჭირო ნედლეულს (სელი, ბამბა, კენაფი და სხვა). პურის და სამრეწველო ნედლეულის მეტი რაოდენობით მიღება, სათესი ფართობის გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდის მეოხებით, ჩვენი ხუთწლიანი გეგმის განუყოფელი ნაწილია; ის ხელს უწყობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და მუშათა კლასის უზრუნველყოფას: დიდი შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ მხოლოდ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებზე დაყრდნობით შევძლებთ მომავალ წელს ჩვენი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას პურით და სამრეწველო ნედლეულით.

ასეთ პირობებში უყურადღებობა ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებისადმი დანაშაულია, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია სოციალისტურ მშენებლობისათვის. ის, ვინც აღმაცერად უცქერის პარტიის დირექტივას ინდივიდუალურ მეურნეობებში სათესი ფართობის გადიდების შესახებ, — ის ხელს უშლის ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, აბრკოლებს ინდუსტრიალიზაციის აღებულ ტემპს. ეს გარემოება გვავალებს, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებაში, რომ დარჩენილი კვირეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა თვითეულ ღარიბ და საშუალო გლეხს არ დარჩეს დაუთესავი მიწა. ამისათვის კი აუცილებელია ყოველმხრივი დახმარების გაწევა ხელმოკლე გლეხებისათვის სათესლე მასალით, სამეურნეო იარაღებით და სხვა საშუალებებით. ხსენებული დადგენილება პირდაპირ მოითხოვს, რათა იმ კოლმეურნეობებმა, რომლებმაც დაამთავრეს თესვა, ფართო დახმარება გაუწიონ ხელმოკლე ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელთაც უნდათ შეასრულონ თესვის გეგმა, მაგრამ არ აქვთ ამის შესაძლებლობა".

ნათესი ფართობის გადიდებისათვის აუცილებელია, რათა ღარიბი და საშუალო გლეხები იცნობდნენ იმ შეღავათებს, რომელნიც მათ აქვთ მინიჭებული სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალი კანონით. კერძოდ, უნდა განემარტოს ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომ გადიდებული სათესი ფართობი არ იბეგრება, როგორც იყო ეს გასულ წლებში. მაგრამ შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ მეურნემ განზრახ არ გადიდოს სათესი ფართობი, პირიქით, საპატიო მიზეზის გარეშე კიდეც შეამციროს ის. ასეთ შემთხვევაში, როგორც ნათქვამია ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებაში, „ის დაიბეგრება გასულ წლის ნათესი ფართობის მიხედვით, ხოლო მისთვის გამოყოფილი მიწა დაითესება კოლმეურნეობების მიერ თავის სასარგებლოდ".

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნათესის გადიდებაში მიწათმოწყობის სისწორით გატარებას. ბევრგან დამახინჯებულად გაიგეს უმაღლეს ორგანოების დადგენილება კოლმეურნეობების მიწების პირველ რიგში მოწყობის და კოლმეურნეობებისათვის უკეთესი და უფრო გამოსაყენებელი მიწების [illegible] შესახებ. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებში არ შესულ ან კიდევ იქიდან გამოსულ ინდივიდუალურ მეურნეობებს აძლევენ მივარდნილ და მწირ მიწებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია მათთვის უკეთესი მიწის მიცემა. საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება მოითხოვს ასეთი პრაქტიკის დაუყოვნებლივ აღკვეთას. თუ კი კოლმეურნეობათა მინდვრის გარეშე შესაძლებელია მიეცეს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს ვარგისი მიწები, ამის შეუსრულებლობა იქნებოდა უხეში ადმინისტრატიული აქტი კოლმეურნეობებში არ შესულ ან კოლექტივიდან გამოსულ გლეხების მიმართ.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ შემთხვევებს, როდესაც კოლმეურნეობიდან გამოსულ გლეხს არ უბრუნებენ თავის სათესლე მასალას და ამით საფრთხეში აგდებენ მის მიერ განზრახულ ფართობის დათესვას. კოლმეურნეობიდან გამოსულ თვითეულ ინდივიდუალურ მეურნეს უნდა მიეცეს თავისი სათესლე მასალა, მაგრამ ამავე დროს მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზომები, რათა დაბრუნებული სათესლე მხოლოდ თესვისათვის იქნას გამოყენებული.

ყველა ეს ღონისძიებანი უზრუნველყოფს ნათესი ფართობის გადიდებას ინდივიდუალურ მეურნეობაში. და ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ამოცანაა ფართო პოპულიარიზაცია საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს გუშინ გამოქვეყნებულ დადგენილების, რომელიც შეიცავს ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების სათესი ფართობის გადიდებისათვის ხელისშემწყობ ზომებს.

კოლმეურნეობათა მშენებლობისადმი ფართო ყურადღება არ ნიშნავს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მივიწყებას. დღევანდელ პირობებში ჩვენი ამოცანაა—ყოველმხრივ გავამაგროთ, გავაუმჯობესოთ არსებული კოლექტიური მეურნეობანი და არავითარ შემთხვევაში არ დავივიწყოთ კოლექტივებში გაუერთიანებელი და კოლექტივებიდან გამოსული ინდივიდუალური მეურნეობანი.

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმების პირობები

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა საკავშიროო-დასავლეთ სავაჭრო პალატის ინგლისის სექციის გახსნაზე

ეკონომიური კრიზისი გერმანიაში.—თვითმკვლელობათა გახშირება მასების გაღატაკების გამო

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება

დალტონის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 14 აპრილი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, **დალტონმა** თემთა პალატაში შეკითხვების საპასუხოდ განაცხადა, რომ დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან დროებითი სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. ძირითად საკითხებში მხარეები შეთანხმდენ.

დალტონის სიტყვით ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო სავაჭრო-ების საქმეში უპირატესობის პრინციპი ორივე მხარისთვის, აგრეთვე ორივე სახელმწიფოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი ზოგიერთი სპეციალური შეზღუდვით ნაოსნობის საკითხში. ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობას ანიჭებს უფლებას — იყოლიოს ლონდონში სავაჭრო დელეგაცია სავაჭრო წარმომადგენლის და ორი თანამშრომლის შემადგენლობით, რომელნიც საბჭოთა საელჩოს ნაწილს შეადგენენ. ამ სამ პირს მინიჭებული ექნება დიპლომატიური პრივილეგიები (ხმები კონსერვატორების სკამებიდან: „სირცხვილი"), ხელშეუხებლობის უფლება; ხელშეუხებლობის უფლება გავრცელდება აგრეთვე დელეგაციის იმ სპეციალურ სადგომებზე, რომლების გამოყენებაც მხოლოდ სავაჭრო მიზნებისათვის შეიძლება.

შემდეგ დალტონმა განაცხადა, რომ სავაჭრო პრივილეგიებს ძალა არ ექნება იმ სავაჭრო გარიგებათა გამო ჩამოვარდნილი დავის სასამართლოში განხილვის დროს, რომლებსაც დელეგაცია ინგლისში დასდებს. დალტონმა აღნიშნა, რომ დროებითი ხელშეკრულება, რომელზედაც უარის თქმა ყოველთვის შეიძლება, თუ კი ერთი მხარე ექვსი თვით ადრე გააფრთხილებს მეორე მხარეს, მახლობელ დროში, როგორც ვიმედოვნებთ, ძალაში შევა, საბოლოო სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე.

კონსერვატორ **ვუდის** შეკითხვაზე — გამოქვეყნდება თუ არა ხელშეკრულება დაუყონებლივ და დაურიგდება თუ არა იგი თემთა პალატის წევრებს, — დალტონმა უპასუხა, რომ ხელშეკრულება თეთრი წიგნის სახით მალე გამოქვეყნდებაო. (ადს).

ლონდონი, 15 აპრილი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დალტონს თემთა პალატაში შეეკითხნენ — შეუძლია თუ არა მას იმის გარანტიის მიცემა, რომ საბჭოთა კავშირთან არ იქნება დადებული ახალი სავაჭრო ხელშეკრულება იმ დრომდე, სანამ საბოლოოდ არ მოგვარდება საბჭოთა მთავრობის მიერ ინგლისის მოქალაქეთა ვალების გადახდის საკითხი. დალტონმა მიუთითა თავის 20 მარტის პასუხზე და დაუმატა, რომ სავაჭრო შეთანხმება ფაქტიურად უკვე დადებულია და, რომ მოლაპარაკება ვალებისა და პრეტენზიების მოგვარების შესახებ მოხდება იმ მოლაპარაკებასთან ერთად, რომელიც იწარმოებს საბოლოო სავაჭრო ხელშეკრულების დადების ირგვლივ. ეს მოლაპარაკება კი დაიწყება დროებითი სავაჭრო ხელშეკრულების ხელისმოწერის შემდეგ. (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი, 15 აპრილი. ზეიმით გაიხსნა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სავაჭრო პალატის ინგლისური სექცია. გახსნას დაესწრნენ ამხ. ლიტვინოვი, ინგლისის ელჩი ოვეი, ინგლისის საელჩოს მოხელენი, სავაჭრო საქმეთა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების და ს.მ.უ. საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელნი და სხვანი.

სხდომა გახსნა პალატის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ხინჩუკმა, რომელმაც დაახასიათა პალატის მიზნები და იმედი გამოსთქვა, რომ მუშაობა იწარმოებს ინგლისთან თანამშრომლობით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ორივე ქვეყნის სავაჭრო და სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

შემდეგ ილაპარაკა ოვეიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ორივე მხარემ თავიანთ სავაჭრო ურთიერთობაში ყოველივე გაუგებრობის თავიდან აცილებისათვის, უნდა ისწავლონ ერთმანეთის პატივისცემა. ეჭვი არ არის, ფართოვდება ის სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია ორი ქვეყნის ინტერესებზე.

ინგლისის საელჩოს კომერციულმა მრჩეველმა **ნეიტონმა** გამოსთქვა რწმენა, რომ სექცია ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიურ დაახლოვებას.

შემდეგ გამოვიდა **ლიტვინოვი**, რომელიც აგრეთვე მიესალმა სექციის გახსნას. მან აღნიშნა, რომ იმ ზომებთან ერთად, რომლებიც მიღებულია სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის, მალე გვექნება ახალი ფაქტორი — ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმება.

— გამოცდილებამ დაგვანახვა, — სთქვა ამხ. ლიტვინოვმა, — რომ ურთიერთობა ვერ განვითარდება თუ მხარეთა შორის არ არსებობს პირობა, რომელიც გამოხატულია სავაჭრო შეთანხმების სახით. იქ, სადაც არის ეკონომიური დაინტერესება, მაგრამ არ არსებობს უფლებრივი ბაზა, ორი ქვეყნის ურთიერთობას მრავალი დაბრკოლება ელობება. ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ურთიერთობა საფრანგეთთან. საბჭოთა კავშირშიაც და საფრანგეთშიაც კარგად ესმით, რომ ორივე ქვეყანას შეუძლია ეკონომიურად გამოადგნენ ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა ბოროტი პირები და საპატიო დაწესებულებებიც კი სავაჭრო ურთიერთობის უფლებრივი ბაზის არ არსებობას იყენებენ ამ ვაჭრობის საზიანოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან შეიძლება მალე საბოლოოდ შეფერხდეს და შეიბოჭოს".

ამხ. ლიტვინოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა იმით, რომ მიესალმა პალატას და ახლად გახსნილ ინგლისურ სექციას.

[illegible] მიღების შემდეგ მოხდა [illegible] პრეზიდიუმის არ[illegible] [illegible]იუმის თავმჯდომა[illegible] საბჭოთა კავშირის [illegible]ატის კოლეგიის წე[illegible]დება სუ[illegible] [illegible]ინოვიჩი, თავმჯდომარის [illegible]ლით ინგლისის საელჩოს კომე[illegible]ული მრჩეველი ნეიტონი (ადს).

ინგლისის ფეიქრების ბრძოლა

ბრედფორდის რაიონში საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება

ბრედფორდი, 14 აპრილი. ბრედფორდის რაიონში საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება მიუხედავად იმისა, რომ გავრცელდა ხმა, [illegible] ზოგიერთ საწარმოში გაფიცულებმა, ფეიქართა რეფორმისტული პროფკავშირის [illegible], მუშაობა განაახლეს. ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა, როგორც კი მიიღო ცნობები, რომ ზოგიერთ საწარმოში მუშაობას განახლებას აპირებენ, დაუყოვნებლივ მუშათა პიკეტები დააყენა, სამუშაოზე არავინ გამოვიდა. სხვა ოლქებიდან მიღებული ცნობებით, იქ გაფიცვა მოედო საწარმოთა 90 პროცენტს.

წარმოებისა ახლა წინააღმდეგნი არიან ფეიქართა რეფორმისტული ტრედიუნიონის წინადადებისა მუშაობის განახლების შესახებ იმ დრომდის ინდივიდუალური შეთანხმებების საფუძველზე (შეთანხმება ყოველმა საწარმომ ცალკე უნდა დასდოს), რომელიც ჰგულისხმობს შრომის ხელფასის შემცირებას 5 პროცენტით. მწვავდება ბრძოლა იმ რაიონებში, სადაც გაფიცვაა. მარტო ერთი დღის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქში ადგილობრივმა ხელისუფლებამ 8 გაფიცული მუშა დააპატიმრა. დაპატიმრებულებს იმავე დღეს ჯა[illegible] გადაუწყვიტეს. (ადს).

უმცირესობის მოძრაობის ცენტრ. კომიტეტის მოწოდება

ბრედფორდი, 15 აპრილი. უმცირესობის მოძრაობის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა გაფიცულ ფეიქრებს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ერთად-ერთი ძალას გენერალურ საბჭოს და ტრედიუნიონთა კონგრესის და მათი მომხრე რეფორმისტული პროფკავშირების მოღალატური პოლიტიკის დასაპირისპირებლად **წარმოადგენს** უმცირესობის მოძრაობა, რომელიც მეთაურობს ინგლისის მუშათა ბრძოლას რაციონალიზაციისა, შრომის ხელფასის შემცირებისა და უმუშევრობის წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ფეიქრებს — გააფართოონ მოძრაობა და შექმნან მოქმედების კომიტეტები ყველა საფეიქრო საწარმოებში. მოქმედების კომიტეტებს ხელმძღვანელობა უნდა უწიოდეს ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი. უმცირესობის მოძრაობის ცენტრალური კომიტეტი კისრულობს— აამოძრაოს მუშათა მასები მთელ ინგლისში ფეიქართა დასახმარებლად და დახმარება სთხოვოს წითელი პროფინტერნის ყველა სექციებს.

მოწოდება თავდება წინადადებით გაფიცულ ფეიქართა დელეგატების გაგზავნის შესახებ მოსკოვში. პროფინტერნის მომავალი მე-5 კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ცეცხლფარეშთა და მემანქანეთა პროფკავშირი წინადადებას აძლევს თავის წევრებს— შეწყვიტონ მუშაობა იმ საფეიქრო საწარმოებში, სადაც მუშაობენ შტრეიკბრეხერები.

იუნგის გეგმის შესრულება

გერმანიის მშრომელთა ხარჯზე

რეიხსტაგმა მიიღო კანონი ახალი გადასახადების შესახებ

ბერლინი, 14 აპრილი. რეიხსტაგმა 250 ხმით 203-ის წინააღმდეგ მიიღო მთავრობის წინადადება ბენზინის და ბენზოლის საბაჟო გადასახადების გადიდების შესახებ და ის კანონი, რომელიც მთავრობის წინადადებას საბაჟო პოლიტიკის საკითხების შესახებ აერთიანებს აგრარულ პროგრამასთან. მთავრობის წინადადებას ხმა მისცეს მთავრობის პარტიებში და ნაციონალისტების დიდმა უმრავლესობამ. თვით ბურჟუაზიული დეპუტატების ნაწილიც კი დიდი წინააღმდეგი იყო გადასახადის დაწესებისა ლუდზე და უნივერსალური მაღაზიების და კოოპერაციის საქონლის ბრუნვაზე. მიუხედავად ამისა, წინადადება მიღებულ იქნა 228 ხმით 224 ხმის წინააღმდეგ. წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, სოციალ - დემოკრატებმა, ნაციონალ - სოციალისტებმა და ნაციონალისტებმა. (ადს).

მშრომელი მასების გაღატაკება

ბერლინი, 14 აპრილი. მშრომელი მასების გაღატაკების გამო გერმანიაში არაჩვეულებრივად გახშირდა თვითმკვლელობა, რომელიც ამჟამად სამრეწველო ცენტრებში ეპიდემიის ხასიათს ღებულობს. ბერლინში უკანასკნელ პარასკევს თვითმკვლელობის 16 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მთელს გერმანიაში 1929 წელს აღირიცხა 17.000 თვითმკვლელობა. (ადს).

რევოლუციონური პროფოპოზიციის გამარჯვება

რურის ოლქში

ბოხუმს გარდა პროფოპოზიციამ ყველგან გაიმარჯვა

ბერლინი, 14 აპრილი. რურის ოლქის ფაბკარკომების არჩევნები რევოლუციონური პროფოპოზიციის დიდი გამარჯვებით დამთავრდა. რურის სამთო მრეწველობის 106 მაღაროში პროფოპოზიციამ მიიღო 68.769 ხმა, რეფორმისტებმა კი მიიღეს 61.291 ხმა. ოპოზიციამ დიდ წარმატებას მიაღწია მრავალ მსხვილ საწარმოში, როგორც, მაგალითად, კრუპის, ხერდერის და სხვათა საწარმოებში. ერთად-ერთი სერიოზული დამარცხება პროფოპოზიციამ განიცადა ბოხუმის არჩევნებში. საქსონიაში წითლების სიებმა მიიღეს 32.161 ხმა (549 მანდატი), რეფორმისტებმა — 29.165 ხმა (382 მანდატი). ლორენცის საქციო საზოგადოების საწარმოებში (ბერლინში) ოპოზიციამ მიიღო 9 მანდატი, რეფორმისტებმა — 5 (ადს).

მდგომარეობა ინდოეთში

განდის ინიციატივით და[illegible] მოძრაობა დასახულ ჩარჩოებს არ გასცილებია

ლონდონი, 14 აპრილი. რეიტერის გადმოცემით, თემთა პალატაში შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს ინდოეთის საქმეთა მინისტრმა **ვეჯვუდ ბენმა** განაცხადა, რომ ინდოეთში განდის ინიციატივით დაწყებული მოძრაობა დასახულ ჩარჩოებს არ გასცილებიაო.

ბენის აზრით, მღელვარება ინდოეთში მარტო იმით არ არის გამოწვეული, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა მარილის კანონით. ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენს იმის ცდა, რომ ეს უკმაყოფილება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებისათვის. ამან უკვე ჰპოვა გამოხატულება რამდენსამე დემონსტრაციაში, რომლებიც პოლიციასთან შეტაკებით დამთავრდა.

შემდეგ ბენმა განაცხადა, რომ იგი სავსებით ენდობა იმ ზომებს, რომლებსაც ინდოეთის მთავრობა ღებულობს ამბების განვითარების მიხედვით. (ადს).

სამოქალაქო ურჩობის კამპანია

ლონდონი, 14 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლუკნოვში (ინდოეთი) ხაზინის მონოპოლიის კანონის დარღვევისათვის ხელისუფლებამ დააპატიმრა 16 კაცი. დაპატიმრებულთა შორის არის სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე, აგრეთვე ამავე კონგრესის აღმასკომის ერთი წევრი.

კალკუტაში დამთავრდა კალკუტის მერის, სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წევრის სენ გუპტის და 4 სტუდენტის პროცესი. ხუთივეს მიუსაჯეს 6 თვის პატიმრობა „შეთქმულების მოწყობისა და ამბოხებისათვის".

სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ბომბეის ორგანიზაციამ დაადგინა გამოაცხადოს გლოვის დღე ნერუს დაპატიმრების გამო. ბომბეის ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ მოხალისენი, რომელნიც მოსახლეობას ატყობინებდნენ ორგანიზაციის გადაწყვეტილებას.

როგორც რეიტერი ბომბეიდან იუწყება, ბომბეის პროვინციაში საგრძნობლად გაძლიერდა სახელმწიფო მოსამსახურეთა ბოიკოტი (ადს).

ჯავახარლალ ნერუს დაპატიმრება

ლონდონი, 14 აპრილი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჩეკის რკინის გზის სადგურებზე დააპატიმრეს ნაციონალური კონგრესის თავმჯდომარე პანდიტ ჯავახარლალ ნერუ, რომელსაც მარილის მონოპოლიის კანონის დარღვევას აბრალებენ. ბომბეიში, როგორც კი გაიგეს ნერუს დაპატიმრების ამბავი, რამდენიმე წუთის შემდეგ საფონდო - სასაქონლო ბირჟაზე შესწყდა ყოველგვარი ოპერაცია. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავარი საქმე თვით განდი კი არა, შექმნილი მდგომარეობაა.

ლონდონი, 14 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გოლახაბადში პანდიტ ჯავახარლალ ნერუს მიუსაჯეს 6 თვის პატიმრობა. ნერუს გასამართლება მოხდა ცენტრალურ საპატიმროში. საპატიმროს შენობის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. დემონსტრანტები გამოვიდნენ ინდოეთის ეროვნული დროშით (ადს).

დემონსტრაციები და პროცესიები ინდოეთის სხვადასხვა ცენტრებში

ლონდონი, 14 აპრილი. რეიტერის სააგენტო ბომბეიდან იუწყება:

„დამოუკიდებლობის კვირის" უკანასკნელ დღეს ინდოეთის სხვადასხვა ცენტრებში გაიმართა დემონსტრაციები და პროცესიები. განდი და მოხალისენი ნაწილობრივ მარხულობენ. ისინი პურს 36 საათში ერთხელ სჭამენ (ადს).

პოლიტიკური მდგომარეობა ინგლისში

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლიბერალების და ლეიბორისტების შეთანხმება—არჩევნები მხოლოთ ორი წლის შემდეგ მოხდება.—მექსტონის გარიყვა

ინგლისის შინაგან პოლიტიკურ მდგომარეობაში ცვლილება მოხდა. ეს ცვლილება გამოწვეულია შეთანხმებით, რომელიც განხორციელდა ლლოიდ ჯორჯის პატარა ლიბერალურ ჯგუფსა და მუშათა პარტიის ბელადებს შორის. ეს ფაქტი საჯაროთ უარყოფილ იქნა, სხვათა შორის სნოუდენის ცოლის მიერ, რომელიც ინგლისის პოლიტიკური სცენის კულისებში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საზოგადოთ ლეიბორისტულ („მუშათა პარტიის") წრეებში შეეცადენ გაებათილებიათ შთაბეჭდილება, რომელიც ბოლო დროის პარლამენტურმა მოვლენებმა მოახდინა, მაგრამ საყურადღებოა, რომ თვით ლიბერალები სდუმან და თავიანთი დუმილით ადასტურებენ შეთანხმების ფაქტს.

ესეც არ იყოს საყოველთაოთ ცნობილი ამბების უარყოფას დაინტერესებული მხარეების მიერ სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ძალაუნებურად ფაქტებს უნდა გაუწიოთ ანგარიში. ფაქტები კი აუცილებლათ ამტკიცებს, რომ შეთანხმება რეალურათ განხორციელდა. მართლაც, თუმცა ლლოიდ ჯორჯი საჯაროთ იუწყებოდა მთელი ჩემი ჯგუფი ხმას მისცემს მაღაროთა რეფორმის კანონპროექტის წინააღმდეგ და მაკდონალდის მთავრობას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ იგი ზნეობრივათ იძულებული იქნება გადადგესო, ნამდვილათ, როცა პროექტის წინააღმდეგ ორმა ლიბერალმა დეპუტატმა შესწორება შეიტანა, ლლოიდ ჯორჯის ჯგუფმა სხდომა მოიწვია, რის შედეგათ ეს შესწორება უკან წაღებულ იქნა და მთავრობაც გადარჩა.

რით უნდა აეხსნათ ეს ნახტომი?

ლლოიდ ჯორჯი თემთა პალატაში შეეცადა თავი გაემართლებია იმით, რომ არ მინდოდა მთავრობა შეჭირვებულ მდგომარეობაში ჩამეგდო, იმ დროს, როცა საზღვაო კონფერენცია ასე ცუდათ მიდიოდაო. მაგრამ ეს ისეთი განმარტებაა, რომ მას ყველანი სიცილით შეხვდნენ თვით ლიბერალების და ლეიბორისტების სკამებზე. თუ ლიბერალთა ბელადის ზრახვები მართლაც ასეთი ყოფილიყო, ის ერთი კვირით ადრე უმცირესობაში არ დასტოვებდა მთავრობას, მიტომ, რომ საზღვაო კონფერენცია არც მაშინ მიდიოდა უკეთ.

საქმე სხვანაირათაა. გავიხსენოთ რომ ლიბერალების ფრონტის შეცვლა უშუალოთ მოჰყვა „პოლიტიკურ საუზმეს", რომელიც სნოუდენმა გამართა, გავიხსენოთ, რომ თვით სნოუდენი დიდი ხანია გულმხდილად მუშაობს ლიბერალების და ლეიბორისტების დასაახლოებლათ. ამ საუზმეს დაესწრნენ ლლოიდ ჯორჯი და ლიბერალების ბელადები, აგრეთვე სნოუდენი, მაკდონალდი, ტომასი და მთავრობის სხვა წევრები.

აუცილებელია, რომ იქ შეთანხმება მოხდა.

საყოველთაოდ ცნობილია, და ფაქტებიც ამას ადასტურებს, რომ [illegible] წლის დასაწყისამდე ლლოიდ ჯორჯს უნდოდა დაეცა ლეიბორისტული მთავრობა, რომელმაც ერთგვარი დამოუკიდებლობა გამოიჩინა მის მიმართ. ლლოიდ ჯორჯი ასე მსჯელობდა: მთავრობის დამარცხებას არ შეუძლია საპარლამენტო არჩევნები მოჰყვეს, მიტომ, რომ ეს არც ერთს პარტიას არ სურს, არც ერთი პარტია მომზადებულიც არ არის ამისათვის; მაშასადამე მაკდონალდის გადადგომას მოჰყვება „ადმინისტრატიული" მთავრობა, [illegible] თი ლეიბორისტებიც, როგორიც ტომასი და სნოუდენია, ზომიერი კონსერვატორებიც და ლიბერალებიც, მაგრამ მთავრობის მეთაური (ლლოიდ ჯორჯის აზრით) თვით ლლოიდ ჯორჯი იქნება. მაგრამ ეს გეგმა, რომელიც ლიბერალების ბელადმა განიზრახა, არ განხორციელდა, სანამ მის პარტიაში გახეთქილება არ მოხდა. მეორე მხრით მაკდონალდმა განაცხადა, თუ მთავრობა ხელახლა უმცირესობაში დარჩება მაღაროთა კანონპროექტის განხილვის დროს, თვით პროექტს თავს დავანებებთ, მაგრამ გადადგომით კი არ გადადგებითო. ამ დეკლარაციას მოჰყვა მემაღაროეთა ფედერაციის მუქარა, აჯანყებას მოახდენს ლეიბორისტული მთავრობის წინააღმდეგ, თუ მან დასთმო კანონპროექტი მაღაროთა შესახებო. ლლოიდ ჯორჯმა, რომელიც მარჯვეა პოლიტიკური სიტუაციის გამორკვევაში, იგრძნო, რომ იგი წააგებდა, თუ უნაყოფო ოპოზიციის პოლიტიკას განაგრძობდა და შესაფერ მომენტში დახმარება შესთავაზა ლეიბორისტულ მთავრობას. მის წინადადებას მთავრობის წრეებში თანაგრძნობით შეხვდნენ. ამ დროს შედგა ზემოხსენებული „პოლიტიკური საუზმე", რომელსაც უშუალოთ მოჰყვა ლიბერალების მიერ მთავრობისათვის მხარის დაჭერა.

ეს არ არის მოკლევადიანი შეთანხმება, დადებული მხოლოდ მთავრობის უზრუნველსაყოფად საპარლამენტო დამარცხებისაგან. მას ბევრათ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ნამდვილად იგი ლიბერალების და ლეიბორისტების კავშირს წარმოადგენს.

უკვე ცნობილია, თუ რა პირობები წაუყენა ლიბერალების ბელადმა ამ მოლაპარაკების დროს. თავისი პარტიის ასაღორძინებლად მას სჭირდება საარჩევნო რეფორმა, რომელიც გააძლიერებს ლიბერალების წარმომადგენლობას პარლამენტში თანახმად მათი ამრჩევლების რიცხვისა. ხოლო თუ ლლოიდ ჯორჯს თემთა პალატაში უფრო მრავალრიცხოვანი რაზმი ეყოლა, მისი პოლიტიკური როლი გაიზრდება და იგი შეიძლება ხელახლა სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას, რის იმედიც მას არასოდეს არ დაუკარგავს. მაგრამ საარჩევნო რეფორმის გასატარებლად წელიწადნახევარი მაინც არის საჭირო. მაშასადამე, თუ რაიმე ახალმა დაბრკოლებამ არ იჩინა თავი, მუშათა პარტიის მთავრობა გადარჩენილია ორიოდე წლის გასვლამდე. რა მნიშვნელობა აქვს ამ პირობებში მუშათა ინტერესებს, რომელსაც ვითომდა ლეიბორისტების ბელადები იცავენ? მუშათა ინტერესები? ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ „მუშათა პარტია" თავს იწუხებს ამისათვის? ისე დღე არ გავა, რომ მათ ამ ინტერესებს არ უღალატონ აღმაშფოთებელი ცინიზმით.

ამ ლიბერალურ-ლეიბორისტულ დაახლოებას, ან უკეთ ვსთქვათ, პოლიტიკურ კავშირს, შედეგათ მოჰყვა ის ამბავი, რომ მემარცხენე ლეიბორისტების პატარა ჯგუფი, რომელიც ოციოდე დეპუტატისაგან შესდგება, გარიყული იქნება მემარჯვენეების მეცადინეობის წყალობით. იმ დღეს, მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე, ჰენდერსონმა გარკვეულათ განაცხადა, ვისაც არ სურს მთავრობას დაემორჩილოს, შეუძლია მიბრძანდესო. ეს ულტიმატუმია და მოსალოდნელია, რომ მექსტონის ჯგუფი გაძევებული იქნება მუშათა პარტიიდან.

მექსტონმა და მისმა ამხანაგებმა მოიმკეს ის, რაც დათესილი ჰქონდათ, რათა ლეიბორისტული მთავრობის სახე დაეცვათ, რათა სოციალ-ფაშისტების ბელადების მოღალატობა დაეფარათ, ისინი სიტყვიერ ოპოზიციას აწარმოებდნენ, მაგრამ როცა მთავრობა განსაცდელში ჩავარდებოდა, ყოველთვის მას აძლევდნენ ხმებს. მათ სახელი გაიტეხეს თავიანთი დემაგოგიური სიტყვებით, თავიანთი „რევოლუციონური" ფრაზეოლოგიით, რასაც თანსდევდა სრული უძლურება მოქმედების დარგში. ახლა ისინი მძიმე ტვირთათ გადაიქცნენ მუშათა პარტიისათვის, რომელიც უზრუნველ[illegible]. მაკდონალდს და მის დამქაშებს სურთ თავიდან მოიშორონ მემარცხენეების ჯგუფი, მით უმეტეს, რომ დარწმუნებული არიან ამ ჯგუფს გავლენა არ აქვს მასებში. მაკდონალდსა და მის მიმდევრებს უშინიათ არა მექსტონისა და მისი ოციოდე თანამებრძოლისა, არამედ ინგლისის კომპარტიისა, რომლის აქტივობა დღითი დღე უფრო სახიფათო ხდება მათთვის.

ქ. დავიდ.

ლონდონი, 1 აპრილი.

რეპრესიები პირველი მაისის წინ ლატვიაში

რესპუბლიკის მთავრობა მეფის ჟანდარმებს ჰბაძავს

რიგა, 15 აპრილი. კვირას პოლიციის რაზმი თავს დაესხა მუშათა მასიურ კრებას, რომელიც მუშებმა მოაწყვეს რიგის მახლობლად, ტყეში. კრება მოწვეული იყო მაისის დღესასწაულის მოსამზადებლად.

პოლიციამ კრება გარეკა. კრების 89 მონაწილე დააპატიმრეს. თვით ქალაქში მუშებმა რამდენჯერმე სცადეს კრების გამართვა, მაგრამ პოლიციამ ისინი გარეკა.

ბურჟუაზიული და სოციალ - დემოკრატიული პრესა ამტკიცებს, რომ „კომინტერნი პირველ მაისისთვის სისხლისღვრას ამზადებს".

პოლიციელთა ძალადობისა და პრესის გააფთრებული კამპანიის მიუხედავად, რევოლუციონური მუშები ენერგიულად ემზადებიან პირველ მაისისათვის.

ხელისუფლებამ გააძლიერა რეპრესიები რევოლუციონური და მემარცხენე პროფკავშირების წინააღმდეგ. დვინსკში დახურეს ლატგალის მუშა - მოსამსახურეთა პროფკავშირი, დახურეს აგრეთვე მემარცხენე მუშათა გაზეთი. რიგაში და ბევრ სხვა ქალაქში აპატიმრებენ ყველაზე აქტიურ რევოლუციონერ მუშებს. შეუჩერებლივ მუშაობს სასამართლოს აპარატი. თითქმის ყოველ დღე გამოაქვთ განაჩენები. კატორღას უსჯიან იმათ, ვისზედაც ეჭვი აქვთ, რომ კომუნისტურ პროპაგანდას ეწევა. დვინსკში, მიტავაში და სხვა ქალაქებში გამოაქვთ ასეთი მასიური განაჩენები. ამავე დროს, ხელისუფლება აშკარად მფარველობს რუს მონარქისტების მოძრაობას. რიგაში გამოვიდა რუს მონარქისტების ორი გაზეთი „ნაშა გაზეტა" და „სლოვო". აღნიშნული გაზეთები ბეჭდავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ წერილებს, რომლებშიაც თავხედურად მოითხოვენ „კომუნისტურ ბრბოს გასრესას და განადგურებას" და მოუწოდებენ, რომ საბჭოთა საქონელს ბოიკოტი გამოეცხადოს. (ადს).

როგორ მიმდინარეობს გაზაფხულის თესვა

მოსკოვი, 15 აპრილი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა გამოაქვეყნა პირველი ცნობები თესვის მიმდინარეობის შესახებ 10 აპრილამდე. განვლილი ხუთდღეულის განმავლობაში თესვას შეუდგნენ ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის სამხრეთ ნაწილი, ქვემო ვოლგის რაიონი და ჩრდილოეთი უკრაინა. წვიმების გამო თესვის ტემპი შენელდა უკრაინის და ჩრდილოეთ - კავკასიის სამხრეთ ნაწილის ბევრ რაიონში. ეს რაიონები მარტის დამლევს შეუდგნენ თესვას.

10 აპრილს პურის, ქერის და შვრიის ნადრევი თესვა დაამთავრეს ზოგიერთმა ოლქებმა უკრაინაში არმავირისა და თერგის ოლქებმა, აგრეთვე ადიგე - ჩერქეზეთის ოლქმა. ზაპოროჟიემ გაზაფხულის ნათესის ფართობი გაადიდა 11 პროცენტით, ხოლო პურის ნათესის ფართობი 235 ათას ჰექტარიდან 280 ათას ჰექტარამდე აიყვანა. სულ უკრაინაში დაითესა 5.576.000 ჰექტარი მიწა, აქედან კოლმეურნეობების ნათესი 4.065.000 ჰექტარს უდრის. ყირიმში დაითესა 299 ათასი ჰექტარი, ჩრდილოეთ - კავკასიაში — 2.826.000, ყაზახსტანში — 259.000 ჰექტარი. სულ უკრაინაში და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში დაითესა 11.340.000 ჰექტარი. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებმა დათესეს 620 ათასი ჰექტარი. (ადს).

უკრაინელ კონტრ-რევოლუციონერთა პროცესი

ხარკოვი, 15 აპრილი. უკრაინელ კონტრრევოლუციონერთა პროცესზე დიდი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. მიხაილიკი.

„ახლა, როცა ჩვენ ხელთ არის ყველა მასალები ამ საქმეზე, — სთქვა თავის სიტყვის დასასრულს ამხ. მიხაილიკმა, — მე მსურს შეგეკითხოთ თქვენ, ამხანაგო მოსამართლეებო და აგრეთვე უკრაინის ყველა მშრომელებს: დამტკიცებულია თუ არა სასამართლოს გამოძიებით პროკურატურის მიერ აქ წამოყენებული ბრალდების მუხლები? დამტკიცებულია, თუ არა პროლეტარულ სახელმწიფოსა სიცოცხლისათვის, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სოციალისტური მომავლისათვის ყველაზე უფრო საშიში მოღალატური, კონტრრევოლუციონური მუშაობა იმათი, რომელნიც სახელმწიფო პოლიტსამმართველოს გამოცდილ ხელს დროზე გამოჰყავდა სოროებიდან? დამტკიცებულია თუ არა ბრალდებულ ეფრემოვის, დურდუკოვსკის, ჩეხოვსკის, გერმაიზეს, ნიკოვსკის, სტარიცკაიას, გრობოვეცკის, ჩერნიახოვსკის, პავლუშკოვისა და მატუშევსკის განსაკუთრებული სოციალური საშიშროება, განსაკუთრებული საშიშროება მათ მიერ შეგნებულად გადადგმული ნაბიჯების? დამტკიცებულია თუ არა, რომ ჩვენს წინაშე აქ დგას კლასობრივი მტერი, რომელიც თავისი მხეცური სიძულვილით მშრომელებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მზად არის ყოველ წუთს აწარმოოს მავნებლური პოლიტიკა და მოაწყოს აჯანყებები?

იღებს რა მხედველობაში საქმეში დართულ ყველა მასალებს და გრძნობს რა უდიდეს პასუხისმგებლობას ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა, სოციალისტური მშენებლობისა და უკრაინის მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლობის დაცვისათვის, პროკურატურა პროლეტარულ სახელმწიფოს სახელით რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსაგან მოითხოვს მთლიანად დადებით პასუხს ამ კითხვებზე. სხვანაირი არც შეიძლება იყოს ეს პასუხი. სხვა პასუხს, ამხანაგო მოსამართლენო, არ მოელის თქვენგან უკრაინის პროლეტარული სახელმწიფო. როცა იხსენებ ბრალდებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულის მთელ სიმძიმეს და ბრალდებულ ეფრემოვის, ჩეხოვსკის, ნიკოვსკის, დურდუკოვსკის და გოლოვის სისხლიან კონტრ-რევოლუციონერ წარსულს, როცა ერთხელ კიდევ უკეთებ ანალიზს საშინელ გეგმებს, რომელთა შემსრულებელი უნდა გამხდარიყო პავლუშკოვი, მაშინ ნათელი ხდება, რომ ამ ხალხთა წინააღმდეგ არის სოციალური დაცვის მხოლოდ ერთი ღონისძიება —**დახვრეტა**. იღებს რა მხედველობაში ბრალდებულთა მიერ დანაშაულის აღიარებას და საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ძლიერებას, პროკურატურა თანახმა არის არ მოითხოვოს უსათუოდ ამ ღონისძიების მიღება, და თვით სასამართლომ განსაჯოს ეს. (ადს).

აფხაზეთის პარტკონფერენცია

სოხუმი, 15 აპრილი. კონფერენციის მეოთხე სხდომაზე გაიმართა კამათი საქართველოს კომპარტიის (ბ) და კომკავშირის საოლქო კომიტეტების მოხსენებების გარშემო.

გამოსული ამხანაგები შეეხნენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხებს. მათ აღნიშნეს დეფექტები კოლმეურნეობათა მშენებლობაში: გეგმის უქონლობა ინვენტარის მიწოდებაში, თესლეულის უქონლობა ზოგიერთ ადგილას, პარტიულ და კომკავშირულ შემადგენლობის არასაკმაო მომზადება, საკმაოდ მომზადებული კადრის ნაკლებობა კოლექტივიზაციასთან დაკავშირებულ ორგანოებში.

ორატორები მიუთითებდნენ ძირითადი აპარატის სისუსტეზე და მისი გადასინჯვის საჭიროებაზე. აღნიშნავდნენ აგრეთვე კურსების დაარსების საჭიროებას პარტიულ მშენებლობის დარგში და, პირველ რიგში, ძირითად აქტივისათვის. (ადს).

ნაბიჯი წინ

დაახლოვებით 4 თვემ განვლო ჩინეთ - საბჭოთა იმ კონფლიქტის ლიკვიდაციის შემდეგ, რომელიც წარმოიშვა ჩინელი მილიტარისტების მიერ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ძალადობით ხელში ჩაგდების გამო და რომელიც, როგორც ვიცით, დამთავრდა ნიკოლსკ-უსურიისკისა და ხაბაროვსკის ოქმების დადებით და აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე სტატუს-ქვოს აღდგენით. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ირგვლივ გამართული ავანტიურის სამარცხვინოდ დამთავრება სრული გამარჯვება იყო საბჭოთა პოლიტიკისა, რომელიც იყო და რჩება მშვიდობიანობის პოლიტიკად. საბჭოთა კავშირი არ ისახავდა და არ ისახავს არც ჩინეთის მიმართ და არც სხვა მეზობელი ქვეყნების მიმართ რაიმე აგრესიულ მიზნებს. ისეთი გაუგონარი პროვოკაციის მიუხედავად, როგორიც იყო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება, საბჭოთა მთავრობამ არ მიმართა სამხედრო ძალას კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის და ამ ლიკვიდაციის პროცესში არ წარუდგინა ჩინეთს რაიმე სხვა მოთხოვნა, გარდა იმ მოთხოვნისა, რომ ჩინეთს გაეუქმებინა თავისი უკანონო განკარგულებანი და მოქმედებანი სტატუს-ქვოს აღსადგენად. ხაბაროვსკის ოქმი, რომელშიაც აღნიშნულია ეს პირობები, წარმოადგენს არა მარტო საბჭოთა კავშირის გამარჯვებას, არამედ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო დებულებათა თვალსაჩინო პრაქტიკულ დემონსტრაციასაც იმპერიალისტების წინაშე.

ამ ოქმის ანალიზი ურყევად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი არ სცდილობს რაიმე ტვირთი დააკისროს ჩინეთს ან შელახოს ჩინეთის სუვერენიტეტი, არამედ სცდილობს ორივე მხარისათვის ხელსაყრელ საფუძვლებზე დაამყაროს თანასწორობა, ურთიერთგაგება და რაც შეიძლება მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე, აგრეთვე აღადგინოს და განამტკიცოს ჩინეთ-საბჭოთა ნორმალური ურთიერთობა. სწორედ ამ მიზნებს ემსახურებიან ხაბაროვსკის ოქმის დადგენილებანი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის, კონსულების დანიშვნისა და მათთვის სათანადო საერთაშორისო უფლებრივი პრივილეგიების უზრუნველყოფის და, დასასრულ, თეთრგვარდიელთა რაზმების ლიკვიდაციის შესახებ, რომლებმაც ასეთი ბოროტი როლი ითამაშეს ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის მთელ მანძილზე. ამ ოქმში ერთი მუხლიც არ არის, რომელიც არღვევდეს ჩინეთის ნაციონალურ ინტერესებს და ეწინააღმდეგებოდეს მის ღირსებებს; მის შინაარს სავსებით შეეფერება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ადმინისტრაციის დაბრუნებული საბჭოთა ნაწილის პრაქტიკული მუშაობა. მთელ რიგ განცხადებებში მანჯურიის ჩინური პრესა და გზასთან ახლო მდგომი მანჯურიელი მოღვაწენი იძულებულნი გახდნენ აღენიშნათ, რომ საბჭოთა მხარე ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საქმიანი მეგობრული თანამშრომლობა დაამყაროს გზაზე. „ავტორიტეტული ჩინელი მოღვაწენი, — იუწყება ჩინელ წრეებთან დაკავშირებული თეთრგვარდიელთა გაზეთი „ზარია" (4 მარტის ნომერში), — აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მხარე რბილად და ფრთხილად მოქმედებს და არ იწვევს გაუგებრობას". „მე დარწმუნებული ვარ,—განუცხადა იმავე გაზეთის წარმომადგენელს გამგეობის ერთ-ერთმა ჩინელმა წევრმა, — ეს პოზიცია გაგებასა და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ჰპოვებს ჩვენის მხრივ". მარტის დამლევს ხარბინის პრესაში დაიბეჭდა აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის (აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის რაიონი) მთავარმართებლის ჩან ძინ-გუის ინტერვიუ ამავე საკითხის შესახებ. „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, — განაცხადა მან, — რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი ხელს გვიწყობენ მიმდინარე მომენტის ყველა საკითხებში".

ეს აღიარება მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი ნათქვამია იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთ - საბჭოთა თანამშრომლობის მტრული ძალები კვლავ მიმართავენ ყოველ ღონეს ორივე მხარის ნორმალური მეგობრული ურთიერთობის ჩასაშლელად. ეს აღიარება ამთავრებს იმ პოზიციის დახასიათებას, რომელსაც დაადგა საბჭოთა კავშირი როგორც კონფლიქტის დროს, ისე კონფლიქტის ლიკვიდაციის შემდეგ. იგი დამატებით მოწმობს, რომ ეს პოზიცია მეგობრულია ჩინეთის მიმართ, რომ საბჭოთა კავშირი ლოიალურად ასრულებს თავის ვალდებულებებს და გულწრფელად სცდილობს რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში მოაგვაროს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის არსებული სადავო საკითხების მთელი კომპლექსი.

ამ საკითხების მოგვარებას დაბრკოლებებს უქმნის მხოლოდ ჩინეთი. იმ ბნელმა ძალებმა, რომელთაც ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტი გამოიწვიეს და რომელნიც ამ კონფლიქტის მთელ მანძილზე სცდილობდნენ ყოველნაირად შეეშალათ ხელი მისი მოგვარებისათვის, ანტისაბჭოთა ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგაც არ აიღეს ხელი თავიანთ პროვოკაციულ მოქმედებაზე. როგორც ცნობილია, ხაბაროვსკის ოქმმა განახორციელა მხოლოდ ის წინასწარი პირობები, რომლებიც წამოაყენა საბჭოთა მთავრობამ ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის მოგვარებისათვის. ეს პირობები დღემდე მთლიანად არ გატარებულა ცხოვრებაში: ოქმის დადგენილება თეთრგვარდიელთა რაზმების განიარაღებისა და მათი ორგანიზატორებისა და სულის ჩამდგმელების გაძევების შესახებ დღემდე არ შეუსრულებია ჩინეთის ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ თეთრგვარდიელთა მოქმედება კვლავ საფრთხეში აყენებს ჩინეთ-საბჭოთა ნორმალური ურთიერთობის განვითარებას. მაგრამ ხაბაროვსკის ოქმი არ შეხებია სადავო საკითხების ძირითად მასას, ამ საკითხების გადაჭრა კი წარმოადგენს ორივე ქვეყნის შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის აუცილებელ პირობას. ეს საკითხები, იმავე ოქმის თანახმად, უნდა გადაეჭრა ჩინეთ - საბჭოთა კონფერენციას, რომლის გახსნაც ოქმის მიხედვით დანიშნული იყო ამა წლის 25 იანვრისათვის. მაგრამ ეს კონფერენცია დღემდე კიდევ არ შემდგარა.

საქმე იმაშია, რომ ხაბაროვსკის ოქმის ხელის მოწერამ მხოლოდ მოკლე ხნით ჩააჩუმა საბჭოთა კავშირის მტრები. რამდენიმე დღეც არ გასულა, რომ ჩინურ პრესაში დაიწყო ნაკარნახევი ცნობების ბეჭდვა, რომლებიც მიმართული იყო ოქმის წინააღმდეგ და გადაკვრით აღნიშნავდნენ, რომ ამ ოქმს ძალა არა აქვსო. ეს აშკარად გამოსთქვა ნანკინის ზოგიერთმა მოღვაწემ. პრესის ამ კამპანიის რამდენიმე კვირის შემდეგ, ნანკინის მთავრობამ, რომელიც ისევე, როგორც ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის დროს, იმპერიალისტების კარნახით მოქმედებდა, აშკარად გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც იგი აცხადებდა, რომ ჩინეთის იმ დელეგატმა, რომელმაც ხელი მოაწერა ოქმს, ვითომ თავის რწმუნებას გადააჭარბაო. ნანკინის მთავრობა გამოსთქვამდა თანხმობას გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსკოვის კონფერენციაზე მხოლოდ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხების მოსაგვარებლად. რაც შეეხება ყველა დანარჩენ საკითხებს, რომლებიც ეხებიან ორივე ქვეყნის ურთიერთობას, საბჭოთა მთავრობას წინადადება ეძლეოდა, თუ მოისურვებდა ამ საკითხების აღძვრას, გაეგზავნა თავისი დელეგატი ნანკინში. ეს დეკლარაცია წარმოადგენდა უმწეო ცდას—ჩაეშალა შეთანხმება, რომელიც დადებული იქნა ყველა ფორმალური მხარეების დაცვით და სათანადო რწმუნებათა საფუძველზე და განეახლებია პოლემიკა საბოლოოდ გადაჭრილი საკითხების ირგვლივ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს დეკლარაცია არავითარ პასუხის ღირსი არ იყო. მაგრამ ფაქტიურად საბჭოთა კავშირის მტრებმა მიაღწიეს კონფერენციის მოწვევის გაჭიანურებას, რაც თავისთავად წარმოადგენს ხაბაროვსკის ოქმის პირდაპირ დარღვევას. დამახასიათებელია, რომ [illegible] ვალდებულებათა საბოტაჟის პოლიტიკაში ანტისაბჭოთა წრეები, როგორც ყოველთვის, სარგებლობდნენ ჭორების გავრცელების მეთოდებით. ასეთი ჭორების ნიმუშს წარმოადგენს ნანკინის ოფიციოზური სააგენტოს გომინის მიერ გამოქვეყნებული და საბჭოთა კავშირის მიერ დაუყოვნებლივ უარყოფილი ცნობა იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ხელი აიღოს ხაბაროვსკის ოქმზე და, მოსკოვის ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის ნაცვლად, ვითომ რაღაც წინასწარ მოლაპარაკებას აწარმოებს ხარბინში.

კონფერენციის მოწვევის საკითხი კვლავ გადაიქცა შინაგანი ბრძოლის საგნად ჩინეთში. ეს არის იმ ბრძოლის გაგრძელება, რომელიც სწარმოებდა გასული წლის დამლევს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დაწყებული ავანტიურის რაც შეიძლება დაჩქარებით ლიკვიდაციისათვის და რომელიც დამთავრდა მანჯურიის ამბებით, რამაც აიძულა მუკდენის მთავრობა მიეღო საბჭოთა პირობები და ამით გზა გაეხსნა მოლაპარაკებისათვის, რადგან კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე პრაქტიკულად მოგვარდა ხაბაროვსკის ოქმით, გზის მუშაობისათვის შექმნილ იქნა საკმაოდ ხელსაყრელი პირობები და საბჭოთა კავშირსაც თავის მხრივ საშუალება მიეცა გულდამშვიდებით დაეცადა მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის. უეჭველია, რომ ხაბაროვსკის ოქმის ხელის მოწერის შემდეგ, ჩინეთი არა ნაკლებად, არამედ საბჭოთა კავშირზე უფრო მეტად არის დაინტერესებული მთელი სადავო საკითხების მოგვარებით. ამ პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ ჩინეთში გაბატონებულ ჯგუფებს შორის ფხიზელი ელემენტები გაიმარჯვებდნენ ავანტიურისტებზე, რომელნიც უცხოეთის კარნახით მოქმედებენ.

ეს მოლოდინი, როგორც ეტყობა, გამართლდა. აპრილის დამდეგს ხარბინში ჩავიდა ჩუ-ნიუი, რომელიც დანიშნულ იქნა „ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რწმუნებულად გირინის პროვინციაში". მან შესცვალა წინანდელი დიპლომატიური კომისარი. პერსონალურად იგი მუკდენის მთავრობის ნდობით აღჭურვილი პირია და ამავე დროს მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების სახელით. ხარბინის პრესისათვის 4 აპრილს მიცემულ ინტერვიუში ჩუ-ნიუმ განაცხადა:

„ნანკინმა დაავალა მუკდენს—მთლიანად გაატაროს ცხოვრებაში ხაბაროვსკის ოქმი. ამრიგად დაბრკოლება აღარ არის იმ საკითხის გადაჭრაში, თუ როგორი იქნება მოსკოვის ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის ამოცანები". 12 აპრილს იმავე ჩუ-ნიუმ ოფიციალურად აცნობა საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულს ამხ. მელნიკოვს, რომ ჩინეთის წარმომადგენლად კონფერენციაზე დანიშნულია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე მოდე-გუი და რომ ამ უკანასკნელს განზრახული აქვს 1 მაისს გაემგზავროს მოსკოვში.

ამ ოფიციალურ განცხადებას გარკვეულობა შეაქვს ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის მოწვევის პერსპექტივებში. ეს განცხადება გამოქვეყნდა 3 თვის დაგვიანებით ხაბაროვსკის ოქმში აღნიშნულ თარიღთან შედარებით და ამ მხრივ, ვიმეორებთ, გამოხატავს ოქმის დარღვევას ჩინეთის მხრივ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვესალმებით ამ განცხადებას, როგორც ახალ ნაბიჯს, გადადგმულს ყველა სადავო საკითხების საბოლოოდ მოგვარებისაკენ, რასაც დაბეჯითებით მოითხოვენ ორივე ქვეყნის ინტერესები.

ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე კმაყოფილება გამოვთქვათ ჩინეთის მთავარი დელეგატის პერსონალური არჩევანის გამო. მოდე-გუი, რომელიც ლუი ჩუნ-ხუანის გადაყენების შემდეგ დანიშნულ იქნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარედ, მანჯურიის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, იგი ცნობილია უარყოფითი დამოკიდებულებით ანტისაბჭოთა ავანტიურების მიმართ. მოდეგუის ეს რეპუტაცია ნებას გვაძლევს მოლოდინი ვიქონიოთ, რომ იგი საქმიანად და კეთილგანწყობილად მოეპყრობა კონფერენციის წინაშე მდგომ პრობლემებს და უზრუნველჰყოფს ამ კონფერენციაზე მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ატმოსფერის შექმნას, რაც ამჟამად ახასიათებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შერეული ჩინეთ-საბჭოთა ადმინისტრაციის მუშაობას.

თავის მხრივ შეგვიძლია დავარწმუნოთ ჩინეთის დელეგატი, რომ მოსკოვში ჩამოსვლისას საბჭოთა მთავრობის იმ წარმომადგენლებში, რომლებთანაც მას მოლაპარაკების წარმოება მოუხდება, იგი ჰპოვებს კეთილსინდისიერ მზადყოფნას შეთანხმებისათვის თანასწორობისა და ერთიერთ გაგების ორივე მხარის ხელსაყრელ საფუძვლებზე. ჩვენ სავსებით დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ჩინეთი კეთილ სურვილს გამოიჩენს, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ყველა არსებული სადავო საკითხების ორივე მხარის თანხმობით გადაჭრა და 1924 წლის შეთანხმების და ხაბაროვსკის ოქმის საერთო საფუძველზე მტკიცე, ხელშეკრულებით განსაზღვრული, ბაზის შექმნა მეგობრული ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის.

„იზვესტია", 15 აპრილი.

თესვის ორგანიზაციას უნდა დაუქვემდებაროთ დღეს კოლმეურნეობების ყველა სხვა ამოცანები

მასიური ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ გაცხოველებული თესვის და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერების შედეგია.

ნათესების კონტრაქტაცია—გაზაფხულის კამპანიის ჩამორჩენილი დარგია.—გავაძლიეროთ საკონტრაქტაციო მუშაობა კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებში

საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრის განმარტებანი

მოსკოვი, 15 აპრილი. კოლმეურნეობათა ცენტრს მასიურად მოსდის ისეთი შეკითხვები, რომლებიც ეხებიან პრაქტიკულ მშენებლობას კოლმეურნეობებში. ამიტომ კოლმეურნეობათა ცენტრმა საჭიროდ სცნო დრო-გამოშვებით გამოაქვეყნოს თავისი პრინციპიალური ხასიათის განმარტებანი.

—:—

მრავალ შემთხვევაში კოლმეურნეობებს ძალდატანებით აერთიანებენ მათი გაფართოებისა და გადიდების მიზნით. კოლმეურნეობათა ცენტრი განმარტავს, რომ კოლმეურნეობების შეერთება შეიძლება მხოლოდ ნებაყოფლობითი წესით. საკითხი შეერთების შესახებ წინასწარ უნდა იქნას განხილული შესაერთებელ კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე. შეერთება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველი ცალკე კოლმეურნეობა თანხმობას განაცხადებს.

—:—

როგორც მიღებული ცნობებიდან სჩანს, ერბო-კარაქის ზოგიერთ სამრეწველო რაიონში სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს არც ერთ ძროხას არ უტოვებენ პირად მფლობელობაში.

კოლმეურნეობათა ცენტრი, არტელის წესდების თანახმად განმარტავს, რომ ყველა რაიონებში, ისეთ რაიონებშიაც კი, სადაც სასაქონლო მეურნეობას მისდევენ, გლეხის მეურნეობაში არ შეიძლება განსაზოგადოებულ იქნას ერთი ძროხა. ამ წესის დარღვევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ძროხის პატრონი განაცხადებს თანხმობას (ადს).

განვამტკიცოთ ახალი ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ

თესვის გაცხოველებამ კოლმეურნეობათა მინდვრებზე და ამხ. სტალინის წერილის („პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს") და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების („შეღავათები კოლმეურნეობებისათვის") ფართოდ განმარტებამ გამოიწვია ღარიბ და საშუალო გლეხობის ახალი ლტოლვა კოლექტიურ მეურნეობებისაკენ. ის უნდობლობა, რომლითაც ეპყრობოდა ღარიბ-საშუალო გლეხობის ნაწილი კოლმეურნეობებს, გაქრა და მშრომელი გლეხობა მასიურად დაიძრა კოლექტივებისაკენ. როგორც ვსთქვით, აქ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა კოლექტიური თესვის წარმატებამ, რომელმაც დაარწმუნა ინდივიდუალური მეურნე გლეხები მეურნეობის კოლექტიურ ფორმების უპირატესობაში.

ამიტომ ამჟამად კოლექტივებისაკენ ლტოლვის ამ ახალ ტალღის განმტკიცებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. გლეხობაში მომხდარი გარდატეხა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ. ამის მიღწევა კი შეიძლება პარტიის და მთავრობის დადგენილებების ფართო ახსნა - განმარტებით, გადახრებთან და დამახინჯებებთან შეურიგებელი ბრძოლით, ნებაყოფლობითი პრინციპის მტკიცედ დაცვით საკოლმეურნეო მოძრაობაში და თესვის ორგანიზაციის და ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაძლიერებით.

თესვის კამპანიაში დაიწყო გადამწყვეტი დღეები. ყველა ძალები ამჟამად აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული. ამ ამოცანას უნდა დაექვემდებაროს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობების ყველა სხვა ამოცანები. თესვის სწორი ორგანიზაცია ამჟამად ცენტრალური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომ ზრდას.

თესვის კამპანიას ზოგიერთ რაიონებში ახასიათებს მნიშვნელოვანი დეფექტები, როგორიცაა საქონლის საკვების ნაკლებობა, ტრაქტორების სათანადოთ არ დატვირთვა, მანქანა - იარაღების არარაციონალურად გამოყენება და მუშა-საქონლის ცუდი მოვლა - პატრონობა, რის გამო საქონლის ნაწილი იხოცება. ყველა ეს დეფექტები დაჩქარებითი წესით უნდა აღმოიფხვრას, რათა თესვის საქმე არ შეფერხდეს.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ თესვა ყველგან წარმატებით ვითარდება. კოლექტივები ზოგან გადაჭარბებით ასრულებენ გაზაფხულის კამპანიის გეგმას. გლეხობამ, რომელმაც დაინახა თესვის ასეთი წარმატება. კოლექტივებში, მასიურად იწყო ლტოლვა სას.-სამეურნეო არტელებისაკენ. განსაკუთრებით ძლიერია ეს ლტოლვა იმ ღარიბ და საშუალო გლეხებში, რომლებიც ერთ დროს გამოვიდნენ კოლექტივებიდან. აქ აღსანიშნავია ერთი გადახრა, რომელიც შემჩნეულია ადგილებზე. ზოგან კოლმეურნეობები უარს ეუბნებიან მშრომელ გლეხებს კოლექტივებში დაბრუნებაზე იმ საბაბით, რომ ამჟამად თესვა მიმდინარეობს და თქვენთვის არ გვცალიაო. საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა კატეგორიული დირექტივა მისცა ადგილებს ძირიანად აღმოფხვრან ასეთი მდგომარეობა და გაუადვილონ ღარიბ - საშუალო გლეხებს კოლექტივებში დაბრუნება.

ქუთაისის ოლქის სხვადასხვა რაიონებში ამჟამად მიმდინარეობს ამხ. სტალინის წერილის და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების ახსნა - განმარტების კამპანია. ყველგან,სადაც კი გლეხობა გაეცნო კოლექტივებისა და მათი წევრებისათვის მინიჭებულ შეღავათებს კოლმეურნეობებისაკენ ლტოლვამ მასიური ხასიათი მიიღო. ქუთაისის ოლქის ეს გამოცდილება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სხვა ოლქებსა და მაზრებში.

რა შეღავათებს ანიჭებს ცეკას დადგენილება კოლმეურნეობებს და მათ წევრებს?

ეს შეღავათები მდგომარეობს შემდეგში: ა) გადასახადისაგან ორი წლით თავისუფლდება მთელი განსაზოგადოებული მუშა - საქონელი, მთელი პროდუქტიული საქონელი, როგორც კოლმეურნეობის კოლექტიურ სარგებლობაში მყოფი, ისე ცალკე კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში დატოვებული; ბ) ყველა ახლად მოწყობილი განსაზოგადოებული ბოსტნები და მებოსტნეობის კოლმეურნეობანი გადასახადისაგან თავისუფლდებიან ორი წლით; გ) კოლექტივებში შესულ მეურნეობათა დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელებულია მიმდინარე სამეურნეო წლის ბოლომდე; დ) კოლმეურნენი განთავისუფლებული არიან მიწათმოწყობის დავალიანებისაგან და ყველა იმ ჯარიმებისაგან, რომლებიც მათ დაეკისრათ 1930 წლის 1-ლ აპრილამდე და სხვა.

აღნიშნულ შეღავათების პოპულიარიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცეკას დადგენილების იმ მუხლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა გარე სამუშაოზე წასვლას, მათი შრომის სრულად გამოყენებას როგორც კოლექტივის შიგნით, ისე მის გარეთ, რომლებიც ქმნიან პირობებს კოლექტივის წევრთა მეურნეობის შემოსავლიანობის გასადიდებლად (კოლმეურნეთ ნება ეძლევათ კოლექტივის მუშა-საქონელი გამოიყენონ მუშაობისაგან თავისუფალ დროს ხე-ტყის დასამზადებელ და სხვა სამუშაოებზე, აღებული ხელფასის ნაწილის კოლმეურნის სასარგებლოდ გადარიცხვით).

ყველა ამ შეღავათების ფართოდ გაშუქება და ღარიბ და საშუალო გლეხობის დარაზმვა გაზაფხულის თესვის ორგანიზაციის ამოცანების გარშემო უზრუნველყოფს არსებული კოლმეურნეობების შემდგომ ზრდას და განმტკიცებას.

შ. ბ.

როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანია

ნათესების კონტრაქტაცია

„სოფლის კავშირი"-ს ცნობით, 10 აპრილისათვის კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 56692 ჰექტარ ნათესზე (პური—2.074 ჰექტარი, ქერი—3.295 ჰექტარი და სიმინდი—51.323 ჰექტარი), რაც შეადგენს გეგმის —37,8 პროცენტს.

თამბაქოზე კონტრაქტაცია 10 აპრილისათვის ჩატარებული იყო—2.447 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (4200 ჰექტარი) 58 პროცენტს; აფხაზეთში დაკონტრაქტებულია — 18.363 ჰექტარი, რაც შეადგენს გეგმის (21.200 ჰექტარი) 88,9 პროცენტს.

კენაფის კონტრაქტაცია ჩატარებულია — 1.027 ჰექტარზე და გეგმა (800 ჰექტარი) შესრულებულია 25,9 პროცენტის გადაჭარბებით.. კენაფის კონტრაქტაცია ჩატარებულია კოლმეურნეობებში 339 ჰექტარზე, სოფლებთან 213 ჰექტარზე, მეურნეობათა ჯგუფებთან 13 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებთან 270 ჰექტარზე და ჯგუფურ განაერთებთან 192 ჰექტარზე.

გეგმის თანახმად კონტრაქტაცია ჩატარებულ უნდა იქნეს 20.000 ჰექტარ ძაძის ნათესზე. აქედან 10 აპრილისათვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დადებული იყო — 13.716 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 68,5 პროცენტს.

არახისის კონტრაქტაცია დაიწყო 10 აპრილს. კონტრაქტაცია უნდა ჩატარდეს 75 ჰექტარზე. შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის გეგმა (220 ჰექტ.) შესრულებულია ასი პროცენტით.

ბამბის კონტრაქტაცია ჩატარებულ უნდა იქნეს 13.500 ჰექტარზე. აქედან აგრომინიმუმები უნდა ჩატარდეს 3.600 ჰექტარზე. 1 აპრილისათვის აგრომინიმუმები ჩატარებული იყო 2.030 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის 56,4 პროცენტს. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დადებულია კოლმეურნეობებთან და მოთესველებთან 10.907 ჰექტარზე შესრულებულია გეგმის 82,5 პროც.

კარტოფილის კონტრაქტაცია სოფლებთან ჩატარებულია 2.525 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (3.500 ჰექტარი) 72,14 პროცენტს.

კომბოსტოს (150 ჰექტარი) და ხახვის (150 ჰექტარი) კონტრაქტაცია შესრულებულია 100 პროცენტით.

ბალახეულის კონტრაქტაცია გეგმით გათვალისწინებულია 1.500 ჰექტარზე. ბალახეულის თესლის შესაძენად მემინდვრეობის კავშირმა უნდა მიიღოს 645.000 მანეთი, ხოლო კონტრაქტაციის ჩასატარებლად 150.000 მანეთი, სულ 795 000 მანეთი. დღემდე მიღებულია თესლის შესაძენად და აგრო-დახმარებისათვის 438.000 მან., ხოლო კონტრაქტაციის ჩასატარებლად 50.000 მან. სულ მიღებულია 488.000. მისაღები რჩება 307.000 მანეთი. თანხების ასეთი დაგვიანება ბალახეულის კონტრაქტაციას საფრთხეში აყენებს.

მატყლის კონტრაქტაციის გეგმა (106.140 ფ.) 20 მარტისათვის შესრულებული იყო (106.840 ფ.) 0,6 პროცენტის გადაჭარბებით. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ამჟამად კონტრაქტაცია ჩატარებულია 52.014 ფუთზე, რაც შეადგენს გეგმის 49 პროცენტს. გეგმის თანახმად კონტრაქტაცია ჩატარებულ უნდა იქნეს 73.383 ფუთ ყველზე, აქედან ხელშეკრულებები დადებულია 33.724 ფუთზე, რაც შეადგენს გეგმის 46 პროცენტს.

სათესლე მასალა

არახისის თესლის ანალიზი უკვე დამთავრდა, დასათესად დარიგდება 270 ფუთი არახისი. თესვა დაიწყება 25 აპრილს. კარტოფილის თესლი საჭიროა 110.000 ფუთის რაოდენობით. დღემდე დამზადებულია 50.000 ფუთი, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ 45,5 პროცენტს. ბრინჯის თესლი საკმაო რაოდენობით არ იშოვება. დანარჩენი კულტურები სათესლე მასალით უზრუნველყოფილი არიან.

მანქანა-იარაღები

მანქანა-იარაღებით რაიონები სავსებით დაკმაყოფილებული არიან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გეგმით გათვალისწინებული მანქანა-იარაღების მთელი რაოდენობის განაწილება გლეხებს შორის ადგილებზე ვერ განხორციელდა. ამჟამად ზოგიერთ რაიონების საწყობებში გამოუყენებლად აწყვია წელს შეძენილი მანქანა-იარაღების უმეტესი ნაწილი. მიღებულია ზომები რაიონებში შეძენილ მანქანა-იარაღების მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

მშენებლობა

სასოფლო - სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობა საჭირო ტემპით ვერ მიმდინარეობს. ეს გარემოება ნაწილობრივ გამოწვეულია სამშენებლო მასალის სიმცირით. უმთავრესი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ არც ცენტრალური დაწესებულებები და არც ადგილობრივი ორგანიზაციები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ადგილებიდან მიღებული ცნობები, რომ ბინების უქონლობის გამო მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან როგორც მუშა-საქონლის კოლონები, ისე ტრაქტორები და სხვ. მანქანები. ეს მდგომარეობა გვიკარნახებს დაჩქარებით იქნეს მიღებული ზომები ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების რესპუბლიკანური თათბირი

გუშინ, დილით საქ. კოლმეურნეობათა ცენტრში გაიხსნა კოლმეურნეობათა საოლქო კავშირების, კოლმეურნეობათა სამაზრო სექციების და სას.-სამ. კოოპერაციის სპეციალურ კავშირების თავმჯდომარეთა რესპუბლიკანური თათბირი.

ამხ. არუთინოვის სიტყვა

თათბირი გახსნა კოლმეურნეობათა ცენტრის თავმჯდომარემ ამხ. გ. არუთინოვმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ თუმცა ჩვენი კოლმეურნეობები ნაწილობრივად ამჟამადაც განიცდიან წევრთა შემადგენლობის ცვალებადობას, მაგრამ კოლმეურნეობათა მშენებლობის ორგანიზაციული პერიოდი შეიძლება დამთავრებულად და კოლმეურნეობათა მდგომარეობა სტაბილურად ჩაითვალოს. ეხლა ჩვენი საქმიანობა უმთავრესად მიმართული უნდა იყოს კოლმეურნეობათა განმტკიცებასა და წესდების ცალკე მუხლების მთლიანად განხორციელებისაკენ.

კოლმეურნეობებში ჩვენ აქამდე ვერ მოვახერხეთ შინაორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში კოლმეურნეობათა ცენტრი გაცილებით ნაკლებ მონაწილეობას იღებდა, ვიდრე სხვა ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩაბმული კოლმეურნეობების მოწყობაში.

საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზაციულ პერიოდში ადგილი ჰქონდა გლეხის მეურნეობის ყველა დარგების გაერთიანების სურვილს. ადგილებზე ცდილობდნენ გაეერთიანებიათ გლეხურ მეურნეობის ყველა დარგები და ვერ გაითვალისწინეს, რომ ასეთი რთული მეურნეობის გაძღოლას ჩვენ ვერ შევძლებდით, მით უმეტეს, რომ ადგილებზე არ მოგვეპოვება მომზადებულ მუშაკთა საკმაო კადრი. იყო შემთხვევები, როცა კოლექტივში ერთიანდებოდა 7.000-მდე მეურნეობა. რასაკვირველია, დიდი მეურნეობის მოწყობა სასურველია და საჭიროც არის, მაგრამ ერთბაშად დიდი მეურნეობის ჩამოყალიბება შეუძლებელია. მეურნეობის მოწყობა - ძღოლა უნდა შევისწავლოთ პატარა მეურნეობებიდან, ხოლო შემდეგ შევძლებთ დიდი მეურნეობის გაძღოლას.

წინეთ თითოეული გლეხური მეურნეობა შეიცავდა არა უმეტეს 5-6 მუშა - ხელისა და ამდენივე ჰექტარ მიწას. ჩვენი გლეხობა ასეთ მეურნეობასაც ვერ უძღვებოდა როგორც წესი და რიგია და, რასაკვირველია, დიდი მეურნეობის გაძღოლას იგი ვერ შესძლებდა.

ყველა ამ გარემოებებმა გამოიწვიეს მდგომარეობის გამწვავება და კოლმეურნეობებიდან წევრთა გასვლამ ფართო ხასიათი მიიღო. 10 მარტისათვის კოლმეურნეობებში შეკავშირებული იყო მოსახლეობის 63 პროც., 1 აპრილისათვის კი ეს რაოდენობა 30 პროცმდე შემცირდა. ეს ციფრი უკვე მტკიცეა, ცვალებადობას შეიძლება კიდევ ექნეს ადგილი, მაგრამ ეს ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან კოლმეურნეობის კარების დაკეტვა არ შეიძლება. კოლექტივში ყოველთვის დასაშვებია ახალი წევრების შესვლა ან ზოგიერთ წევრის გასვლა.

ჩვენ მთავარ ამოცანას ამჟამად შეადგენს არა კოლმეურნეობათა რიცხობრივი ზრდა, არამედ ამ კოლმეურნეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესება. ჩვენი კოლექტივების წინაშე სდგას მრავალი მოუგვარებელი საკითხი, როგორიცაა შრომის, ყოფა - ცხოვრების და სხვ. საკითხები, რომელთა მეტი ნაწილი წარმოადგენს კოლმეურნეობის სიმტკიცისა და ძლიერების საფუძველს.

ამ საკითხთა შორის მთავარი საკითხის გამოყოფა წინეთ (ორგანიზაციის პერიოდში) შეუძლებელი იყო, ეხლა კი ეს შესაძლო და აუცილებელია.

კოლმეურნეობათა მთავარ ამოცანად ამჟამად დასახული უნდა იქნეს საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ჩვენი გლეხობის ერთი ნაწილი, რომელიც დროებით გავიდა კოლექტივებიდან, ამჟამად განზე სდგას და თვალყურს ადევნებს — თუ რამდენად შესძლებს კოლექტივი თავისი წარმოების სწორად დაყენებას. საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის დროს ჩვენმა კოლმეურნეობებმა უნდა დაუმტკიცონ მშრომელ გლეხობას კოლექტიური შრომის მთელი უპირატესობა ინდივიდუალურის წინაშე. ჩვენი გლეხობისათვის უფრო დამაჯერებელია ცოცხალი მაგალითი, ვიდრე სიტყვიერი ახსნა - განმარტება. ამას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ მთლიანად განვახორციელებთ მიმდინარე წლის სას.-სამ. კამპანიის გეგმას, სისწორით გავატარებთ არტელის წესდებას და შევასრულებთ ხელისუფლების დირექტივებსა და განმარტებებს. თათბირის მონაწილეთ უკვე დიდი გამოცდილება აქვთ კოლმეურნეობათა მშენებლობასა და საქმიანობაში. ამ გამოცდილების ერთი მეორისათვის გაზიარებით თათბირი შესძლებს დასახოს გზები ამ დიდი ამოცანების სწორად გადასაჭრელად.

ამხ. არუთინოვის სიტყვის შემდეგ თათბირმა დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი, რის შემდეგაც მოსმენილ იქნა მოხსენებები საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის მიმდინარეობისა და კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შესახებ.

შინაორგანიზაციული საკითხები კოლმეურნეობებში

(ამხ. ზ. ჩახვაძის მოხსენება

პირველ მოხსენებას ხსენებულ საკითხზე აკეთებს კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის წევრი ამხ. **ზ. ჩახვაძე**, რომელიც აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის სასოფლო სამეურნეო კამპანიის მთავარ ამოცანას შეადგენს ნათესების სივრცის მაქსიმალურად გადიდება და მოსავლიანობის ამაღლება. ამასთან ერთად კოლმეურნეობათა სისტემის მიზანს შეადგენს ჩვენი გლეხობის საბოლოოდ გამოყვანა ბეჩავი მდგომარეობიდან. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანები და კოლმეურნეობათა მშენებლობა მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთისა და იმავე მიზანს ემსახურებიან.

უნდა ითქვას, რომ ზოგან ადგილებზე არ ესმით ეს და კოლმეურნეობათა მშენებლობას აცალკევებენ თესვის კამპანიისაგან. არის შემთხვევები, როცა ადგილებზე აგრონომები დაყოფილი ყავთ ორ ჯგუფად. ნაწილი გაგზავნილია სამუშაოთ კოლმეურნეობებში, ნაწილი კი — საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაზე. ასეთ გაუგებრობას შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს და თესვის ამოცანის განხორციელება საფრთხეში ჩავარდეს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ კოლმეურნეობების მუშაკები ზოგან არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ინდივიდუალურ მეურნეობებს, არ აძლევენ მათ რჩევა-დარიგებას, საწარმოო დახმარებას და სხვ., რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. თესვის ამოცანა არის საერთო ამოცანა და კოლექტიური მეურნეობები ვალდებული არიან ყოველმხრივ დაეხმარონ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხებს ნათესების სივრცის გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ სას.-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება ვერ სდგას სათანადო დონეზე. შემკეთებელი სახელოსნოები ხშირად უარს ამბობენ კოლმეურნეობათა მანქანების შეკეთებაზე, ვინაიდან კოლმეურნეობებს არა აქვთ შეკეთებისთვის საჭირო თანხები. თუ ეს მდგომარეობა დაჩქარებით არ გამოსწორდა, შეიძლება კოლექტიურმა მეურნეობებმა არამც თუ დახმარება ვერ გაუწიონ ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს, არამედ თვითონაც ვერ შეასრულონ თავიანთი საწარმოო გეგმა.

კოლმეურნეობებში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება საბრუნავი თანხები, ამავე დროს კი მათ აქვთ სხვადასხვა თანხები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება კოლექტივების გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. კოლმეურნეობიდან გასულ წევრებს ხშირად სათესლე ფონდიდან აძლევენ შეუწამლავ თესლს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ გარემოებას შეუძლია ზიანი მიაყენოს მოსავლის. კოლექტივებში სათანადო ყურადღება არ ექცევა განსაზოგადოებული საქონლის კვებასა და მოვლა - პატრონობას. იყო შემთხვევები, როცა შიმშილისაგან დასუსტებულმა მუშა - საქონელმა ვერ შესძლო მძიმე სამუშაოს შესრულება და დავარდა.

ზოგიერთ კოლექტივში დღემდე არავითარი ყურადღება არ ექცევა ქალთა შრომის საკითხს და ქალთა შრომა გამოუყენებელი რჩება, თუმცა ამ კოლექტივებში მოიპოვება მრავალი მათთვის შესაფერი სამუშაო (თამბაქო, ჩაი და სხვ.), მით უმეტეს გაზაფხულის პერიოდში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამანქანო-სატრაქტორო კოლონები საკმაოდ გამოყენებული არ არიან. თბილისის ოლქში ორი დღის განმავლობაში ორმა ტრაქტორმა დაამუშავა მხოლოდ 50 ჰექტარი მიწა. ზოგან ეკონომიას ეწევიან საწვავ მასალაზე, რაც საგრძნობლად შეაფერხებს ტრაქტორის მუშაობის [illegible]. სატრაქტორო კოლონებმა არ იციან, თუ ვინ არის მათი პატრონი — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, კოლმეურნეობები თუ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების სამმართველო. ეს გარემოება დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს და მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ ტრაქტორები მაქსიმალურად გამოიყენოთ.

არტელებიდან წევრების ნაწილის გასვლის გამო საწარმოო გეგმების თითქმის ყველგან ჩაშლილია. ადგილებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ ზომები და შეადგინონ მარტივი გეგმები [illegible], სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს არტელის საწარმოო საშუალებები და მუშა-ხელი განაწილებულ იქნეს ძირითად სამუშაოთა შორის. არის შემთხვევები, როცა ადგილები ერიდებიან უვარგის აგრონომებისა და სასოფლო მეურნეობის სხვა სპეციალისტების მოხსნას. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს დავალებათა შესრულებას [illegible] მხრივ და ვინც ამ დავალებებს მთლიანად არ შეასრულებს, იგი დაუყოვნებლივ მოხსნილი უნდა იქნეს.

კოლმეურნეობებში მოუგვარებელია საზოგადოებრივი კვების საქმე. ქუთაისის ოლქში იყო შემთხვევა, როცა კოლმეურნეობების წევრებმა დაიწყეს ნადური მუშაობა. დღეს ერთის ადგილებს ამუშავებდნენ ხვალ მეორისას და სადილს სჭამდნენ იმ გლეხისას, ვის ყანასაც მუშაობდნენ.

ადგილები ვალდებული არიან ყოველმხრივ დაეხმარონ ცეკავშირს, რომელიც შეუდგა საზოგადოებრივი კვების მოწყობას კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენებას და თავისი სამუშაოს დამთავრების შემდეგ ეს საშუალებები აუცილებლად უნდა დაახმარონ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ასეთი საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში პატარა კოლექტივები ვერ შესძლებენ საწარმოო გეგმების შესრულებას. იმ კოლმეურნეობებმა კი, რომლებსაც არ მოეპოვებათ საწარმოო საშუალებათა საკმაო რაოდენობა და არც მეზობლად ჰყავთ ძლიერი კოლექტივები, უნდა გამოიყენონ ინდივიდუალური მეურნეობათა საშუალებები (დაქირავების გზით).

ზოგიერთ კოლექტივში სათანადო ყურადღება არ ექცევა ხელისუფლების მიერ კოლმეურნეობათა წევრებისათვის მინიჭებულ შეღავათების პრაქტიკულად განხორციელებას.

ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კოლექტივებში სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატების ძირითად პირობას შეადგენს შრომის ორგანიზაცია. კოლმეურნეობებმა აუცილებლად უნდა განახორციელონ მუშაობის სანარდო სისტემა, რომელიც იწვევს წევრების წახალისებას. ადგილებს ამის შესახებ მიცემული აქვთ ამომწურავი დირექტივები, მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობის წევრები ამ დირექტივებს აქამდე არ იცნობენ. სადაც კი გაიგეს გლეხებმა, რომ კოლექტივებში შემოღებულია სანარდო სისტემა — მეტად დაინტერესდნენ და აცხადებენ, რომ „კოლექტივებში ზარმაცებს ადგილი არ ექნებათ"-ო.

ზოგიერთი რაიონი უსაყვედურებს კოლმეურნეობათა ცენტრს, რომ ინსტრუქცია შრომის ორგანიზაციის შესახებ მეტად ძნელი გასაგებია. ამავე დროს ადგილები (მაგ. სენაკის მაზრა) თვითონ ამუშავებენ ახალ ინსტრუქციებს, რომლებშიაც შეტანილი აქვთ მეტად რთული და გლეხობისათვის გაუგებარი ელემენტები. კოლმეურნეობების უმეტესობაში ამჟამად გამოურკვეველია შრომის უნარმოკლებულთა უზრუნველყოფის საკითხი. ბევრ კოლექტივში დიდძალი შრომა იხარჯება ადმინისტრატიულ - ტექნიკურ სამუშაოებზე. მოიპოვებიან ისეთი კოლექტივები, სადაც ამ ფუნქციების შესასრულებლად განთავისუფლებულია 10-12 კაცი. ასეთი ხარჯის ატანა კოლექტივებს არ შეუძლიათ.

კოლექტივების მეტ ნაწილში დღემდე არ არის განხორციელებული სამუშაოთა დანაწილება თანრიგებათ და ტარიფიკაცია. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობები შრომის ორგანიზაციის საკითხს სთვლიან მეორე ხარისხოვან საკითხად და მისი დამუშავება გადააქვთ შემოდგომაზე.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს სენაკის მაზრის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მუშაობას და აღნიშნავს, რომ იქ ადგილი აქვს კოლმეურნეობათა ძირითად პრინციპების დარღვევა - დამახინჯებებს.

მოხსენებები ადგილებიდან

ამხ. ა. გოლეთიანი

(ქუთაისის ოლქი)

ამხ. ზ. ჩახვაძის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობათა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ა. გოლეთიანი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოლმეურნეობათა რიცხვი პირველ აპრილისათვის 666—დან შემცირდა 295-მდე. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 51680 კომლი ანუ მოსახლეობის 44,3 პროცენტი, განსაზოგადოებულია 54829 სული მუშა - საქონელი, 73,264 ჰექტარი სახნავი მიწა და 6658 ჰექტარი ვენახი. კოლმეურნეობათა წევრების სოციალური შემადგენლობის წმენდა ჩატარებულია 222 კოლექტივში, საიდანაც გარიცხულია 2657 წევრი. კოლმეურნეობებში მიწის ხვნა დაიწყო თებერვლის დამდეგს და პირველი აპრილისათვის მოხნული იყო 46838 ჰექტარი მიწა. გეგმის თანახმად ოლქში უნდა შეეგროვებინათ 194794 ფუთი სათესლე მასალა. ფაქტიურად კი შეგროვილ იქნა 339955 ფუთი, რაც თითქმის ერთი ორად აღემატება გეგმას. პირველი აპრილისათვის კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 39895 ჰექტარ სიმინდის ნათესზე, 3302 ჰექტარ სოიაზე, 133 ჰექტარ კარტოფილზე, 133 ჰექტარ ხახვზე და 25 ჰექტარ არახისზე.

ხელმძღვანელი ორგანოები არჩეულია 250 კოლმეურნეობაში. მოანგარიშეებით უზრუნველყოფილია 107 კოლექტივი, კიდევ საჭიროა 158 მოანგარიშე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ოლქის კოლმეურნეობების დამზადება - გასაღების ოპერაციებში ადგილი აქვს გაურკვევლობას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ეს ოპერაციები ხშირად მიმდინარეობენ საოლქო კავშირის გარეშე, საჭიროა გამოინახოს ისეთი წესი, რომელიც საოლქო კავშირს საშუალებას მისცემს განახორციელოს მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა ამ ოპერაციებზე. შრომის ორგანიზაციის საკითხი დამუშავებულია ოლქის კოლმეურნეობათა 80 პროცენტის მიერ, მაგრამ შრომის ორგანიზაციის პრაქტიკული განხორციელება არ სწარმოებს. შრომის ორგანიზაციის გატარებას ოლქის კოლმეურნეობებში დასჭირდება კიდევ დიდი დრო, ვინაიდან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ ამხანაგების ნაწილი არ სცნობს საჭიროდ ამ საქმის დაჩქარებას.

ამხ. ნამგალაძე

(გორის ოლქი)

გორის ოლქის კოლმეურნეობათა შესახებ თანამოხსენება გააკეთა კოლმეურნეობათა საოლქო კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ნამგალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საგაზაფხულო თესვისათვის „სოფლის კავშირმა" ოლქში გადაუგზავნა დიდძალი მანქანა-იარაღები, მაგრამ მათი ნაწილი ადგილობრივ პირობებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა. გარდა ამისა ოლქის კოლმეურნეობებს არ მოეპოვებოდათ სახსრები მანქანა-იარაღების გამოსასყიდლად, რის გამო მანქანები დიდი ხნით რჩებოდა რკინის გზის სადგურზე. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს შესაკეთებლად წამოღებული ჰქონდა ოლქიდან რამოდენიმე ტრაქტორი. გამოირკვა, რომ ტრაქტორები მეტად უვარგისად არიან შეკეთებული და თითქმის ყოველდღე საჭიროებენ ახალ-ახალ შეკეთებას. ოლქში გაგზავნილ ტრაქტორისტების კვალიფიკაცია დაბალია, რაც საგრძნობლად აფერხებს ტრაქტორების მუშაობას. ოლქში მოწყობილია მუშა-საქონლის კოლონა, მაგრამ კოლონაში თავმოყრილი საქონელი უვარგისია გამწევ ძალათ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული. სადგურს აქვს 19 ტრაქტორი, მომუშავეთა პერსონალი კი შესდგება 25 კაცისაგან. ჰექტარი მიწის დამუშავებაში სადგური ღებულობს 13-18 მანეთს, რაც გლეხობისათვის ხელსაყრელი არ არის, ვინაიდან ამავე დროს მათ უხდებათ თავისი მუშა-საქონლის შენახვა და ამრიგად ორმაგი ხარჯის გაწევა. ამიტომ გლეხობა გაურბის სადგურით სარგებლობას, რის გამო საჭირო გახდა ტრაქტორების გადაგზავნა სხვადასხვა რაიონებში.

ტრაქტორისტების გამოუცდელობის გამო იხარჯება დიდძალი საწვავი მასალა. ნაკვეთების სიმცირე იწვევს ტრაქტორების ერთი ნაკვეთიდან მეორეზე გადასვლას, ეს კი მოითხოვს დიდ დროს. ამის გამო სადგურის მუშაობა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელი ვერ არის, მაგრამ ახლო მომავალში, როდესაც ჩატარდება მიწათმოწყობა, სადგური დიდ სარგებლობას მოიტანს. მოგვარებული არ არის სათესლე მასალის შეწამვლა და ნაწილობრივად შეუწამლავი თესლი ითესება. მებაღეობა-მევენახეობის გეგმა ოლქში უკვე შესრულებულია. თესვის გეგმა შესრულებული იქნება მთელი ასი პროცენტით. საკრედიტო ამხანაგობები არ კისრულობენ კრედიტების უშუალოდ განაწილებას და ამ საქმეს ფაქტიურად კოლმეურნკავშირი ასრულებს.

ოლქში დიდი მუშაობა ჩატარდა კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შესადგენად, მაგრამ ეს შრომა უნაყოფო აღმოჩნდა, ვინაიდან შედგენილი გეგმები გაუგებარია და მათი შედგენა დამთავრდა მაშინ, როდესაც კოლმეურნეობათა ქსელის მდგომარეობა უკვე შეცვლილი იყო. საჭირო გახდა მარტივი გეგმების შედგენა, რაც უკვე შესრულებულია. მართალია, ოლქმა მთლიანად ვერ განახორციელა შრომის ორგანიზაციის შესახებ ცენტრის მიერ მოცემული ინსტრუქცია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობათა შინა განაწესის და შრომის განაწილების მოგვარებას. გამომუშავებულია ტაბელების მარტივი ფორმა, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს შრომის აღრიცხვა. ოლქის კოლმეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საწარმოო თათბირების გაცხოველებას. შრომის ორგანიზაციის ზუსტად მოგვარება ოლქში დაიწყება კოლმეურნეობათა ფორმალურ ჩამოყალიბების შემდეგ.

კოლექტივების ფორმალური ჩამოყალიბება და ახალ წესდებაზე გადაყვანა დაიწყო ორი კვირის წინეთ. უკვე ჩამოყალიბებულია კოლმეურნეობათა სამი მეოთხედი. წევრთა ცვალებადობას ადგილი არ აქვს. ამჟამად კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 15.700 მეურნე. კოლმეურნეობათა რაიკავშირების მდგომარეობა გამოურკვეველია. მათ ხელმძღვანელობას კისრულობენ როგორც კოლმეურნეობათა ცენტრი, ისე სას.-სამ. კოოპერაციის სპეციალური კავშირები.

საწევრო შესატანის აკრეფა თავიდანვე ვერ მოხერხდა. ადგილებს წინადადება მიეცათ ადგილობრივ შეიმუშაონ შესატანის აკრეფის წესები. კოლმეურნეობათა წევრებისათვის ავანსის მიცემა ვერ ხერხდება, რადგან კოლმეურნეობებს არ მოეპოვებათ საჭირო თანხები. იმ კოლმეურნეობებში კი, სადაც იშოვება კულაკებისაგან ჩამორთმეული სურსათი, ასეთი სესხის სახით ეძლევათ ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს.

ამხ არობელიძე

(ოზურგეთის მაზრა)

ოზურგეთის კოლმეურნეობათა შესახებ მოხსენება გააკეთა ოზურგეთის კოლმეურნ-კავშირის წარმომადგენელმა ამხ. არობელიძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პირველი აპრილისათვის მაზრაში ირიცხებოდა 20 სას.-სამ. არტელი, 104 მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა და ერთი კომუნა. არტელებში გაერთიანებულია 9716 კომლი 20.950 მუშა-ხელით, 10.164 სული მუშა-საქონლით და 14.666 ჰექტარი სახნავი მიწით. მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებში კი გაერთიანებულია 4.363 კომლი. კოლმეურნეობებიდან წევრების მასიურად გასვლას ადგილი არ ჰქონია, გარდა ერთი რაიონისა (წინოშვილის თემი), სადაც კოლმეურნეობებიდან გამოვიდა წევრთა შემადგენლობის 50 პროცენტი. გაზაფხულის დამდეგიდან მაზრაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩაის პლანტაციების გაშენებას, რომლის გეგმაც გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მიწის მოხვნა ამის გამო დაგვიანებით დაიწყო და 10 აპრილისათვის მოხნული იყო 8.377 ჰექტარი. კონტრაქტაციის გეგმა მაზრაში შესრულებულია გადაჭარბებით. მაზრა განიცდის ბრინჯისა და კარტოფილის თესლის ნაკლებობას. ბრინჯის შეძენა განზრახულია აჭარისტანში, ხოლო კარტოფილის სათესლე მასალის შეძენის იმედი მეტად ნაკლებია.

მანქანა - იარაღები მაზრაში მთლიანად გამოყენებული არ არის. სატრაქტორო სადგურის მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ მაზრაში არ მოიპოვება შემკეთებელი სახელოსნო და სულ მცირედი შეკეთებისთვისაც კი საჭიროა ტრაქტორების ბათომში ან სამტრედიაში წაღება. გამოურკვეველია, თუ ვის ეკუთვნის მუშა - საქონლის კოლონა. საჭიროა ამ საკითხის დაჩქარებით მოგვარება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშა - საქონელს საფრთხე მოელის. შრომის ორგანიზაციის საკითხები მაზრაში დამუშავებული იყო ჯერ კიდევ თებერვალში. შემუშავებულია ტარიფიკაცია და სამუშაოთა თანრიგებათ დანაწილება. შრომის აღრიცხვა უმთავრესად პრიმიტიულად სწარმოებს, ბევრგან კი ეს საქმე სრულიად მოუგვარებელია. მაზრაში გავრცელებულია სანარდო მუშაობა, რომელსაც თან ახლავს ზოგიერთი დეფექტი. ინდივიდუალური მეურნეობები მიტოვებულნი არიან უყურადღებობით. მათ არ ეწევათ არავითარი დახმარება. კოლმეურნეობებში სრულიად მოუგვარებელია ანგარიშწარმოება. საჭიროა დაჩქარებით შემუშავდეს ანგარიშწარმოების მთლიანი სისტემა, რომელიც შემოღებული უნდა იქნეს საქართველოს ყველა რაიონებში. მიწადმოწყობა მაზრაში ჩატარებული არ არის, კოლმეურნეობებს მიწები გამოეყოთ პრიმიტიული წესით.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა-ქ. დეპ. სააგენტოსაგან)

კოლექტივის აქტიური მუშაკის მოკვლა

გორი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) 14 აპრილს ქარელიდან 3 კილომეტრის დაშორებით მოჰკლეს დირბის საბჭოს აქტიური წევრი და სოფ. ძლევის-ჯვარის კოლმეურნეობის გამგეობის წევრი ამხ. მირონ ჩანგელაშვილი. მოკვლა დაუპირეს აგრეთვე ადგილობრივ მასწავლებელ ქალს ელისაბედ ზუციშვილს, მაგრამ იგი შემთხვევით გადარჩა. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

ტრაქტორები ხშირად ფუჭდება

გორი, 15 აპრილი. (საქ. კორ.). სოფლის საბჭოებიდან გორის ოლქაღმასკომს მოსდის ცნობები, რომ ტრაქტორები, რომლებიც შეკეთებული იყო მიწსახკომის და გორის სარემონტო სახელოსნოს მიერ (მაგ., ოსიაურის, ბრეთის, ფცის და გომის ტრაქტორები) სისტემატიურათ ზიანდებიან, რის გამო ვერ მუშაობენ მთელი 4-5 დღის განმავლობაში. გორის სარემონტო სახელოსნოში შეკეთებული ტრაქტორები მალე ფუჭდებიან. ტრაქტორების გაფუჭების მიზეზათ აუცილებლათ ტრაქტორისტების დაუდევრობაც უნდა ჩაითვალოს. მუშაობის გათავების შემდეგ ტრაქტორები არ იწმინდება ტალახისაგან, მათ თავის დროზე არ აძლევენ საზეთავ მასალას და სხ. ოლქაღმასკომმა დაავალა რაიაღმასკომებს მიიღონ გადამჭრელი ზომები ტრაქტორების მუშაობის შემაფერხებელ მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ამასთანავე საჭიროთ იქნა ცნობილი ტრაქტორისტების პასუხისმგებლობის გაძლიერება მანქანის მოვლის საქმეში.

მოხნულია მიწების 66 პროც.

გორი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) 10 აპრილისათვის გორის ოლქში მოხნულია 30.409 ჰექტარი, რაც უდრის გეგმის 66 პროც. დათესილია სხვადასხვა კულტურებით 7070 ჰექტარი. უკანასკნელ დღეებში თესვა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

—:—

ეცნობიან ამხ. სტალინის წერილს

გორი, 15 აპრილი. (საქ. კორ.). ოლქის ქალაქის საბჭოების გაფართოებული სხდომები პროფკავშირთა აქტივთან ერთად იხილავენ ამხ. სტალინის წერილს და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებას კოლმეურნეობებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ. გორის ქალაქის საბჭოს სხდომაზე გამოსული მუშები ამხ. სტალინის წერილს სთვლიდნენ საუკეთესო საშუალებათ დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად.

სასოფლო საბჭოებიც ეცნობიან სტალინის წერილს და მთავრობის დადგენილებებს კოლმეურნეობებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ. ამხ. სტალინის წერილის განმარტებამ გააძლიერა ღარიბ და საშუალო გლეხობის ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

საოლქო კომიტეტმა ამხ. სტალინის წერილი „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს" გაავრცელა გლეხობაში 40.000 ცალი. გარდა ამისა, დაბეჭდილი და გავრცელებულ იქნა ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებები კოლმეურნეობათა შეღავათების შესახებ.

იმ სოფლებში, სადაც სტალინის წერილი და ცეკას დადგენილება იქნა განხილული, შემოდის განცხადებები კოლმეურნეობებში მიღების შესახებ. სოფ. ქვ. გომის კოლმეურნეობაში განცხადება შეიტანა 54 ღარიბ და საშუალო გლეხმა. სოფ. ახალციხეში განცხადება შეიტანა 76 მეურნემ, სოფ. ნიქოზში 85, სოფ. მეტეხში 64, ქვ. ჭალაში 17, ლამისყანაში 19, ხიდისთავში 8 მეურნეობამ. განცხადებებში გლეხები აღნიშნავენ, რომ იცნობენ წესდების შინაარს (რომელიც ამჟამად ფართოდ მუშავდება სოფლებში).

150 ფ. ლობიო სათესლედ

ოზურგეთი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) ოზურგეთის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობამ კოლმეურნეობათა სამაზრო ცენტრს დაუთმო 150 ფუთი ლობიო სათესლედ კოლექტივებისათვის.

ამხ. შ. ელიავა სენაკის მაზრაში

ახალსენაკი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) ა-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. ელიავამ დაათვალიერა აბაშის, ონტოფოს, სეფიეთის, ბანძის და ძველი სენაკის კოლექტივები. მან ინახულა სამუშაოზე გასული კოლექტივის წევრები, რომლებთანაც ისაუბრა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე. 13 აპრილს პარტიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმს ამხ. შ. ელიავამ მისცა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებები საკოლმეურნეო მუშაობაში დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად. 14 აპრილს ამხ. შ. ელიავა გაემგზავრა ლეძაძამის, ნოქალაქევის და მარტვილის რაიონის კოლმეურნეობების დასათვალიერებლად.

—:—

ზუგდიდის მაზრის კოლმეურნეობებში

ზუგდიდი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) მაზრაში ხვნა გაცხოველებით მიმდინარეობს. 10 აპრილამდე კოლექტივებში მოხნულია 4008 ჰექტარი, ინდივიდუალურ სექტორში—22502 ჰექტარი, სულ 26.505 ჰექტარი ანუ გეგმის 88 პროცენტი. მთაგორიან რაიონებში თესვა უკვე დაიწყო. დღემდე დათესილია 100 ჰექტარამდე. ჩაის კულტურისათვის მიწები დამუშავებულია კოლექტივებში 158 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 680 ჰექტარისა, საბჭოთა მეურნეობებში—450 ჰექტარი, ნაცვლად 600 ჰექტარისა და ინდივიდუალურ მეურნეობებში—88 ჰექტარი, ნაცვლად 270 ჰექტარისა. ამგვარად, სულ დამუშავებულია 1191 ჰექტარი, ანუ გეგმის 80 პროცენტი. კონტრაქტაცია ჩატარებულია 731 ჰექტარ ჩაიზე ანუ გეგმის 82 პროც., 487 ჰექტარ თამბაქოზე —გეგმის 49 პროცენტი, 1872 ჰექტარ სოიაზე —გეგმის 98 პროცენტი, 8 ჰექტარ რამიზე —გეგმის 3 პროცენტი, 403 ჰექტარ კენაფზე—გეგმის 102 პროცენტი, 18118 ჰექტარ სიმინდზე—გეგმის 93 პროცენტი. კონტრაქტაციის გეგმა მთელ რიგ კულტურებზე არ არის შესრულებული. ამის მთავარი მიზეზი ზოგიერთ [illegible], რის გამო ხელახლა შეიქნა საჭირო საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება კერძო მეურნეობებთან, რაც ეხლა მიმდინარეობს. თესლით მაზრა უზრუნველყოფილია. მიღებულია 2000 ფუთი ხარისხოვანი თესლი, რომელიც გაუნაწილდა კოლმეურნეობებს. სწარმოებს შეგროვილი თესლის დახარისხება და გადაცვლა ხარისხოვან თესლზე. არ არის მხოლოდ რამის და კარტოფილის თესლი. „სოფლის კავშირი" კი მხოლოდ დაპირებებით კმაყოფილდება. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება აღნიშნული სათესლე მასალის გადმოსაგზავნად, წინააღმდეგ შემთხვევაში კარტოფილისა და რამის თესვის გეგმას ჩაშლა მოელის.

—:—

გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

ოზურგეთი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) მინდვრად გაცხოველებული მუშაობაა. სილაურის კოლექტივმა 240 ჰექტარიდან მოხნა 150. ჩაის თესვის გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, კარტოფილის—100 პროცენტით. სულიერი განწყობილება კოლექტივში მტკიცეა.

—:—

სესხის მიღება

ოზურგეთი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) ოზურგეთის მაზრის კოლმეურნეობათა ცენტრმა მიიღო გრძელვადიან სესხად 85.000 მანეთი შრომის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად კოლექტივებში. მიღებული თანხიდან მთლიან კოლექტივებზე განაწილებულია 20.000 მანეთი.

—:—

მანქანების და საქონლის კოლონები

ოზურგეთი, 15 აპრილი. (საქ. კორ.) მაზრაში არის ერთი სატრაქტორო კოლონა 10 ტრაქტორით, ერთი ცხენის კოლონა 82 ცხენით და ხარების ორი კოლონა 40 უღელი ხარით. კოლონები ემსახურებიან კოლმეურ[illegible]

შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში აზერბეიჯანში

(აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრკომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებიდან)

ბაქო, 15 აპრილი. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სავსებით და მთლიანად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებას და ამხ. სტალინის წერილს საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ. აზ. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მითითებები კოლექტივიზაციის ტემპებისა და ამიერ - კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინების შესახებ დროულად იყო მიღებული ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში, მშენებლობის ყველა ნაკლოვანებათა ბოლო- მაგრამ ამ მითითებებმა სათანადო გამოხატულება ვერ ჰპოვა კოლექტივიზაციის პრაქტიკაში აზერბეიჯანში, რის გამო დაშვებულ იქნა მთელი რიგი ტლანქი შეცდომები:

ა) აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკამ აიღო შემცდარი კურსი საკოლმეურნეო მშენებლობის დაჩქარებაზე. აზ. კ. პ. (ბ) ცეკამ თავისებურებათა სათანადოთ გათვალისწინებისა და წინასწარი ფართოდ გაშლილი განმარტებითი კამპანიის გარეშე გამოიტანა დადგენილება განჯის ოლქისა და მთელ რიგ რაიონების მთლიანი კოლექტივიზაციის შესახებ.

ბ) თებერვალში აზ. კ. პ. (ბ) ცეკამ მიიღო შემცდარი დადგენილება მესაქონლეობის კოლექტივიზაციის შესახებ, რომელიც შესაძლებლად თვლიდა მთელი საქონლის (ცხვრებისა და ღორებისაც კი) და აგრეთვე მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კოლექტივიზაციას.

გ) აზ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 26 იანვრის დადგენილებაში მოცემულია პოლიტიკურად შემცდარი დირექტივა განკულაკების მოხდენის შესახებ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებს გარდა, საზღვართან მდებარე რაიონებშიც.

ამასთან ერთად აზ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს უტლანქეს პოლიტიკურ შეცდომებსა და პარტიის ხაზის გამრუდებას საკოლმეურნეო მშენებლობაში ადგილებზე.

ციფრების გამოდევნების გამო ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ უტლანქეს ადმინისტრატიულ ღონისძიებებს მიმართა განკულაკების დარგში, დაუშვა გადახრები კოლექტივიზაციის დაბალი საფეხურებიდან უმაღლესზე, ძალით „მიერეკებოდა" კოლმეურნეობაში საშუალო გლეხს.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას პრეზიდიუმი არ სთვლის საკმაოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულია, როგორც აზ. კ. პ. (ბ) ცეკას შემცდარ დადგენილებათა, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ დაშვებულ გამრუდებათა გამოსასწორებლად და წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს:

ა) განაგრძონ შეურიგებელი ბრძოლა პარტიის ხაზის გამრუდებასთან სოფლად;

ბ) უმოკლეს დროში მიაღწიონ დაშვებულ შეცდომების, განსაკუთრებით საშუალო გლეხის მიმართ დაშვებული შეცდომების მთლიანად გამოსწორებას;

გ) განავითარონ უფართოესი განმარტებითი კამპანია, როგორც ქალაქად, ისე განსაკუთრებით სოფლად, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებისა და ამხ. სტალინის წერილის საფუძველზე;

დ) უახლოეს დროში მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების მუშაობაში სოფლად.

აზ. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმი სავსებით უერთდება საქ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის 10 აპრილის დადგენილებას ამიერ - კავკასიაში საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების შესახებ და წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს განავითარონ საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკა, მტკიცედ ებრძოლონ შეცდომებისა და გამრუდებათა მიჩქმალვის ცდას (ადს).

„სოფლის კავშირი"-ს მუშაობა სუსტია

(კახეთი)

თესვის კამპანიასთან დაკავშირებით „სოფლის კავშირმა" დიდძალი მუშაკები მიავლინა ოლქში, მათ შორის ბევრია აგრონომები, ტექნიკოსები და სხვა დარგის სპეციალისტები. „სოფლის კავშირის" ხაზით უნდა მოწყობილი- კოლონა და სხვა. ყველა ეს სამუშაოები უნდა ყოფილიყო მათთვის სანიმუშო ბოსტნები. უნდა მოწყობილიყო 3 მანქანა-იარაღების სარემონტო სახელოსნო, ორი ახალი სატრაქტორო კოლონა და სხვა. ყველა ეს სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო გაზაფხულის თესვისათვის. მაგრამ დღემდე არც ერთი საქმე არ არის დამთავრებული ხმაურობა და ფუსფუსი კი ბევრია. არსებული ორი სატრაქტორო კოლონის (აფენის და ლაგოდეხის) ფაქტიური ხელმძღვანელობა ეკუთვნის „სოფლის კავშირს", მაგრამ ამ ხელმძღვანელობას ჩვენ ვერ ვხედავთ. ამ სატრაქტორო კოლონებს დღემდე არ აქვთ დებულება. კოლონების გამოყენება არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩვენ არ ვიცით რა ეღობება წინ „სოფლის კავშირის" მუშაკთ, მაგრამ, სხვათა შორის, თვალსაჩინო დეფექტად ვსთვლით შემდეგს:

მივლინებული მუშაკების უმეტესობა არ არიან სათანადოდ შერჩეული და გამოცდილი იმ საქმეებში, რომელსაც მათ აკისრებენ; მუშაობა სწარმოებს თესვის კამპანიის ხელმძღვანელ ორგანოებთან მჭიდრო კავშირის გარეშე; მუშაობაში არ არის დაცული გეგმიანობა, მომუშავეთა ნაწილი არც კი იცნობს იმ დებულებას, რომლის საფუძველზე უნდა იმოქმედოს. თვითეული თავისი პირადი შეხედულობით მოქმედობს.

აშკარაა, თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდა, მათი მუშაობა ვერ იქნება ნაყოფიერი.

მთესველი.

გურჯაანის კოლექტივის ძეხვის ქარხანა

ანუ

როგორ არ უნდა მუშაობდეს კოლექტივი

როგორც ეს გამოირკვა გურჯაანის გაერთიანებული კოლექტივის „ოქტომბრის რევოლუციის" დაშლის შემდეგ, მას მოწყობილი ჰქონია ძეხვის ქარხანა, რომელიც არ იყო არავითარ საწარმოო გეგმაში გათვალისწინებული და არც რომელიმე ორგანოსაგან ჰქონია ნებართვა კოლექტივს მისი მოწყობის შესახებ. ის მოაწყვეს საკუთარი ინიციატივით კოლექტივის ერთ-ერთი ხელმძღვანელს ჯავახიშვილს. კოლექტივის „მესვეურები" ჰკლავდნენ კოლექტივში გაერთიანებულ უქმლობითა და მოუვლელობით დასუსტებულ საქონელს მათი უვარგისობის საბაბით, ჰკლავდნენ აგრეთვე ღორებს და სხვა წვრილფეხა საქონელს და ნედლეულათ იყენებდნენ მას ძეხვისათვის. რომ მოგება მეტი მიეღოთ „ხელმძღვანელებს" გლეხებისაგან დასაკლავად მიღებულ საქონელს აფასებდნენ იაფად, თუ ღირდა 200—300 მანეთი, ფასდებოდა 30—50 მანეთად და ამ ანგარიშით უსწორდებოდნენ საქონლის მეპატრონეებს. ხშირად ამის გასასტუმრებლადაც ვერ ახერხებდნენ და იმ გლეხების უმრავლესობას, რომლებიც გავიდნენ კოლექტივიდან, ჯერ კიდევ არ აქვთ დაკლულ საქონელში მიღებული ფული. შემოსული თანხები გაცემულია ავანსებათ გლეხებზე, მათი კოლექტივში ყოფნის დროს, დაკლული საქონლის მეპატრონეები კი იძულებული არიან ანგარიშის გასწორებას უცადონ შემოდგომამდე.

ასეთივე უთავბოლობის ნაყოფია ისიც, რომ კოლექტივის წევრები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ ალაზნის არხზე სამუშაოდ, როგორც კოლექტივში ზედმეტი სამუშაო ძალა, 1.500 კაც-დღის შესრულების შემდეგ დაბრუნდნენ და კოლექტივს უჩვენეს დღიური გამომუშავების ნორმა 58 კაპ. რაოდენობით, კოლექტივი კი მათ უწერდა ნამუშევარ დღეებს, რომელთა განაკვეთი 2—3 მანეთამდე აღწევდა. აი, ასე იყო დაყენებული შრომის ორგანიზაცია, აღრიცხვა და დისციპლინა გურჯაანის კოლექტივში. გაერთიანების შემდეგ ამ კოლექტივში ითვლებოდა 1.700 წევრი. ასეთი მსხვილი კოლექტივი მოითხოვდა გამოცდილ და დაკვირვებულ ხელმძღვანელობას. მუშაობის ასე უთავბოლოთ დაყენებამ სახელი გაუტეხა კოლექტივს და ის კიდეც დაიშალა. მის ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი, უფრო მცირე რიცხოვანი, მაგრამ ჯანსაღი კოლექტივი. საჭიროა მისმა ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ მათი წინამორბედების შეცდომები, რაც საშუალებას მისცემს მათ ნდობა მოიპოვონ კოლექტივს და სულ ახლო მომავალში სრული ნებაყოფლობის ნიადაგზე კვლავ გააერთიანონ კოლექტივში ღარიბისა და საშუალო გლეხების უმრავლესობა.

ზანი.

შეფობა კოლექტივზე

(ჭიათურა)

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის რაიადგილკომთან არსებულ საშეფო საზოგადოების მიერ შეფობის ქვეშ იქნა აყვანილი ჭიათ. რაიონის სოფ. ზოდის კოლექტივი. შეფი გაემგზავრა სოფ. ზოდში 15 პროფმუშაკის შემადგენლობით, სადაც მათ დახვდათ კოლექტივის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო აგრეთვე კოლექტივის არა წევრი გლეხებიც.

შეფმა გადასცა კოლექტივს ერთი გუთანი, მწკრივად სათესი მანქანა, ფარცხი, სიმინდის საფშვნელი, ვენახის სარწყავი მანქანა, გოგირდის საბერველი და ჭიათურის რაიაღმასკომის მიერ გადადებული 100 ფუთი თივა მუშა-საქონლის საკვებათ.

პროფ-კავშირის წარმომადგენელმა კრებაზე მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობრივი მშენებლობის შესახებ. სიტყვებით გამოვიდნენ კოლექტივის წევრებიც. განსაკუთრებულ აქტიობას იჩენდნენ კოლექტივის წევრი ქალები, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი მთელი თავისი ენერგიით მოჰკიდებენ ხელს საერთო შრომას საერთო კეთილდღეობისათვის და მაგალითის მაჩვენებელნი გახდებიან ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის.

კრებაზე გამოვიდა ერთი მოხუცებული გლეხი, რომელმაც განაცხადა, რომ დღეიდან მას სურვილი აქვს შევიდეს კოლექტივში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შეფების მისვლამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებზე. სასურველია უფრო ხშირად მისვლა კოლექტივებთან და მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა.

ჭ. ჩარიგაია.

მუშაობა დაიწყო

(ბორჩალოს რაიონი, თბ. ოლქი)

ბორჩალოს რაიონში ტრაქტორები გაცხოველებით ხნავენ მიწებს. მიუხედავად ანტისაბჭოთა ელემენტების პროვოკაციისა, რომ ტრაქტორით მოხნული მიწა არ ვარგა, იგი ვერ ხნავს კარგათ, გლეხობა თავის თვალით დარწმუნდა წინააღმდეგში და პირი აქვს მათ. გლეხობა ხელშეკრულებას სდებს, რომ მათი მიწებიც ტრაქტორებმა მოხნან. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ტრაქტორისტი გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას, რითაც ხელს უწყობს ანტისაბჭოთა ელემენტების პროვოკაციას.

დ. ბ-ძე.

აზერბაიჯანის მშრომელთა მორიგი გამარჯვება

გიაურ-არხის საზეიმო გახსნა

ამხ. მიხა ცხაკაიას დეპეშა

ბაქო. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს—ბუნიატ ზადეს

ვულოცავ ბაქოს, მასთან ერთად მთელი აზერბეიჯანის პროლეტარიატს და წითელი აზერბეიჯანის მშრომელ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მეთაურობით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე ამ დიდ გამარჯვებას. ჩემი მხურვალე სალამი გიაურ-არხის ყველა ორგანიზატორებს და მხურვალე სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება მალე გვქონდეს ასეთი საჭირო არხები.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის პროლეტარიატის ყოველთვის ფოლადისებურ მტკიცე კავშირს წითელი და მშვენიერი აზერბეიჯანის მშრომელ გლეხობასთან!

გაუმარჯოს თურქული აზერბეიჯანის ყოველთვის განუყრელ ძმობას მთლიანი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და მთელი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებსა და საბჭოთა რესპუბლიკებთან!

გაუმარჯოს ახლო აღმოსავლეთის ავანპოსტზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე ჩვენს მოძმე წითელ აზერბეიჯანს, რომელიც ბოლშევიკური ტემპით და ლენინური ხაზის მტკიცედ დაცვით დაადგა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზას!

გაუმარჯოს თურქი მშრომელი მოსახლეობის ინტერნაციონალურ გეგმიან - სამეურნეო ერთობას და აღზრდას ამიერ - კავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის ყველა ნაციონალურ უმცირესობებთან და ხალხებთან!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის ბელადსა და მჭედელს — ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ)!

გაუმარჯოს მსოფლიო ძლევამოსილი ოქტომბერს და მის ორგანიზატორსა და ბელადს — ლენინურ კომინტერნს!

ერთხელ კიდევ ბოლშევიკურ ლენინურ სალამს გიძღვნით, ამხანაგებო, კომუნისტური გიაურ-არხის ორგანიზატორებო და ღრმა სინანულს გამოვთქვამ, რომ დღეს ფიზიკურადაც თქვენთან არა ვარ არხის საზეიმო გახსნაზე.

ამიერ - კავკასიის ცაკის თავმჯდომარე

მიხა ცხაკაია.

პარტიული მშენებლობა

ბოლშევიკური თვითკრიტიკის ლოზუნგის ფართოდ გაშლა

კომუჯრედების გადაუდებელი ამოცანაა

თბილისის პარტორგანიზაციის მრავალმა უჯრედმა ჯერ კიდევ პირი ვერ იბრუნეს წარმოებისაკენ. თვითკრიტიკის ლოზუნგი საკმაოდ არ არის გაშლილი. ლენინის რაიონის ზოგიერთ უჯრედებში ადგილი აქვს თვითკრიტიკის ჩახშობას.—პარტიულ მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლა ნელი ტემპით მიმდინარეობს.— პარტიის ზოგიერთი წევრები გაურბიან დამკვრელ ბრიგადებში მონაწილეობის მიღებას.

გარდავქმნათ პარტიული მუშაობის ძველი ფორმები და მეთოდები

უჯრედების ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანია თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიონებში დამთავრდა. საწარმოო უჯრედების კრებებზე ბიუროების საანგარიშო მოხსენებებთან ერთად დასმული იყო წარმოებათა ადმინისტრატორების თანამოხსენებები წარმოების მდგომარეობისა და საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში გამოსული უპარტიო მუშები მიუდგომლად ამჟღავნებდნენ წარმოების ნაკლოვანებებს, საწარმოო - საფინანსო გეგმის შეუსრულებლობას, დამკვრელთა მუშაობას, მუშათა აქტივობას სოც.შეჯიბრში და სხვა. კამათში საშუალოდ მონაწილეობა მიიღო კრებაზე დამსწრეთა 33,4 პროც. (ლენინის რაიონში). პარტიული და უპარტიო მუშების კამათში აქტიურად გამოსვლამ ხელი შეუწყო საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბებას და პარტიული მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლას. პარტიული მუშაობის ძველი ფორმები და მეთოდები გამოუსადეგარი შეიქნა ფართოდ გაშლილ სოც. მშენებლობის პერიოდში. მუშათა მასების აქტიურად ჩაბმა საწარმოო - საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში და საერთოდ წარმოების ცხოვრებაში, მოითხოვდა პარტიული უჯრედების მუშაობის შეთანხმებას წარმოების ახალ ამოცანებთან. პარტუჯრედები ხშირად მოწყვეტილი იყვნენ მასებისაგან, მთელ დროს ანდომებდნენ წარმოების მცირე მნიშვნელობის საკითხებს და ითვისებდნენ ადმინისტრატიულ ფუნქციებს.

პარტიის ზემდგომ ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება, როგორიცაა ერთმმართველობა, ბრძოლა დანაკარგებთან, ბრძოლა მავნებლობასთან, ბიუროკრატიზმთან, პროტექციონიზმთან, სამუშაო საათების უმიზეზოდ გაცდენასთან, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, სოც. შეჯიბრების ფართოდ გაშლა და სხვ. მოითხოვდა პარტიული მუშაობის ძველი ფორმების და მეთოდების შეცვლას. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რომ უჯრედების ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებული იყო პარტიულ მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გარდაქმნის საკითხი. ამ მიმართულებით უკვე რაიონების უჯრედებმა გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები; ყველა უჯრედებში გაუქმებულია კომისიები და მათ ნაცვლად შექმნილია სექტორები. წინად უჯრედის წევრთა ერთი ნაწილი დატვირთული იყო პარტიული მუშაობით, ამჟამად კი დარჩენილი არ არის პარტიის არც ერთი წევრი, რომ მონაწილეობას არ ღებულობდეს რომელიმე სექტორში. უჯრედებში ორგანიზებულია სექტორია შექმნილი და უჯრედის მთელი მუშაობა ცალკე სექტორებს შორისაა განაწილებული. პარტიის თითოეული წევრი ნებაყოფლობით შედის იმ სექტორში, სადაც მას მუშაობა შეუძლია.

ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დროს უპარტიო მუშების საუკეთესო ნაწილი დაირაზმა პარტიის გარშემო. მუშებმა კოლექტიური განცხადებები შეიტანეს ბიუროებში პარტიაში მიღების შესახებ. მარტო ლენინის რაიონში 2.172 მუშამ განაცხადა სურვილი პარტიაში მიღების შესახებ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ უპარტიო მასებში პარტიის ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა.

საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიამ გამოამჟღავნა, რომ მთელ რიგ უჯრედებში (ლენინის რაიონი) ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ლოზუნგის დამახინჯებას. თვითკრიტიკა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა მუშათა კლასის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის იარაღათ და პარტიის მეტ დასაახლოებლად პროლეტარულ მასებთან. 26-ის რაიონში მთელ რიგ საწარმოების მუშებმა არც კი იციან თუ რა არის თვითკრიტიკა. მრავალი უჯრედები (ქალაქის რაიონი) არ იცნობენ ერთმმართველობის მნიშვნელობას. კომუნისტები და კომკავშირელები სუსტ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათი მცირე ნაწილია ჩაბმული დამკვრელ ბრიგადებში (26-ის რაიონი).

ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დროს მარტო ლენინის რაიონის 15 უჯრედში კამათში მონაწილეობა მიიღო 45 უპარტიო მუშამ. მუშათა მასების აქტივობა იმაშიც გამოიხატება, რომ ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დროს წარმოებებში ეწყობოდა ახალ-ახალი დამკვრელი ბრიგადები.

მთელი რიგი საამქროები მუშებმა დამკვრელ საამქროებად გამოაცხადეს. ლენინის რაიონში ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის შემკრებ საამქრომ, ამხ. კალინინის სახ. ქარხანამ და აგურ - ქარხანამ თავიანთი თავი დამკვრელებად გამოაცხადეს. მარტო მაუდის ფაბრიკაში ჩამოყალიბდა 16 დამკვრელი ბრიგადა.

ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიამ ცხადყო, რომ მთელ რიგ უჯრედებს ჯერ კიდევ პირი არ უბრუნებიათ წარმოებისაკენ. პარტიული მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გარდაქმნა კი ხელს შეუწყობს პარტუჯრედების აქტიურ მონაწილეობას სოც. მშენებლობაში.

ა. ქ.

რა გამოამჟღავნა

უჯრედების ბიუროების გადარჩევამ

(26-ის რაიონი)

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26-ის რაიონის უჯრედების ბიუროების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია ჩატარდა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. ბიუროების გადარჩევის დროს უჯრედების მთავარი ყურადღება მიქცეული იყო პარტიის ძირითად ამოცანების შესრულების ირგვლივ, როგორიცაა: საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, საკოლმეურნეო მოძრაობის სწორი ხელმძღვანელობა, ერთმმართველობის გატარება, საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მზადება, თვითკრიტიკის ლოზუნგის ფართოდ გაშლა და სხვ.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა რაიონში დაიწყო 25 იანვარს და დამთავრდა 16 თებერვალს. საანგარიშო საგადარჩევო კამპანია ჩატარდა 52 უჯრედში. დანარჩენ უჯრედებში ბიუროების გადარჩევა დამთავრდა კამპანიის დაწყებამდე. უჯრედების ბიუროების მუშაობის შემოწმებაში პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობის ჩაბმის მიზნით უჯრედებში ჩამოყალიბებული იყო საინიციატივო ჯგუფები. საინიციატივო ჯგუფებში ჩაბმული იყო 800 კაცი. აღნიშნული ჯგუფები ამოწმებდნენ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას; ისინი იკვლევდნენ თუ რამდენად შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, რა დახმარება გაუწია ბიურომ მუშათა გამომგონებლობას, როგორ მუშაობდა საწარმოო თათბირები, გატარდა თუ არა ერთმმართველობა, როგორ არის გაშლილი თვითკრიტიკის ლოზუნგი, როგორ დაამუშავა უჯრედმა ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხი, როგორ ხელმძღვანელობას უწევს კომკავშირის უჯრედებს და სხვა. გარდა ამისა საინიციატივო ჯგუფებს უჯრედების პლენუმებზე გამოქონდათ პრაქტიკული მითითებები მუშაობის ამა თუ იმ დარგისათვის.

საინიციატივო ჯგუფების მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ საინიციატივო ჯგუფების მუშაობა წელს პირველად იყო შემოღებული პრაქტიკაში. ზოგიერთ უჯრედებში საინიციატივო ჯგუფებს თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ (ნავთლუღის სასაკლაოს და სხ. უჯრედები).

რაიონის 52 უჯრედში ირიცხება პარტიის 2,328 წევრ-კანდიდატი. საანგარიშო-საგადარჩევო კრებებს დაესწრო 1932 კაცი (82 პროც.), უჯრედის წევრები და უპარტიო მუშები საანგარიშო კრებებზე ასი პროცენტით დაესწრნენ ტყავის პირველ ქარხანაში, არსენალში, „მკერავი" № 2-ში, სასაკლაოში და სხვ.

უჯრედების ბიუროების საანგარიშო-საგადარჩევო კრებებზე გამჟღავნდა პარტიული მუშაობის ძველი ფორმებს და მეთოდების დეფექტები, მართალია, უჯრედებმა პირი იბრუნეს წარმოებისაკენ, მაგრამ ზოგიერთი უჯრედები ჯერ კიდევ სუსტ მონაწილეობას ღებულობენ წარმოების ცხოვრებაში. ტყავის პირველ ქარხანამ, ფეხსაცმელების ფაბრიკამ, ნაბდის ფაბრიკამ და სხვა პირველ კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა ვერ შეასრულეს. კომუჯრედები კი თავის დროზე ვერ ღებულობდნენ ზომებს აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად. ზოგიერთ უჯრედებს არც კი შეუმოწმებიათ თუ რამდენად შესრულდა პირველ კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში და კერძოდ დამკვრელ ბრიგადებში კომუნისტებისა და კომკავშირელების მონაწილეობა რაიონში მოისუსტებს. სოც.შეჯიბრების და დამკვრელი ბრიგადების მუშაობის შედეგების აღრიცხვა არ არის მოწესრიგებული. ერთმმართველობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ იციან მუშათა ფართო მასებმა.

26-ის რაიონის უჯრედებმა ერთსულოვნად სასტიკი პასუხი გასცეს, როგორც მემარჯვენე ოპორტუნისტებს, ისე მათ მოკავშირე „მემარცხენეებს". 26-ის რაიონის ორგანიზაცია პარტიის გენერალურ ხაზს მტკიცედ და შეურყევლად ატარებს.

უჯრედების ბიუროების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებული იყო პარტიულ მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლა. რაიონში არ დარჩენილა არც ერთი უჯრედი, სადაც ჩამოყალიბებული არ იყოს სექტორები. საერთოდ რაიონის ორგანიზაცია ბიუროების გადარჩევების შემდეგ გადასულია პარტიული მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე.

ს.—ნია.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა ლენინის რაიონში დამთავრდა

ლენინის რაიონში უჯრედების ბიუროების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 8 იანვარს.

უჯრედების საანგარიშო-საგადარჩევო კრებებზე ბიუროების საანგარიშო მოხსენებების გარდა დასმული იყო სამეურნეო მუშაკების თანამოხსენებები. პარტიული მასა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საანგარიშო მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში. მუშათა უჯრედების ღია კრებებზე პარტიის წევრთა დასწრება უდრიდა 73 პროცენტს. საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული პარტიის წევრები და უპარტიო მუშები გაბედულად გამოდიოდნენ და ამჟღავნებდნენ ბიუროს მუშაობის დეფექტებს.

ბიუროების საანგარიშო მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ რაიონის ზოგიერთ უჯრედებში ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ჩახშობას, მაგ. ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის ელექტრო-საამქროს უჯრედის სხდომაზე მუშები აღნიშნავდნენ, რომ საამქროს გამგე სკანდიანსკი ახშობდა თვითკრიტიკას; ანძისაშენის უჯრედიდან ამხ. მეგრელიანმა აღნიშნა, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგის მნიშვნელობა არ იციან მუშათა მასებმა. 26 კომუნარების სახ. ქარხნის მუშებიც ამხ. შიშინი, რომიკო, ავეტისიანი და სხვები აცხადებდნენ, რომ უჯრედში თვითკრიტიკა არ არის სათანადოთ გაშლილი, ზოგიერთ საამქროებში შემჩნეულია თვითკრიტიკის ჩახშობის მაგალითები.

კამათიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ წარმოებებში უჯრედების ბიუროები ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხებს არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას. მაგ. სავაგონო პარკის უჯრედის სხდომაზე ამხ. კარპენკო აცხადებდა, რომ ბრძოლა ორ ფრონტზე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაშლილი. ადგილი აქვს გადახრებს, მაგრამ მის წინააღმდეგ უჯრედის ბიურო არ აწარმოებდა ბრძოლას. პარტიის ზოგიერთი წევრები გაურბოდნენ კოლმეურნეობებში გაგზავნას, მათ არ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ სოც. შეჯიბრებაში და დამკვრელ ბრიგადებში.

ზოგიერთ უჯრედებში ადგილი ჰქონია დაჯგუფებას და ინტრიგას, მაგ. რკინის გზის საავადმყოფოში, სამჭედლო - საამქრო და სხვ.

უჯრედები სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ტრამვაის მესამე უჯრედის ბიურო ყურადღებას არ აქცევდა პარტიის წევრების დატვირთვის რაციონალურად განაწილებას, რის გამო ამხანაგების ერთი ნაწილი ძალზე დატვირთული იყო.

უჯრედების ბიუროების საანგარიშო საგადარჩევო კამპანიის დროს პარტიაში შესვლის შესახებ 3 მარტისათვის ბიუროებში განცხადება შეიტანა 2172 კაცმა. 1655 მუშა-მოსამსახურემ თავიანთი მიწები კოლექტივებს გადასცა.

რაიონში ბიუროების ახალ შემადგენლობაში არჩეულია 502 ამხანაგი, მათ შორის 29 ქალია. (5,8 პროცენტი,) 308 დაზგის მუშა (74,7 პროც.); ბიუროების შემადგენლობა განახლებულია 63,8 პროცენტით.

ნ—ა.

დაიწყო დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიური

გორჯომის საკასრე ქარხანამ დანაკარგებთან ბრძოლის საუკეთესო ნიმუში მოგვცა

არ უნდა დავივიწყოთ დანაკარგებთან ბრძოლა სოფლის მეურნეობაში

უყურადღებოთ იღუპება დიდძალი სიმდიდრე

სატყეო მრეწველობაში არაფერი გაკეთებულა, დანაკარგების შესამცირებლად

სატყეო მრეწველობის დარგში დანაკარგებთან ბრძოლის შედეგები ჯერ კიდევ უცნობია არა მარტო ამიერ-კავკასიის ტყის მრეწველობის ტრესტისათვის, არამედ ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელებისა და მუშებისთვისაც. მართალია, თვითეულ საწარმოსთან გამოყოფილი იყვნენ დანაკარგებთან მებრძოლი კომისიები, ხოლო ზოგან კი ამ საქმის მოწესრიგება დაევალათ ადგილობრივ რაციონალიზატორებს, მაგრამ ეს კომისიები ბევრგან მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, საქმით თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. ეს, რა თქმა უნდა, ყველა საწარმოებზე არ ითქმის. არიან ისეთი საწარმოებიც (მცხეთის სახერხი ქარხანა და ბორჯომის საკასრე ქარხანა), სადაც დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში უკვე მიღებულია საყურადღებო ეფექტი.

საწარმოების უმრავლესობა ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ ობიექტების უბრალო აღრიცხვით, სადაც დანაკარგებს აქვს ადგილი. მაგ. მაგალითად, თბილისის სახერხმა ქარხანამ ზუსტად გამოიანგარიშა, რომ სატყეო მორების ნადანაჭრების სახით, მარტო ეს ქარხანა ყოველწლიურად კარგავს 860 კუბ. მეტრ ისეთ ხის მასალას, რომელიც, მისი გამოყენების შემთხვევაში, წარმოებას მისცემდა 3.000 მანეთ შემოსავალს. იგივე ქარხანა გარდა ამისა კარგავს ხის ნახერხის მთელი წლიური რაოდენობის 10 პროცენტს. ნახერხების გამოყენება წარმოებას ყოველწლიურად მისცემდა 80.000 მანეთ წმინდა შემოსავალს. ფიცრების ჩამონაჭრების სახით კი იგივე ქარხანა კარგავს 7.000 მანეთს და სხ.

ასევე ითქმის ფანერის ფაბრიკის შესახებ. ფანერის ფაბრიკაში მოახდინეს დანაკარგების აღრიცხვა და გამოარკვიეს, რომ შესაძლებელია წუნდებული ფანერის გამოყენება, მისი უფრო პატარ-პატარა ზომის ფურცლებათ გადაკეთება და აქედან მხარგრულ გარეგნობის ფანერის მიღება. მარტო ფანერის სახით ფაბრიკა ყოველწლიურად კარგავს დამზადებული ფანერის 5—6 პროცენტს წუნდადებული ფანერის გამოუყენებლობით წარმოება ყოველწლიურად ზარალობს 20.000 მანეთზე მეტს

დანაკარგების აღრიცხვა თითქმის ყველა საწარმოებში ჩატარდა, თუმცა ეს აღრიცხვა სრული არაა და ყველა საწარმომ არ იცის, თუ გარდა უმთავრესი დანაკარგებისა, რა სახის წვრილმანი დანაკარგებს აქვს კიდევ ადგილი.

სანიმუშო ბრძოლა დანაკარგებთან

უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ მცხეთის სახერხ ქარხანაში დაიწყეს ნახერხისაგან საწვავი ბრიკეტების კეთება.

მცხეთის ქარხანა ამზადებს ისეთი ღირსების საწვავ ბრიკეტს, რომელიც არაფრით ჩამორჩება საუკეთესო ავსტრიულ ბრიკეტებსაც კი.

დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში დიდ აქტივობას იჩენს ბორჯომის საკასრე ქარხანაც. წინად ბორჯომის წყლის ბოთლების გამოსაზიდავი ყუთები ჩამოჰქონდათ საბჭ. კავშ. შორეული კუთხეებიდან, ხოლო აქვე საკასრე ქარხანაში გამოუყენებლად ილპებოდა ტკიის დამზადების შემდეგ დარჩენილი საუკეთესო საყუთე მასალა. ამჟამად ბორჯომის საკასრე ქარხანასთან უკვე მოწყობილია საყუთე სახელოსნო, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს ყუთებით ბორჯომის წყლის ჩამომსხმელ ქარხანას.

ამასთანავე ბორჯომის საკასრე ქარხანამ რამოდენიმე კვირის წინათ დაიწყო კვერცხების სახვევი ბურბუშელას დამზადება. ხილის და განსაკუთრებით კი კვერცხების შორ მანძილზე გადასატანათ საჭიროა სპეციალური სირბილის ბურბუშელა, რომელიც მიმდინარე წლამდე საქართველოში არ მზადდებოდა. აღნიშნულ ქარხანასთან ნარჩენების სახით გროვდებოდა ათურებელი ხის ნაჭრები, რომელთაც ხმარობდნენ შეშის მაგიერ. ამჟამად მასალებიდან ამზადებენ უფრო ძვირფას პროდუქტს—ბურბუშელას, რაც ქარხანას მისცემს რამოდენიმე ათასი მანეთის სარგებელს ყოველწლიურად.

ხის ისეთი წვრილ ნაჭრებიდან კი, რომლებიც არ გამოდგებიან არც ბურბუშელას გასაკეთებლად და არც სხვა რამ სამრეწველო მიზნისათვის, დაწყებულია სახაზო სათამაშოებისა და ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის ნივთების დამზადება.

ბორჯომის საკასრე ქარხანა იმ მიღწევებით არ დაკმაყოფილდა. ამჟამად დაიწყო კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საქმე—წიწვოვანი ჯიშებისაგან ნახერხის გამოყენება სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის. სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დასკვნით წიწვიანი ჯიშის ხეების ნახერხი ერთი საჭირო პროდუქტთაგანია მინდვრის მავნებლებთან. განსაკუთრებით კი კალიასთან საბრძოლველად (ნახერხს ურევენ ქიმიურ პროდუქტებში, რომლითაც კალია იწამლება).

დამამზადებელ რაიონებს სძინავთ

გარდა ფაბრიკა-ქარხნებისა, დიდძალ დანაკარგებს აქვს ადგილი სატყეო მასალათა დამამზადებელ რაიონებშიც აღსანიშნავია, რომ დამამზადებელ რაიონებში იკარგება უფრო ძვირფასი ნარჩენები, ვიდრე საწარმოებში. ამიერ-კავკასიის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის ტრესტში მიღებული ცნობებით მარტო დასავლეთ საქართველოში ყოველწლიურად ნადგურდება დიდძალი რაოდენობის იფნის (კოპიტა) ხე, რომელსაც ადგილობრივ ხმარობენ როგორც შეშას. იფნა ერთად-ერთი ჯიშია, საიდანაც კეთდება ეტლებისა და ურემების თვლები, რაზედაც ოდენ მოთხოვნილებაა მთელ საბჭოთა კავშირში.

მეორეს მხრივ, ხის მოჭრაც არ სწარმოებს ისე, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი იქნეს მიღებული მოჭრილი ხისაგან. ხეების მოჭრის შემდეგ ხშირად ძირზე რჩება დიდი მორები.

დამამზადებელ რაიონებში, როგორც ვთქვით, ბრძოლა დანაკარგებთან არც კი უფიქრიათ. თავის გამართლება ამ მხრივ არ შეუძლია არც ტრესტს და არც დამამზადებელი რაიონების ხელმძღვანელებს. ეს უკანასკნელნი თავის გასამართლებელ საბუთად იმას დაასახელებენ, რომ ამჟამად მათ წინაშე მეორე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა—სახელდობრ, მათ უნდა მოასწრონ მასალების დამზადება და გამოტანა ტყეებიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დანაკარგებთან ბრძოლის დაწყება, თუ ეს საქმე სალ ორგანიზაციულ ფორმებში იქნება ჩამოყალიბებული, ხელს არ შეუშლის დამამზადებელ რაიონებს საწარმოო გეგმის შესრულებაში, პირიქით, უფრო გააადვილებს ამ გეგმის შესრულებას

დ. ლ—ძე.

მიწსახკომი მხოლოდ ეხლა იწყებს სამზადისს

როგორც ვიცით, დანაკარგებს ადგილი აქვს არა მარტო მრეწველობაში, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგებშიც. ამას დაგვიანებით გაეწია ანგარიში და ამიტომ მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში მოწვეული იყო ყველა სამეურნეო ორგანიზაციების (მათ შორის მიწსახკომის და წყალთა მეურნეობის სამმართველოს) წარმომადგენელთა თათბირი დანაკარგებთან ბრძოლის დაწყების შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურად იკარგება მილიონებათ ღირებული ქონება.

წყალთა მეურნეობის დარგშიაც ადგილი აქვს უამრავ დანაკარგებს. მარტო იმის გამო, რომ ბევრგან აგებენ ისეთ ჯებირებს (მდინარეთა ნაპირის გასამაგრებლად), რომელთა არსებობის ვადით გამოანგარიშებულია საუკუნეები—იწვევს ასეთი ნაგებობის სიძვირეს და მეტ ხარჯს, მაშინ, როდესაც ამავე ადგილას შესაძლებელი იყო უფრო იაფი ჯებირის აგება. ხშირად კი პირიქით ხდება. იქ, სადაც საჭიროა მძლავრ ჯებირების გაკეთება, კეთდება სუსტი ჯებირები, რომელნიც თავიანთ დანიშნულებას ვერ ამართლებენ და წყალდიდობის მსხვერპლი ხდებიან. დიდძალ დანაკარგებს აქვს ადგილი სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოების შესრულების დროსაც.

არც მიწადმოქმედების კომისარიატს—სოფლის მეურნეობის ხაზით და არც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს—წყალთა მეურნეობის ხაზით ჯერ არავითარი მუშაობა არ დაუწყიათ დანაკარგების უბრალო აღსარიცხავადაც კი.

საქართველოს სახგეგმო კომისიასთან არსებულმა დანაკარგებთან მებრძოლმა საუწყებათაშორისო კომისიამ წინადადება მისცა ორივე აღნიშნულ უწყებას დაუყონებლივ შეუდგნენ წინასწარ მუშაობას. თუ მრეწველობაში უკვე დაწყებულია დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიური, სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ერთთვიურის განმავლობაში წინასწარი სამზადისი მაინც უნდა იქნას ჩატარებული.

საფეიქრო მრეწველობამ გეგმა ვერ შეასრულა

საქართველოდან იგზავნებოდა საუცხოვო ხარისხის პარკი, უცხოეთიდან კი შემოდიოდა მდარე ხარისხის პარკი. — ამან მეტად შეაფერხა გეგმის შესრულება.—უმაღლეს სამეურნეო ორგანოებმა წინადადება მისცეს საქ. აბრეშუმის მრეწველობას იმუშაონ ადგილობრივი ნედლეულით.—საზღვარ გარეთ გატანილ უნდა იქნეს ფაბრიკატები.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის დარგში უკვე გამორკვეულია ნახევარი წლის მუშაობის პირველი შედეგები. ქუთაისის მაუდის და თბილისის ბამბის საქსოვმა ქარხნებმა პროგრამა ერთგვარი გადაჭარბებითაც კი შეასრულეს. ქუთაისის მაუდის ქარხანამ გეგმის გადააჭარბა შვიდი პროცენტით, ხოლო ბამბის საქსოვმა ქარხანამ—2 ნახევარი პროცენტით. თვითღირებულება 6,4 პროცენტით აღემატება სამრეწველო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. ქუთაისის მაუდის ქარხნის პროდუქციის თვითღირებულების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ არ მოიპოება. აბრეშუმის საქსოვ ძველ ქარხანაში პროგრამის შესრულებას დააკლდა 8 პროცენტი, ახალ ქარხანაში—30,1 პროცენტი. აბრეშუმის საქსოვმა ახალმა ქარხანამ ნახევარი წლის განმავლობაში სულ გამოუშვა 75.424 მეტრი ქსოვილი, პროგრამით კი უნდა გამოეშვა 100 ათასი მეტრი. ასეთი დიდი ჩამორჩენა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გეგმით გათვალისწინებული [illegible] დაზგის ნაცვლად მხოლოდ 76 დაზგა მუშაობდა. ფაბრიკის სამრეწველო-საფინანსო გეგმა სავსებით რეალურია, მაგრამ სამონტაჟო განყოფილება ვერ ასდის საწარმოო განყოფილების მუშაობას. მოსკოვიდან ჯერ კიდევ არ არის მიღებული დაზგების ნაწილები. ამავე დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც შოდის სხვადასხვა დაზგების ნაწილები და საჭიროა დიდი ხნის ლოდინი სჭირდება ნაწილების მიღებას. მრეწველობა განიცდის კვალიფიციური მუშა-ხელის მწვავე ნაკლს. ამის გამო თვითეული დაზგის გამომუშავება 40 პროცენტით ნაკლებია ნორმალურ მუშაობასთან შედარებით.

მთელ აბრეშუმის სახვევ წარმოებაში ნახევარი წლის განმავლობაში სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას დააკლდა 3,4 პროცენტი. საქართველოს აბრეშუმის სახვევი წარმოების დარგში არსებული ხუთი ფაბრიკიდან გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ოზურგეთის და ხონის ფაბრიკებმა. ჩამორჩენილი არიან ქუთაისის, თელავის და განსაკუთრებით ხონის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები. ყველა აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკებმა დაამუშავეს 77.666 კილოგრამი ბოჭკო. შარშან იმავე ნახევარი წლის განმავლობაში გამომუშავებული იყო 66.180 კილოგრამი. აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკებმა საწარმოო პროგრამა უმთავრესად იმიტომ ვერ შეასრულეს, რომ პარკი მდარე ხარისხის იყო. ფაბრიკები მუშაობდნენ სპარსეთის პარკით, რომელიც ბევრად ცუდია ქართულ პარკთან შედარებით. ამას წინად მომხდარმა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქართული პარკი ორ-ჯერ-სამჯერ მეტ გამოსავალს იძლევა, ვიდრე სპარსული. ერთი ფუთი ბოჭკოს მისაღებად 6—9 ფუთი სპარსული პარკის გადახვევა საჭირო. სათანადო მანქანებისა და მუშების ამ დამატებით დატვირთვამ გავლენა იქონია პროგრამის შესრულებაზე.

შარშან ჩვენი პარკის ნაწილი უცხოეთში იქნა გატანილი და სავაგიეროთ შემოტანილ იქნა სპარსეთის პარკი. უმაღლესი საკავშირო ორგანოების დადგენილებით, საქართველოს აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები ადგილობრივ კარგი ნედლეულით იმუშავებენ. პარკის გატანის ნაცვლად, უცხოეთში გატანილ იქნება ფაბრიკატები. აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები ახალი ნედლეულით 15 ივნისს დაიწყებენ მუშაობას.

პარკის გამოსავლის გადიდების მიზნით დიდი აგრიკულტურული მუშაობაა ჩატარებული, რაზედაც მიმდინარე სამეურნეო წელს დაიხარჯა 900 ათასი მანეთი. პარკის გამოსავლის გადიდება საქართველოს აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებს საშუალებას მისცემს 1-ლ ივლისიდან განუწყვეტელ წარმოებაზე გადავიდნენ და ეს შექმნის იმის საშუალებას, რომ მეორე კვარტალში პროგრამა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

შარშანდელ წელთან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალთან შედარებით ყველა საფეიქრო და აბრეშუმის სართავ და სახვევ ფაბრიკებში შრომის დისციპლინა გაუმჯობესებულია. განსაკუთრებით შემცირდა არა საპატიო მიზეზით გამოწვეულ გაცდენათა რიცხვი. ყველა აბრეშუმის სახვევ ქარხნებში საპატიო და არასაპატიო გაცდენათა რიცხვი თებერვალში იყო 737, მარტში კი—572. ბამბის საქსოვ ფაბრიკაში მეორე კვარტალის განმავლობაში არა საპატიო მიზეზით არც ერთი გაცდენა არ მომხდარა.

ვ. მაიაკოვსკის თვითმკვლელობის გამო

ამხ. ფ. კონი ვ. მაიაკოვსკის შესახებ

მოსკოვი, 15 აპრილი. ამხ. ფელიქს კონმა პოეტ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის შესახებ შემდეგი აცნობა მეიერხოლდის სახელობის თეატრში სპექტაკლის სანახავათ შეკრებილთ:

„პატივცემულო ამხანაგებო!

სამწუხარო ამბავი უნდა გავიზიაროთ იმ პიესის ავტორმა, რომლის სანახავადაც თქვენ აქ შეკრებილხართ, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ დღეს დილით თავი მოიკლა. როდესაც ამ ამბავს გატყობინებთ, უნებლიეთ მაგონდება ის სტრიქონები, რომელნიც მაიაკოვსკიმ დასწერა ესენინის სიკვდილის შესახებ:

თქვენ გაემგზავრეთ,
როგორც იტყვიან,
სხვა ქვეყანაში.
სიცარიელე...
თქვენ მიფრინავთ,
ვარსკვლავებში იჭრებით
არა და არა, ესენინ,
ეს არ არის დაცინვა.
ყელში ცრემლები
მებჯინება,
არა სიცილი.

როდესაც ჩვენ ვეხებით საუბარი მაიაკოვსკიზე, ყელში გვებჯინება ცრემლები. ის ჩვენი პოეტია. ის პოეტია, რომელმაც მეფის დროს ზურგი აქცია გახრწნილ ქვეყანას და მომავლისაკენ მიაპყრო თვალი. ომის დროს, როდესაც შოვინიზმის ტალღებმა ირგვლივ ყოველივე წალეკა, ეს პოეტი მიგვითითებდა სისხლზე, რომელიც ფრონტებზე იღვრებოდა.

ის იყო პოეტი, რომელიც ვერ დააკმაყოფილა თებერვლის რევოლუციამ, რომელსაც სძულდა მეფის გენერლები, კერენსკის დროს გამოაცხადებული გენერლები. ის არის პოეტი, რომელიც ატარებდა ჩვენს ხაზს იმ წუთიდან, როცა ლენინი რუსეთში დაბრუნდა.

ის არის პოეტი, რომელიც მიისწრაფოდა პროლეტარიატისკენ, რომელიც გორკისთან ერთად შეეგებოდა პროლეტარიატს, როდესაც ინტელიგენციამ პირი იბრუნა მისგან. ის გამოდიოდა როგორც ჩვენი, როდესაც მუშები ყველა ფრონტებზე იცავდნენ ჩვენს ქვეყანას კოლჩაკისა, დენიკინისა და ინტერვენტებისაგან.

იგი მიდიოდა რევოლუციასთან ერთად და ცდილობდა მუდამ მხარდამხარ ევლო მასთან. იგი ეძებდა ახალს და ცდილობდა დაენახა მომავალი, ჩამოეგლიჯა ფარდა ამ მშვენიერ მომავლისათვის.

უნებლიეთ კვლავ ვუბრუნდები იმას, რაც მაიაკოვსკიმ დასწერა ესენინის სიკვდილის შესახებ:

საკეთებელი მეტად ბევრია,
მხოლოდ მოასწარ.
ცხოვრება უნდა
გადავაკეთოთ,
და მხოლოდ შემდეგ
ვადიდოთ იგი.
ეს დრო მძიმეა
კალმოსნისთვის:
მაგრამ მითხარით
თქვენ—
კუტებო და მაზინჯებო,
სად,
და ან როდის,
აურჩევია დიდ ადამიანს,
გზა—
გატკეპნილი, უადვილესი?
. . . .
ზეიმისათვის
ნაკლებად არის
მოწყობილი
ჩვენი პლანეტა.
მომავალ დღეებს
გამოვტაცოთ
ჩვენ სიხარული.
ამ სიცოცხლეში
სიკვდილი ხომ
არ არის ძნელი,—
ცხოვრების შექმნა
გაცილებით უფრო ძნელია.

მაიაკოვსკიმ აირჩია უფრო ადვილი გზა. ამ უადგილოა საყვედურები პოეტის მიმართ. უადგილოა იმ მიზეზის ძიება, რამაც, როგორც მის მიერ დატოვებულ წერილიდან სჩანს, დაამსხვრია მისი სიცოცხლის ნავი.

ღირსეულად დავაფასოთ ის, რაც გააკეთა მან და რისი გაკეთებაც უნდოდა. პატივი ვცეთ მის ხსოვნას ფეხზე ადგომით.

„საოცარია, წარმოუდგენელია!"

მოსკოვი, 15 აპრილი. „საოცარი და გაუგებარია. სიცოცხლის ამ მოულოდნელად დაბოლოვების ტრაგედიას კიდევ მეტად აძლიერებს ასეთი დასასრულის ჩვეულებრივობა, რაც ოდნავადაც არ შეჰგავს პოეტ მაიაკოვსკის მოუსვენარ და ორიგინალურ გამომეტყველებას.

და ეს თავისი უმნიშვნელობით საშინელი, სიკვდილის წინ დაწერილი წერილი. განა ეს —საბუთია? რა აკლდა მას, ამ ტალანტით უხვად დაჯილდოებულ და საყოველთაოდ აღიარებულ პოეტს?

თუ არ ცნობიერების უეცარ და წუთიერ დახშობით, შინაგანი დასაყრდენის დაკარგვით, პირადი განცდების ავადმყოფური გამწვავებით და მწვავე ფსიხოზით, სხვანაირად მე არ ძალმიძს ყოველივე ამის ახსნა.

არ გინდა დაიჯერო, პირდაპირ არ გსურს დაიჯერო, რომ ეს მოხდა, რომ ამის გამოსწორება შეუძლებელია, რომ სამუდამოთ შეწყდა მისი წერა, შეწყდა უდიდესი და უმშვენიერესი შემოქმედების წიგნის ის ფურცელი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ, ულამაზეს, უაღრესად თავისებურ უბადლო და განუმეორებელ ნაწილს წიგნისა, სადაც თავმოყრილია რუსული პოეზიის განძეული".

დემიან ბედნი.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რევოლუციის პოეტი

მოსკოვი, 15 აპრილი. „პრავდა"-ში მაიაკოვსკის თვითმკვლელობის გამო დაბეჭდილია წერილი სათაურით — „რევოლუციის პოეტი".

მაიაკოვსკი, — ნათქვამია წერილში, — იყო რევოლუციის დიდი პოეტი, სოციალისტური მშენებლობის დაუღალავი კალატოზი. ჩვენ ვკიცხავთ თვითმკვლელობას, როგორც მოვალეობის შესრულებისაგან გაქცევას, მაგრამ მაიაკოვსკის ეს უაზრო სიკვდილი იმდენად არ ეხამება მთელ მის ცხოვრებას, რომ ამ სამწუხარო ფაქტს აფასებ შეცდომად, კატასტროფად, რომელიც გამოწვეულია პოეტის მიერ ახლად გადატანილ მძიმე ავადმყოფობით.

დიდი ოქტომბრის მომღერალი

მოსკოვი, 15 აპრილი. პროფესორი კოგანი სწერს:

მხატვრულ მწერლობაში მაიაკოვსკი იყო არა მარტო ფორმის რევოლუციონერი. მისი შემოქმედება ჩაქსოვილია დიად ოქტომბერში. მაიაკოვსკისაგან, რომელსაც ისტორია აღიარებს რევოლუციის პოეტად, ჯერ კიდევ ბევრს მოელოდნენ, მაგრამ მის საფლავთან ადგილი არ უნდა ექნეს სულიერ დაცემას.

მძიმე შეცდომა

მოსკოვი, 15 აპრილი. პრესაში გამოქვეყნებულია მაიაკოვსკის ახლო მეგობრების წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

ტყვია გულში.., ეს არის შეცდომა, მძიმე შეცდომა, მაგრამ მაინც მხოლოდ შეცდომა გიგანტიური ადამიანისა. ავადმყოფობამ, უაზრო შემთხვევამ ასე დაასრულა მაიაკოვსკის სიცოცხლე. პოეტის ეს შემცდარი ნაბიჯი, პირველყოვლისა, გაკიცხულია მთელი მისი შემოქმედებით.

გამომძიებლის დასკვნა

მოსკოვი, 15 აპრილი. გამომძიებელი სირცოვმა, რომელიც იკვლევს პოეტ მაიაკოვსკის თვითმკვლელობის საქმეს, შემდეგი წინასწარი ცნობები გადასცა თქვენს კორესპონდენტს:

კვლევა-ძიებით დასტურდება, რომ თვითმკვლელობა გამოწვეულია პირად მოტივებით, რომელთაც სრულიად არაფერი აქვს საერთო განსვენებულის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. თვითმკვლელობამდე პოეტი ხანგრძლივად ავადმყოფობდა. განსვენებული უკანასკნელ ხანებშიაც არ იყო საბოლოოდ გამოჯანსაღებული.

მაიაკოვსკის ცხედარი მწერალთა ფედერაციის სახლში

მოსკოვი, 15 აპრილი.. პოეტ მაიაკოვსკის ცხედარი გადაასვენეს ვოროვსკის ქუჩაზე მწერალთა ფედერაციის სახლში. მოქანდაკე ლუცკიმ გადაიღო გარდაცვლებულის ნიღაბი.

ტვინის გამოკვლევა

მოსკოვი, 15 აპრილი. გუშინ მაიაკოვსკის ტვინი გადაეცა ტვინის ინსტიტუტს, თქვენს კორესპონდენტს აცნობეს შემდეგი:

მაიაკოვსკის ტვინი იწონის 1.700 გრამს. ტვინის საშუალო წონა კი საზოგადოდ 1,800 გრამს უდრის. ტვინის საბოლოოდ შესწავლა დაიწყება ამ დღეებშივე.

მეცნიერება და ტექნიკა

ცოცხალ არსებათა კვება და ხელოვნური კვების საკითხი მეცნიერებაში

ადამიანთა ხელოვნური კვების პრობლემა ფიზიოლოგიური ქიმიის დღის წესრიგში დასმული საკითხია. ხელოვნური კვების იდეას კარგა ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მეცნიერებას დღემდის ვერ მიუღწევია იმ დონემდის, რომ აღმოეჩინა რაიმე ისეთი ხელოვნური საკვები მასალა, რომელსაც პრაქტიკული ღირებულება ჰქონოდა და სავსებით შეეცვალა მთელი რიგი არსებული საკვებ ნივთიერებათა ჯგუფები.

საინტერესოა თვით ცოცხალ არსებათა შორის კვების მხრივ ურთიერთ დამოკიდებულება.

ყოველი ცხოველი და მათ შორის ადამიანიც იკვებება მზამზარეული ორგანიული ნივთიერებით, რომელსაც ღებულობს უმთავრესათ მცენარეებისაგან. ეს უკანასკნელნი კი დაჯილდოებულნი არიან არა ორგანიულიდან ორგანიული ნივთიერების შექმნის უნარით

თვით მცენარენი ამ ორგანიულ ნივთიერებებს შემდეგნაირად ამზადებენ: ისინი გარემოში არსებულ ნახშირორჟანგს იღებენ ფოთლების საშუალებით და შლიან ნახშირჟანგათ და ჟანგბადათ ამავე ფოთლებში არსებულ ქლოროფილის მარცვლების საშუალებით. (ეს მარცვლები ფოთოლთა უჯრედებში უხვათაა გაბნეული, არის მწვანე ფერის და ფოთლებსაც ასეთსავე ფერს აძლევს).

მეორე მხრივ ფესვებიდან მიღებულ წყალსაც შლის იგი წყალბადათ და ჟანგბადათ ულტრა იისფერი სხივების უშუალო მოქმედებით, როგორც ამას მეცნიერ კონდის ცდები ამტკიცებენ (ულტრა იისფერ სხივებს კი მზის სხივები შეიცავს). მიღებული წყალბადი უერთდება ნახშირჟანგს და გვაძლევს ფორმალდეჰიდს, რომელსაც ექვსი მოლეკულაზე მაგნიუმის ზეგავლენით ვიღებთ ყურძნის შაქარს, ხოლო ამ უკანასკნელიდან შესაძლოა სახამებლისა და სხვა ნახშირწყლების მიღება.

ეს ახსნა, (რასაკვირველია, დაახლოებითი) წამოყენებული იყო მეცნიერ ბაიერის მიერ ჰიპოთეზის სახით ჯერ კიდევ გასულ საუკუნის უკანასკნელ წლებში, ხოლო ეს მოვლენა მეცნიერულათ ლაბორატორიულში დასაბუთებულ იქნა მეორე მეცნიერის ვილშტეტერის მიერ.

იდეები, რომელნიც მიტანილი იყო მცენარის მიერ ფორმალდეჰიდის, როგორც ყოველგვარი სიცოცხლის უდიდესი შზადის ათვისება, გადატანილ იქნა ექ. გრავეს მიერ განივრულად დაყენებულ ექსპერიმენტით, რომელიც ბრწყინვალე შედეგისაც აქვე მოყვანილი სურათი ნათლად გვიჩვენებს.

ქოთნებ (1) საყვავილეში აღმოცენებული ლობიო ყვითლდებოდა მხოლოდ ფორმალდეჰიდის არეში, სადაც ნახშირორჟანგი სრულიად არ იყო. მეორე (2) საყვავილეში აღმოცენებული კი თავისუფალ არეში იზრდებოდა, ხოლო მესამე საყვავილეს მცენარე კი იყო მოთავსებული უნახშირორჟანგო არეში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მცენარენი ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე საკვებ ნიადაგზე იყვნენ დათესილნი, მაინც მათ განვითარების ინტენსივობაში, როგორც თვით სურათიდანაც ნათლად სჩანს, დიდი სხვაობაა და ფორმალდეჰიდის არეში მოთავსებული ნათესს (1.) ძალზე გაუსწრია დანარჩენთათვის, ხოლო უნახშირორჟანგოდ დარჩენილ (3) ძალზე ჩამორჩენილა დანარჩენებს და დაჩაბუნებულა.

მაშასადამე ფორმალდეჰიდი მცენარისთვის შხამი კი არაა, დიდი ცხოველმყოფელი იმპულსიც კი ყოფილა და თვით ფორმალდეჰიდური თეორიაც მცენარეებში ორგანიულ ნივთიერებათა შექმნის შესახებ გაცილებით მისაღები უნდა იყოს.

ხლოროფილმა წყლისა და ნახშირ ორჟანგიდან მიიღო ფორმალდეჰიდი—ულტრა იისფერი სხივების მოქმედებით, ხოლო ამ ფორმალდეჰიდზე კალიუმის მოქმედებით შესაძლოა ყურძნის შაქრის მიღება. მაგრამ ამ პროცესისათვის საჭიროა ძლიერი ენერგია, რაც მცენარეებში ნახშირწყალთა წარმოშობის ამ თეორიას საეჭვოთა ხდის.

ბრედიგმა და კატარსმა კი გამოსთქვეს აზრი—ქიანქვილის მჟავას მარილებიდან შაქრის წარმოშობისა. ისინი ლაბორატორიაში ქიანქვილის მჟავას მარილებს ნახშირმჟავა მარილებიდან იღებდნენ პლატინის ზეგავლენით. ფოთოლში კი პლატინის მაგიერობას ალბათ რომელიმე ფერმენტი ასრულებს. თვით ნახშირმჟავა მარილები კი მცენარეში ბუნებიდან მიდის.

რაც შეეხება ცილების წარმოშობას, იგი უფრო რთულია. მცენარე მიწიდან ფესვებით იღებს აზოტიან შენაერთებს გვარჯილის სახით. ნახშირჟანგისა და წყალბადის წარმოშობა ზევით იყო აღნიშნული. აი სწორეთ ამ სამ ქიმიურ წარმონაქმნთა კონდენსაციით შეჯგუფებით მცენარე ქმნის ცილებს. ამ სინტეტიურ გზას ცილის წარმოშობისას, ცხადია ხელს უწყობს რომელიმე ფერმენტი, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ფოთოლში იმყოფება.

ამრიგად მცენარეთა მიერ შექმნილ ორგანიულ ნივთიერებებს იღებენ ცხოველები, მაგრამ ამ უკანასკნელთ როდი შეუძლიათ ამ ნივთიერებების ასეთი მზამზარეული სახით ათვისება, არამედ შლიან მას შემავალ უმარტივეს შენაერთებამდე, ხოლო შემდეგ კი შეუდგებიან მათი თავისად გადაკეთებას, გადამუშავებას.

ასე რომ ყოველი საკვები მასალა, რომელსაც ღებულობს ცხოველი, ცილოვანი იქნება იგი თუ ცხიმოვანი, ჯერ უნდა დაშლილ იქნას მარტივ შენაერთებათ და მხოლოდ შემდეგ შესძლებს ცხოველი მის ათვისებას.

მეცნიერთა გამოკვლევით ეს მარტივი შენაერთნი ამინომჟავანი არიან, მათი რაოდენობა ზოგიერთ ცილის მოლეკულაში ოცს აღემატება.

აქ აქ იყო ცდა, რომ ასეთ ამინომჟავათა სხვადასხვა კომბინაციებით შექმნილ ხელოვნური ცილები, რომელიც შესცვლიდა ბუნებრივ ცილებს. შედეგი იყო მიღებული, მაგრამ მხოლოთ თეორიული ღირებულების, რადგან მეთოდის სიძვირისა და სიძნელის გამო ხელოვნური ცილა ვერ აჩერებდა ბუნებრივი ცილის ადგილის დაჭერას.

მეცნიერმა აბდერგალდენმა სულ სხვა გზა აიღო ხელოვნური კვების პრინციპების გამოსამუშავებლად.

იგი მსჯელობდა ასე: თუ კი ყოველგვარი ცილა, საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ამინომჟავეებათ უნდა დაიშალოს, რატომ არ შეიძლება პირდაპირ ამინომჟავა მივცეთ ცხოველს. მით უმეტეს ეს გაცილებით სასარგებლო უნდა ყოფილიყო, რადგან ორგანიზმს ზედმეტი მუშაობა არ დასჭირდებოდა მათ დასაშლელად.

აბდერგალდენიც, გამოდიოდა რა ამ მოსაზრებიდან, ახდენდა მთავალ მეტად გონიერულ ცდებს ცხოველებზე, რაცაც ეს წინასწარი დაშვება სავსებით გაამართლა.

მან აიყვანა ერთი ლეკვი, რომელიც 20 დღე ჰკვება მხოლოდ ამ ამინომჟავეებით და ლეკვმა კი არ დაიკლო, პირიქით მოიმატა 310 გრამამდის.

მე-2 შემთხვევაში მან აიყვანა მოზრდილი ძაღლი, რომელიც 17 დღე აშიმშილა. ძაღლმა ამ ხნის განმავლობაში დაკარგა 1700 გრამი თავისი წონიდან. ამის შემდეგ ეს ძაღლიც ჰკვება მხოლოდ ამინომჟავეებით 21 დღის განმავლობაში. ცხოველმა მოიმატა 3100 გრამი. ასე, რომ შიმშილობამდე არსებულ წონას 1400 გრამით გადააჭარბა, რაც ბრწყინვალეთ ადასტურებდა აბდერგალდენის მოსაზრებას.

ცხადია, ამ ცდების გადატანა ადამიანზე მეტ სიფრთხილეს მოითხოვდა, მით უმეტეს აქ ნივთიერების ჩვეულებრივი გზით მიცემა თვით ცხოველებშიც კი საშინელ პირსაქმებას იწვევდა.

ერთ-ერთი პიროვნება დასთანხმდა აბდერგალდენს, რომ ცდები მასზე მოეხდინათ. ცხადია, ნახსენებ ნივთიერებას აძლევდნენ უკანა ტანიდან, რომ პირსაქმება არ გამოეწვია. 15 დღის განმავლობაში საექსპერიმენტო ობიექტს, გარდა ამინომჟავეების კლიზმებისა, არ მიუღია არავითარი საკვები ნივთიერება. და საკვირველი ის იყო, რომ ეს ინდივიდი სრულიად კარგათ გრძნობდა თავს და წონაშიც მოიმატა.

ასე რომ დღეს შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებამ უკვე მიაღწია ხელოვნური კვების ძირეულ პრინციპს.

ხელოვნური კვების ამ პრინციპმა სამკურნალო საქმეში უკვე ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება და იხმარება ისეთ შემთხვევებში, როცა საზრდოს მიღება ნორმალური გზით შეუძლებელი ხდება. (კუჭნაწლავის ოპერაციები, მათი ზოგიერთი მწვავე სნეულებანი და ზოგადათ ისეთი დაავადებანი, რომელნიც ამ მხრივ განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვენ გართულებისა და მკურნალობის გაჭიანურების მოლოდინის გამო).

ამ ცდათ ადვილათ იქნა მიღებული სხვადასხვა საკვებ მასალიდან მათი ამინომჟავეები. გერმანიის ერთ-ერთ ქარხანაში უკვე მზადდება ხორცის დანაშალი, რომელსაც „ერეპტონ"-ს უწოდებენ.

მაგრამ მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ხელოვნური კვების პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას ჯერ კიდევ არა ერთი და ორი დაბრკოლება ელობება.

ჯერ ერთი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამინომჟავა იწვევს პირსაქმებას. მაგრამ მისი მოქმედების ამ უარყოფით მომენტსაც რომ თავი გავანებოთ ამინომჟავეს დამზადება იმდენათ ძვირი ჯდება, რომ ჯერ-ჯერობით მის ფართო გამოყენებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. გარდა ნახსენები დაბრკოლებებისა კიდევ ერთი დაბრკოლება ელობება წინ მის გავრცელებას და სახელდობრ, ჩვენი ორგანოები, შეგუებულნი არიან საჭმლის გადამუშავებასთან და ამის გარეშე საზრდოს შეცვლა ჰაწია ამათ უფუნქციოთ დასტოვებს მათ და ეს, ალბათ, გამოიწვევს ერთდაგვარ აშლილობას პირველ ხანებში მაინც სანამდის ორგანიზმი მიეჩვეოდეს ხელოვნურ კვებას.

მაგრამ ძირეული და მთავარი უკვე მოპოვებული აქვს მეცნიერებას. დანარჩენი კი შემდეგის საქმეა.

არ. ქაჯაია.

სააღმშენებლო მასალა ჩალიდან

„იზვესტია"-ს 7 აპრილის ნომერში მოთავსებულია მეტად საინტერესო ცნობა საბჭოთა მეცნიერების ახალი მნიშვნელოვანი მიღწევის შესახებ. ლაპარაკია ნაშენობათა საკავშირო ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლის პ. ვ. ლაშინის აღმოჩენაზე, რომელიც სრულიად ახალ პერსპექტივებს შლის სააღმშენებლო საქმეში.

საქმე იმაშია, რომ სოფლის სოციალისტური გარდაქმნასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდებას. ამ მხრივ დიდი როლი ეკისრება ე. წ. „ნარჩენების" და კერძოთ ისეთი „ნარჩენის" გამოყენებას, როგორიც არის ჩალა. საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ველებზე ყოველწლიურად სულ ტყუილად მილიონ ტონობით იკარგება ჩალის ღირო, რომლისგანაც ამერიკელები კარგა ხანია ამზადებენ მშვენიერ სააღმშენებლო მასალას. საბჭოთა კავშირის „ზერნოტრესტი" (ხორბლეულის ტრესტი) საკ. ს. ს. შ.-თან ერთად დიდი ხანია ცდილობდა პრაქტიკულ ნიადაგზე დაეყენებინა ჩალის სააღმშენებლო მასალათ გამოყენების საქმე. ამისათვის იქმნებოდა სხვადასხვა კომისიები, სწარმოებდა მიწერ-მოწერა უცხოელ სპეციალისტებთან, შეეცადნენ გამოეყენებიათ ამერიკის გამოცდილება, მაგრამ უკანასკნელ დრომდე არ მოხერხდა საკითხის დაძვრა მკვდარი წერტილიდან.

ნაშენობათა საკავშირო ინსტიტუტი „ზერნოტრესტი"-ს წინადადებით რამოდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა მუშაობას ამ დარგში. მაგნეზიუმის ცემენტის საშუალებით შესძლეს სხვადასხვა მასალების მიღება ჩალიდან, მაგრამ ამ აღმოჩენამ ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა მაგნეზიუმის ცემენტის ნაკლებობის გამო.

ინსტიტუტის დირექტორის გ. ბ. კრასინის ინიციატივით ამ საკითხის დამუშავებას მიეცა დაკვრითი ხასიათი. სააღმშენებლო მასალათა ინსტიტუტთან სოციალისტური შეჯიბრების წესით ნაშენობათა ინსტიტუტმა ეს მუშაობა გაჩქარებული ტემპით აწარმოვა და ამჟამად, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, ინსტიტუტის ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკმა პ. ლაშინმა ჩალიდან სააღმშენებლო მასალის მიღების პრობლემა ბრწყინვალეთ გადასჭრა.

მრავალი ცდების საშუალებით ინსტიტუტმა მიიღო მთელი სერია მასალებისა—ამერიკული „ცელოტექსის"—შეერთებულ შტატებში ფართოდ გავრცელებული მშვენიერი ხარისხის სააღმშენებლო მასალის მსგავსი.

საინტერესო ის არის, რომ ჩალიდან მიღებულ სააღმშენებლო მასალებში არ არის რაიმე გარეშე შემაკავშირებელი ან შემკვრელი ნივთიერება. თვით ჩალის უჯრედი, განსაკუთრებული წესით გადამუშავებული, წარმოადგენს შემკვრელ მასას და შესაძლებლად ხდის დანიშნულებასთან შეფარდებით, ყოველი ფორმის, წონის და სიმკვრივის მქონე სააღმშენებლო მასალის დამზადებას.

ყველაზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერმა არა მარტო ფარდა ახადა ჩალიდან სააღმშენებლო მასალის დამზადების წესებს, რასაც ამერიკული ფირმები საიდუმლოდ ინახავდნენ, არამედ შესძლო აგრეთვე ჩალიდან წყლის სრულიად არ გამტარ მასალების მიღება. ამ მხრივ ჩვენ არა თუ დავეწიეთ, არამედ კიდეც გავუსწარით ამერიკას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ჩალიდან სააღმშენებლო მასალების მიღების წესი, რომელიც პ. ლაშინმა შეიმუშავა, მეტად მარტივია. ამჟამად დასმულია საბჭოთა მეცნიერის ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენის სამრეწველო გამოყენების საკითხი. ინსტიტუტმა გამოჰყო დამკვრელი ჯგუფი, რომელსაც მიანდო ჩალიდან სააღმშენებლო მასალების დამამზადებელი პირველი ქარხნის პროექტის შედგენა.

ქიმია, როგორც სქესის მოწესრიგების საშუალება

ჟურნალი „ავიაცია ი ხიმია"-ს მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა, ამოღებული გერმანული საექიმო ჟურნალიდან. ამ ცნობის მიხედვით, ამჟამად აღმოჩენილია საშუალება ბავშვის ჩასახვის სქესზე ზეგავლენის მოხდენისა, მაგრამ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ მამრობითი სქესის ბავშვების ყოლის მხრივ.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სისწორით არ არის გამორკვეული, თუ რა პირობები უწყობენ ხელს ამა თუ იმ სქესის ბავშვების დაბადებას. როგორც ეს ხშირად ხდება, შემთხვევამ შეუწყო ხელი ამ საკითხის ნაწილობრივ მაინც გამორკვევას.

გინეკოლოგმა პროფ. უნტერბერგერმა სავეტერინარო პრაქტიკიდან იცოდა, რომ ძროხების ჩქარა დამაკებას ხელს უწყობს საშოს გარეცხვა გაწმენდილი სოდით (ერთი სუფრის კოვზი ლიტრ წყალზე). აქედან მან გამოიტანა დასკვნა, რომ ამავე საშუალებით შეიძლება ზეგავლენის მოხდენა უშვილო ქალების მიერ შვილის ყოლის უნარზედ. ამ საშუალების გამოყენებამ პრაქტიკაზე არა მარტო გაამართლა პროფ. მოლოდინი, არამედ მას სდევდა განსაცვიფრებელი შედეგი: ყველა შემთხვევებში დაბადებული ბავშვები ვაჟები იყვნენ. გაწმენდილი სოდით სარგებლობა უნტერბერგერმა ურჩია დედებს, რომლებიც წინად მხოლოდ ქალებს შობდნენ. აქაც 53 შემთხვევაში უკლებლივ მიღებულ იქნა მამრობითი სქესის მემკვიდრეობა.

ამ შედეგების მიხედვით უნტერბერგერი ამჟამად დამტკიცებულად თვლის, რომ მომავალი ბავშვის სქესზე უდიდეს გავლენას ახდენს საშოს მჟავე ან ტუტოვანი რეაქცია, გარემოება, რომელსაც დღემდე ყურადღება არ მიუქცევია. უნტერბერგერის ცდების დროს მიღებულ იქნა 100 პროცენტი მამრობითი სქესის ბავშვებისა.

უნტერბერგერს განზრახვა აქვს განაგრძოს თავისი ცდები ბავშვის შობის უნარზე ზეგავლენის მოსახდენათ მდედრობითი სქესის ბავშვების მიღების მხრივ.

გვირაბი ლამანშის ქვეშ

ლამანშის ქვეშ გვირაბის გაყვანის პროექტი, რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, თითქო ახლოა განხორციელებასთან. ინგლისის მთავრობის მიერ გამოყოფილმა კომისიამ მხარი დაუჭირა გვირაბის გაყვანას. კომისიამ უსაფუძვლოდ სცნო გვირაბის გაყვანის მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი—შიში, რომ გვირაბი გააუარესებს ინგლისის სტრატეგიულ მდგომარეობას. კომისიამ საჭიროდ სცნო გვირაბის გაყვანის საქმის გადაცემა კერძო კომპანიისათვის. სამუშაოთა შესასრულებლად საჭიროა 300.000.000 მანეთი. პირველ რიგზე შეუდგებიან საცდელი გვირაბის გათხრას. ამ გვირაბს ექნება 3 მეტრი დიამეტრი და მისი გათხრა დასჯდება 50.000.000 მანეთი, მუშაობას კი მოუნდება 2 ნახ. წელიწადი. მუშაობა მთავარი გვირაბის გასათხრელად (რომელსაც ექნება 6 მეტრი დიამეტრი) დაიწყება საცდელი გვირაბის გაყვანის შემდეგ და მას მოუნდება 12.000 კაცის მუშაობა 4 ნახ. წლის განმავლობაში.

—:—

ახალი მცენარე

ინგლისელმა ბოტანიკოსებმა დამყნის საშუალებით მიიღეს ახალი კულტურული მცენარე „ბროტიკა", რომელიც, ალბათ, საპატიო ადგილს დაიკავებს ისეთ სასარგებლო მცენარეთა შორის, როგორიც არის შვრია, კარტოფილი და სხვ. „ბროტიკა" სამგვარ სარგებლობას იძლევა: ტანის მერქანი მიდის ქაღალდის დასამზადებლად, ტანისა და ფოთლების ბოჭკოვანი ნაწილი—იძლევა მშვენიერ საფეიქრო ნედლეულს, თესლი—საქონლისსაკვებია. „ბროტიკა" ორწლოვანი მცენარეა. მისი თესლი მეორე წელს იძლევა მცენარეს, რომლის სიმაღლე სამ მეტრს აღწევს. ახალი კულტურა ერთ აკრზე (აკრი ჰექტარზე ცოტა ნაკლებია) იძლევა 90 ფ. საფეიქრო ნედლეულს, 330 ფ. მერქანს და 150 ფ. საქონლის საკვებს, სულ 2.500 მანეთის პროდუქციას.

—:—

ნავთის მოტორი ავიაციაში

საფრანგეთის ავიაციის სამინისტრომ გადასწყვიტა მთელი სამხედრო საჰაერო ფლოტი თანდათანობით გადაიყვანოს ნავთის მოტორებზე. პირველ რიგში ნავთის მოტორები დადგმული იქნება სამოსწავლო და სავარჯიშო აეროპლანებზე და შემდეგ დანარჩენ სამხედრო აეროპლანებზე.

საფრანგეთის საავიაციო სამინისტროს ეს გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა სამხედრო ავიაციის ისტორიაში. ტექნიკა დიდი ხანია ისახავს მიზნად ძვირფასი და ცეცხლის გაჩენის მხრივ საშიში ბენზინის შეცვლას იაფი და შედარებით უშიშარი ნავთით. მთავარი დაბრკოლებას ამ მხრივ წარმოადგენს ნავთის მოტორების დიდი წონა ბენზინის მოტორებთან შედარებით. ამჟამად ეს დაბრკოლება თითქმის აღმოფხვრილია. ფრანგ ინჟინერ კლერჟეს მიერ ამ რამოდენიმე ხნის წინათ დამზადებული ნავთის მოტორი იწონის ორ კილოგრამზე ნაკლებს თითო ცხენის ძალაზე ე. ი. ცოტათი მეტს, ვიდრე ბენზინის მოტორი.

ვერტიკალურ მაღაროს გათხრის პროექტი

მსოფლიოში ცნობილი გარვარდის ობსერვატორიის (შეერთებულ შტატებში) დირექტორმა პროფ. შეპლიმ წამოაყენა რამოდენიმე კილომეტრის სიღრმის მქონე ვერტიკალური მაღაროს გათხრის პროექტი. ეს მაღარო, პროფ. შეპლის აზრით, საშუალებას მისცემს მეცნიერებს გადასჭრან თანამედროვე მეცნიერების მთელი რიგი მწვავე პრობლემები. მაღაროს გათხრა ძლიერ ძვირი დაჯდება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დიდ სიღრმეზე საჭირო იქნება ბრძოლა დედამიწის დიდ შინაგან სითბოსთან და დაბრკოლებებთან ჰერის მოძრაობაში. ამ დაბრკოლებათა დასაძლევათ შემუშავებული უნდა იქნას რაციონალური სისტემა მაღაროს გასაგრილებლად და ძლიერი ვენტილაცია მაღაროში დიდ სიღრმეზე თავისუფლად სუნთქვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, ყველა სიძნელეთა დაძლევა სავსებით ძალუძს თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკას. „თუ,—სწერს პროფ. შეპლი,—მილიონები იხარჯება პოლარული რაიონების შესწავლაზე, რატომ არ შეიძლება საჭირო თანხის შოვნა მეცნიერული მიზნებისათვის, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე პოლარული ექსპედიციებისა".

პერსპექტივები, რომელთაც პროექტის ავტორი ხატავს, მართლაც მიმზიდველია. პირველყოვლისა ვერტიკალური მაღარო შესაძლებლად გახდის შესწავლილ იქნას დედამიწის შინაგანი თბილება და ის, თუ რამდენად მოსახერხებელია ამ თბილების გამოყენება კაცობრიობის ენერგეტიულ საჭიროებებისათვის. ეს პირველხარისხოვანი ამოცანაა, რადგან კაცობრიობა იმყოფება თავისი ენერგეტიული რესურსების—ნავთისა და ნახშირის—მთლიანად ამოწურვის წინ. დაბოლოს, პროფ. შეპლის პროექტის განხორციელება შესაძლებლად გახდის სისწორით იქნას გამოანგარიშებული მინერალური სიმდიდრენი და შემუშავდეს მათი მოპოვების წესები.

თეორეტიული საკითხები, რომელთა შესწავლასაც შესაძლებლად გახდის ვერტიკალური მაღაროს პროექტის განხორციელება, უამრავია. აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს მათგან. ვერტიკალური მაღაროს წყალობით გადაიჭრება ამოცანა, თუ რატომ სუსტდება წლიდან წლამდე დედამიწის ბრუნვის სისწრაფე, მართალია, ეს შესუსტება უმნიშვნელოა.—წამის მხოლოდ ერთი მეათასედი ნაწილი საუკუნეში,—მიუხედავად ამისა, იგი არსებობს და წარმოადგენს ყველაზე უფრო საიდუმლოებით მოცულ მოვლენას. შემდეგ ცნობილია, რომ მზე და ვარსკვლავები კარგავენ მასას. სად მიდის ეს მასა, მართლა იქცევა იგი ენერგიად, რომ შემდეგ კვლავ გასქელდეს და იქცეს მასად, როგორც ამას ფიქრობს ჩვენი დროის უდიდესი ფიზიკოსი მილლიკენი,—ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას მოგვცემს შეპლის მაღარო. დედამიწის მაგნეტიზმი, მიმზიდველობის ძალის შეცვლა, დედამიწის გულის სტრუქტურა,—ყველა ეს პრობლემები გადაჭრილი იქნება, როცა მეცნიერნი თავიანთი ხელსაწყოებით დაეშვებიან რამოდენიმე კილომეტრის სიღრმეზე დედამიწის ზედაპირის ქვევით.

წყალი ჰაერიდან

საფრანგეთის მთავრობა თავისი ჩრდ. აფრიკის კოლონიების კოლონიზაციის მიზნით ყოველგვარ ზომებს მიმართავს კოლონიზაციის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზის—უწყლობის დასაძლევად. სახარის უდაბნოს მორწყვის, შინაგანი ზღვის შექმნის, ჩრდ. აფრიკის ნაწილის წყლით დაფარვის და სხვ. გიგანტურ პროექტებთან ერთად უკანასკნელ ხანებში წამოაყენეს უფრო ზომიერი და, თითქო, უფრო საიმედო პროექტი—წყალის მიღებისა ჰაერიდან ეს იდეა ახალი არ არის და არაფერი გასაკვირი არ არის მასში, თუ გავიხსენებთ, რომ ჰაერში (თვით უდაბნოთა გახურებულ ჰაერშიც) ყოველთვის მოიპოება ორთქლის სახით წყალის მცირე რაოდენობა. მთელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაცივებული იქნეს ჰაერი და წყალი წვეთების მსგავსად გამოიყოს მისგან, როგორც ეს ხდება ბუნებრივ პირობებში, სალამოს ნამის წარმოშობის დროს. ამ მიზნით განზრახულია შიგნიდან ცარიელი კოშკების აგება ლრუ მასალიდან (გამომწვარ თიხიდან). ეს კოშკები დიდ სიღრმეზე იქნება ჩაფლული მიწაში. ამგვარ კოშკებში ტემპერატურა რამოდენიმეთ ნაკლები იქნება, ვიდრე გარემოს ჰაერში, რომლიდანაც, კოშკთან შეხების გამო წყალი გამოიყოფა და წვეთობით შეგროვდება კოშკის ფსკერზე.

არის გადმოცემები, რომ ამგვარ კოშკებს რომაელები აგებდნენ უდაბნო ადგილებში ხავლის დროს.

რენტგენის სხივები და კინო

გერმანელმა ექიმებმა გოტჰაინერმა და იაკობსონმა აღმოაჩინეს რენტგენის სურათების კინო-ლენტზე გადაღების წესი, მთავარი დაბრკოლება, რომელიც დღემდე ჩიხში აქცევდა ყველა გამომგონებელს, მდგომარეობს იმაში, რომ ობიექტივები რენტგენის სხივებს არ აგროვებენ ერთ ფოკუსში. მრავალი მასალა გამოიცადეს ამ დაბრკოლების დასაძლევად, მაგრამ ამაოთ: რენტგენის სხივები ლინზაში გადიან ისევე თავისუფლად, გადაუხრელად, როგორც ადამიანის ტანში ან ლითონებში. მაგრამ გოტჰაინერმა და იაკობსონმა ნახეს მეტად მოხერხებული და ამავე დროს მეტად მარტივი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. მათ ხელი აიღეს რენტგენის სხივებს უშუალოდ კინო-ლენტზე აღბეჭდვის განზრახვაზე და კინო-ლენტზე გადაიღეს ადამიანის ორგანოების ის სურათი, რომელსაც რენტგენის სხივების საშუალებით იღებენ ეკრანზე. კინო-ლენტი ამგვარი სურათებით იძლევა გაშუქებული სხეულის ნამდვილ სურათს. ამ გზით იქნა გადაღებული ჯანსაღი და ავადმყოფი გულის, კუჭის და სხვა შინაგან ორგანოების მუშაობის მეტად საინტერესო სურათები. ახალი აღმოჩენის მნიშვნელობა მეტად დიდია. იგი შესაძლებლად გახდის ავადმყოფობათა იოლად გარჩევას, განსაკუთრებით დასაწყის სტადიაში, როცა ავადმყოფობა არ იძლევა გარეგან მკვეთრ ნიშნებს. კინო-რენტგენი-სურათებს დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე საექიმო მეცნიერებათა სწავლების დროს.

საზოგადოებრივი კვების შემოწმება

კოოპერატიული სასადილოების უმრავლესობა არ განსხვავდება ძველი რესტორანებისაგან

საქეიფო კაბინეტები, სიძვირე, უსუფთაობა, მუშა-მომხმარებლებისადმი უყურადღებობა — აი რა ახასიათებს კოოპერატიული სასადილოების უმრავლესობას.—მოწაფეთა კვების საქმე სკოლებში უნუგეშო მდგომარეობაშია.

რა გამოარკვია შემოწმებამ

საზოგადოებრივი კვების შემოწმებამ მრავალი აღმაშფოთებელი დეფექტი აღმოაჩინა კოოპერატიულ სასადილოებში. სასადილოების უმრავლესობა არაფრით განსხვავდება ძველი რესტორანებისაგან, ისინი გადაქცეული არიან საქეიფო ადგილებათ. თანამშრომლები უდიერათ ეპყრობიან „ჩვეულებრივ" მოსადილეებს. სამაგიეროდ ფეხქვეშ ეგებიან საქეიფოთ მოსულ სპეკულიანტებს და გამფლანგველებს.

მიუხედავად იმისა, რომ აკრძალულია კოოპერატიულ სასადილოებში ცალკე კაბინეტების არსებობა, ისინი ჯერ კიდევ მრავალ სასადილოს მოეპოვება, სადაც ადგილი აქვს გარყვნილებას.

ცუდ ხარისხის პროდუქტებისაგან ამზადებენ „შეღავათიან" სადილებს, ხოლო სად და ნოყიერ სანოვაგეს ინახავენ მოქეიფეებისათვის. არც სანიტარული პირობებია ყველგან დაცული.

განსაკუთრებით აუტანელი ანტისანიტარია ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ და მუშებისათვის გამოყოფილ სასადილოებში.

ბინძური სასადილო

სახალხო კვებას ორჯონიკიძის ქუჩაზე აქვს სასადილო № 15, სადაც უმთავრესად რკინის გზის დეპოს მუშები სადილობენ. სასადილოში გამეფებულია აუტანელი სიბინძურე. ფეხსადგილი მოთავსებულია სასადილოს დარბაზსა და სამზარეულოს შუა, რის გამო ყველგან სუნი დგას. პროდუქტები უსუფთაო ჭურჭლებში ინახება. ჭურჭლები არ ირეცხება. სადილები მზადდება უგემური და ცუდი ხარისხის სანოვაგისაგან. ღვინის გაყიდვა არ არის შეზღუდული, რის გამოც სასადილოში ხშირად სდგას ლოთების ღრიანცელი. მუშები უკმაყოფილონი არიან, მაგრამ სასადილოს გამგე ყურსაც არ იბერტყს.

საჭიროა სასადილოს გაფართოება

(თამბაქოს ფაბრიკა № 1)

თამბაქოს ფაბრიკა № 1-ში მუშაობს 320 კაცი. ფაბრიკასთან არსებული სასადილო ვერ აკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას. სასადილო უვარგის და ვიწრო ბინაშია მოთავსებული. სადილები არ მზადდება საკმაო რაოდენობით.

საჭიროა სასადილოს გაფართოება და მისი თანამშრომლების რიცხვის გადიდება.

ღამე მომუშავეთათვისაც სასადილო ღია უნდა იყოს

თამბაქოს მეორე ფაბრიკასთან არსებულ სასადილოში სადილები უგემური და ძვირია. სადილი არ ყოფნის ყველას. ღამით სასადილო დაკეტილია, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევს ღამე მომუშავე მუშებში.

400 გრამი პური 60 კაპ.

სახალხო კვების სასადილო № 14 ძალზე ჭუჭყიანია. სამზარეულო ძაღლებითაა სავსე. სადილები ცუდია და ძვირი. სადილი ღირს 95 კაპ., ერთი ულუფა პური—15 კაპეიკი. 15 კაპეიკად ჰყიდიან 100 გრამს, იმ დროს, როცა სასადილოს 400 გრამი უძღება 7 კაპეიკათ.

ხორცს ყიდულობენ კერძო პირებისაგან, რომლებიც ფარულად ჰკლავენ საქონელს. მუშების საჩივრებს სასადილოს ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს.

მარტო ლობიო

ფეხსაცმელების კოლექტივის (№ 39) სასადილოში ამზადებენ მხოლოდ ლობიოს და კარტოფილს. კერძი ლობიო ღირს—30 კაპ., უშაქრო ჩაი ჭიქა—5, შაქრით—10 კაპ., რაც, რასაკვირველია, ძვირია. ჭურჭლეულობა ჭუჭყიანი და უვარგისია. მიუხედავად ასეთი ფასებისა ადმინისტრაციის უთავბოლობის წყალობით სასადილოს დეფიციტი მაინც აქვს.

მუშკოოპის უყურადღებობა

წინასწარი ცნობებით სკოლებთან არსებული სასაუზმო პუნქტები სანიტარული პირობების მხრივ დამაკმაყოფილებელია. საერთოდ კი ამ პუნქტებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს განათლების კომისარიატი და განათლების განყოფილება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშკოოპის უყურადღებობა სასკოლო სასაუზმო პუნქტებისადმი. მუშკოოპი სრულებით არ ღებულობს მხედველობაში ამ პუნქტების მოთხოვნილებებს და არც აწვდის მათ საჭირო სანოვაგეს.

მოწაფეთა კვება

უნდა გაუმჯობესდეს

დაიწყო სკოლებში საკვებ პუნქტების მდგომარეობისა და კვების საქმის გამოკვლევა. გამოკვლევის წინასწარი შედეგები მეტად დამაფიქრებელია.

სკოლების დიდ უმრავლესობაში ცხელ საუზმეს არ აწვდიან მოსწავლეებს. პუნქტები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ზოგიერთი პუნქტი მოთავსებულია უსუფთაო დერეფანში.

გარდა იმისა, რომ ზოგ სკოლაში სანოვაგე მეტად ძვირია, მოწაფეებისათვის ის არც ღირსებით ვარგა.

აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე ფასებში საუზმე მასწავლებლებს უფრო მეტი რაოდენობით ეძლევათ, ვიდრე მოსწავლეებს (მაგალითად, მე-93 შრ. სკოლაში).

ჭიქა, თეფშები და კოვზები უსუფთაოა და იმავე შენობაში ამზადებენ საუზმესაც და ბავშვები იქვე საუზმობენ. სანიტარულ-საექიმო მეთვალყურეობა სრულებით არაა (მაგ., პოლიტექ. ინსტიტუტში და სხ.).

ზოგან ცხელ საუზმეს სავსებით არ ამზადებენ და მოწაფეებს აწვდიან მარტო ყველს, ძეხვს, პურს და სხვ. ცივ საჭმელს.

პუნქტების გამგეები პურს და ყველს არ სწონიან, ისე თვალდათვალ ჰყიდიან და ხშირად 200 გრამ პურს 5-7 ულუფათ ანაწილებენ.

სკოლების დამხმარე მშობელთა წრეების უმრავლესობა თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს სკოლებში საკვებ პუნქტების გაუმჯობესებას. არც შესაფერ თანხას აღებენ, რომ ღარიბებს მოწაფეებს უფასოთ მიეცეთ საუზმე, როგორც ეს ხდება ზოგიერთ სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ სკოლებთან არსებული საკვები პუნქტები ეკუთვნის სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ერთნაირად არ არიან დაინტერესებულნი ამ პუნქტებით, რის გამო ზოგი პუნქტი სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება სკოლებში არსებული საკვები პუნქტებიც მთლიანად გადაეცეს ერთ რომელიმე ორგანიზაციას.

სასადილოები გადაეცემა მუშკოოპს

საზოგადოებრივი კვების შემოწმების ჩამტარებელ შტაბთან გუშინ შესდგა სამეურნეო და დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირზე მოსმენილ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სასადილოების უმრავლესობა სრულებით არ აქცევს ყურადღებას საზოგადოებრივი კვების საქმეს. მართალია, ისინი ამჟამად ეკუთვნიან ამა თუ იმ კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მაგრამ ეს მხოლოდ შორსაა. ნამდვილად სასადილოებს კვლავ ძველი მიკიტნები განაგებენ, რის გამო სასადილოები ისევ საქეიფო ადგილებს წარმოადგენენ და მათ მიზანს რაც შეიძლება მეტი მოსაგები შეადგენს.

სასადილოებში ჩვეულებრივ მოსადილეთათვის მზადდება უვარგისი კერძი, ისიც მცირე რაოდენობით. სასადილოებში ვაჭრობა ცხოველდება საღამოობით და ღამით.

ერთი სიტყვით კოოპერატიულ სასადილოებს მხოლოდ აბრები აქვთ შეცვლილი, ისე კი ისინი არაფრით განსხვავდებიან ძველებურ რესტორნებისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე თანამშრომლების ექსპლოატაცია. მათ ხშირად ამუშავებენ 14—16 საათს, არ აძლევენ გამოსასვლელ დღეებს, სპეცტანისამოსს, რის გამო ისინი საქმეს გულგრილად ეკიდებიან და ზოგჯერ მომხმარებლებსაც უხეშათ ეპყრობიან.

ამასთანავე სასადილოებში უსუფთაობა აიხსნება იმავე „გამდიდრების" სურვილით და იმ გარემოებით, რომ სასადილოებში ისევ მოკალათებულნი არიან ძველი მიკიტნები და უცხო პირები.

ამ დეფექტების გამოსასწორებლად და საზოგადოებრივი კვების საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად, თათბირმა დაადგინა ყველა სასადილო გადაეცეს მუშკოოპს.

დადგენილების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია.

დახურული სამზარეულოები

წარმოებებთან

დღემდე წარმოებებთან დახურული სამზარეულოებისა და სასადილოების მოწყობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მრავალ მსხვილ წარმოების მუშები ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან საშუალებას წარმოებაშივე ისადილონ, ან სახლში წაიღონ სადილი.

ამის გამო მუშები იძულებულნი არიან ისადილონ საზოგადო სასადილოებში, სადაც იმართება რიგები და ეს გარემოება მათში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

იმ წარმოებებში, სადაც სასადილოებია გახსნილი, მათი უმრავლესობა ვერაა სათანადოთ მოწყობილი. სასადილოები მოთავსებულია ვიწრო და ბნელ ბინებში, არაა დაცული სისუფთავე, არც სანიტარულ-საექიმო ზედამხედველობის საქმეა მოგვარებული.

ეს გარემოება გაითვალისწინა კვების შემოწმების ჩამტარებელ შტაბმა და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა ყველა წარმოებასთან მოეწყოს დახურული სამზარეულო-სასადილოები.

მუშკოოპს დაევალა ეხლავე შეუდგეს მსხვილ წარმოებებთან არსებულ სასადილოების მდგომარეობის გაუმჯობესებას, იმავე დროს იმ წარმოებებთან, სადაც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია საზოგადოებრივი კვების საქმე, მოაწყოს სასადილოები. მოეწყობა აგრეთვე დახურული სამზარეულოები, საიდანაც მუშა-მოსამსახურეების ოჯახებს შეეძლებათ შეღავათიან ფასებში სადი სადილები წაიღონ სახლში.

პირველ რიგში დახურული სამზარეულო-სასადილოები გაიხსნება ტყავ-ტრესტის ქარხნებთან, კალინინის სახ. ქარხანასთან, „26 კომუნარის" სახ. ქარხანასთან, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და სხვ.

ახალი სამზარეულო-სასადილოების მოწყობა და არსებულ სასადილოების გაუმჯობესება უნდა დამთავრდეს თვენახევრის განმავლობაში. წარმოებებთან არსებული ყველა სამზარეულო-სასადილო, როგორც საზოგადო სასადილოები, იქნება მუშკოოპის განკარგულებაში.

სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა იკისროს

საზოგადოებრივი კვების მოწესრიგება ტრანსპორტზე

[illegible] გზათა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გადასცეს სამომხმარებლო კოოპერაციას კვების საქმე ტრანსპორტზე.

ადგილზე ეს საქმე ეკისრება მუშათა კოოპერაციას, რის გამოც უკანასკნელმა ეხლავე უნდა მიიღოს სატრანსპორტო კოოპერაციისაგან ბუფეტები, ვაგონი-რესტორანები და სხვა.

ტრანსპორტზე საზოგადოებრივი კვების საქმის გასაუმჯობესებლად გადაწყვეტილია [illegible] კოოპერაციას და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს სურსათ-სანოვაგის გადასაზიდი ხარჯები რკინის გზებზე. ამავე მიზნით კომისარიატი გადასცემს შესაფერ თანხებს.

მატარებლებში უცხოელებისათვის სამსახურის გასაწევად „ცენტროსოიუზის" მუშათა კოოპერაციის სექციას მიცემული აქვთ წინადადება მოაწყოს გერმანულ და ინგლისურ ენების კურსები ვაგონ-რესტორანებში მომუშავე ოფიციანტებისათვის.

ქრონიკა

1 და 2 მაისი უქმეა

შრომის სახ. კომისარიატის განმარტებით მუშათა საერთაშორისო დღე—1 და 2 მაისი გამოცხადებულია უქმით. ამ დღეებს უქმობს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასული წარმოება-დაწესებულებებიც.

პროფ. სპ. ვირსალაძის სახელობის ინსტიტუტი

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, საქართველოს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტს ეწოდა პროფ. სპ. ვირსალაძის სახელობის ინსტიტუტი. სახკომსაბჭომ აგრეთვე დაადგინა პროფესორ ვირსალაძის ორ შვილს დაენიშნოს სტიპენდია სასწავლებლის დამთავრებამდე.

სოფდაზღვევის კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნა

სოფდაზღვევის მთ. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ჯავაირა ხუფულაშვილი, მის მოადგილედ ამხ. თუშიშვილი.

საბავშო მოედნები კოლმეურნეობებთან

განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მსხვილ კოლმეურნეობებთან საბავშო მოედნების მოწყობას.

რამდენი კაცი მიიღება უმაღლეს და ტეხნიკურ სასწავლებლებში

განათლების კომისარიატის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით, მომავალ სასწავლო წელში უმაღლეს სასწავლებლებში სულ მიღებული იქნება 4.600 კაცი, მუშფაკებში—1.600, ხოლო ტეხნიკუმებში—5.560 კაცი.

განუწყვეტელი საწარმოო კვირა სკოლებში

განათლების კომისარიატი ამ დღეებში იწვევს სპეციალურ თათბირს, რომლის მიზანია გამოარკვიოს, თუ რა შედეგები მოყვა სკოლებში განუწყვეტელ საწარმოო კვირის შემოღებას, ან რა დაბრკოლებებს აქვს ადგილი. თათბირზე მოწვეულნი არიან 1 და 2 საფეხურის შრომის სკოლების გამგეები.

თბილისის აღმასკომში

◆ ძეგვის კირის ქარხნის ასაგებათ ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადაეცა 70.000 მ.

◆ ქარხანა „ხის ნაწარმი"-ს გასაფართოებლად და რეკონსტრუქციისათვის გადაიდო 50.000 მანეთი.

◆ თბ. ელექტრო-მექანიკურ ქარხნის მოწყობილობათა გასაუმჯობესებლად და გასაკეთებლად კომუნალურ ბანკიდან გამოთხოვილია 100.000 მან.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში

◆ ახალი საავადმყოფო. სოფ. მარანში (სენაკის მაზრა) დამთავრდა 100 საწოლიანი საავადმყოფოს აგება.

◆ სამხრეთ-ოსეთში ღარიბებს გლეხებზე და მოწაფეებზე უფასო წამლების გასაცემად ჯანსახკომი ყოველთვიურად ხარჯავს 1.000 მან.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ ექიმები სოფლად. შრომის კომისარიატთან არსებული მთავრობის კომისია სოფლად აგზავნის 61 ექიმს.

◆ ქალები წარმოებებში. შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა გამოარკვიოს წარმოებებში ქალების ჩაბმის საქმე და მათი შრომის პირობები.

◆ მუშებისათვის სპეცტანისამოსის თავის დროზე დარიგების და ამ მიზნით შესაფერ ღონისძიებების მისაღებად შრომის კომისარიატთან დაარსდა ცალკე კომისია.

სხვადასხვა

◆ სახ. სამ. ინსტიტუტში დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ზოოტეხნიკური ფაკულტეტის სამეცნიერო აგრონომიული წრის გაფართოებული კრება. ამავე ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტებთან ერთად.

◆ საქ. ს. პ. ი. მელითოეთა კავშირის წევრები უნდა გატარდენ აღრიცხვაზე 15-დან 25 აპრილამდე. ვინც აღრიცხვას არ გაივლის, მექანიკურად იქნება გამორიცხული კავშირიდან.

—:—

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების საკითხები კოლმეურნეობებში გვ. 44. ფასი 15 კაპ., კ. ხოფერია—დათესეთ სოია. გვერდი 12, ფასი 10 კაპ., ი. უბშლიხტი—საბჭოთა საზოგადოებრიობა და თავდაცვის საქმე. გვერდი 4, ფასი 5 კაპ., ა. დიაკოვი—კომკავშირი ცრუკოლმეურნეობათა წინააღმდეგ. გვერდი 8, ფასი 5 კაპ., ი. ვარეიკისი—ძროხების, ღორების, ცხვრების, შინაური ფრინველის და სამოსახლო მიწების შესახებ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ფასი 2 კაპ., საკავშირო კომპ. (ბ) ცეკას დადგენილება საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. გვერდი 8, ფასი 2 კაპ., ჟურნ. „პროლეტ. მწერლობა" №3. გვერდი 144. ფასი 50 კაპ., ა. ინწკირველი—კოლმეურნეობათა ანგარიშწარმოება. გვ. 148. ფასი 1 მან., ჟურნ. „ოქტომბრელი" № 3. ცალკე ნომერი 5 კაპ., შ. მამალაძე—პოლიტმომზადება მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, გვ. 60, ფ. 60 კაპ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

რეჟისორ პუდოვკინის მოხსენება

21 აპრილს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება კინო-რეჟისორ ვ. პუდოვკინის ფასიანი მოხსენება: „კინო ჩვენში და უცხოეთში". მოხსენებას აწყობს ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია.

ჭიათურის მუშათა თეატრის გასტროლები

დღეს, თბილისის მუშათა თეატრში (ყოფ. სახალხო სახლში) დაიწყება ჭიათურის პირველი მუშათა თეატრის გასტროლები. 16—17 აპრილს წარმოდგენილი იქნება „ბრაზი", 18 19 აპრილს—გ. ბაბისკირიას პიესა „ზღვაური", 20—21 აპრილს—„პროტექცია", 22—23—„ზეინკალი", 24—25 აპრილს—„მგლის ბილიკი". დასს ხელმძღვანელობს პ. ფრანგიშვილი.

დასში შედის 45 კაცი. დასს ჩამოტანილი აქვს საკუთარი ბუტაფორია და დეკორაციები.

სასამართლო

ვინ უტეხდა სახელს კოლექტივიზაციის იდეას

უკვე სამი წლის სტაჟი ჰქონდა ს. ზემო-მაჩხაანის (კახეთის ოლქი) სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს, როცა მას სათავეში ჩაუდგა ლადო ნოდარისძე ჯამასპიშვილი.

გლეხობა განსაკუთრებული ხალისით და აღფრთოვანებით მუშაობდა მანამდე, მაგრამ ჯამასპიშვილის „ხელმძღვანელობამ" მათ ყოველგვარი მუშაობის ხალისი დაუკარგა და აი რატომ:

მოგვიანებით წამოდგებოდა კოლექტივის თავმჯდომარე ლოგინიდან. ისაუზმებდა ლოზათისად და ვაი გლეხების ბრალი, რომ შეკაზმული ცხენი არ ყოფილიყო სახლის წინ მიმზმული. გამობრძანდებოდა თავმჯდომარე, უნდა მიერთმიათ მისთვის ცხენი. ცალი უზანგი ხელით უნდა დაეჭირათ კოლექტივის წევრებს, რომ ჯამასპიშვილი არ შეწუხებულიყო ცხენზე დაჯდომის დროს.

თვითონ წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა კოლექტიურ მეურნეობას „ცხენიდან ხელმძღვანელობის" წყალობით. კოლექტივი ღონდებოდა სულს. მას თანდათან სცილდებოდნენ წევრები, მაგრამ სცილდებოდნენ გაბედული გლეხები, ისინი კი, ვინც ტერორის ქვეშ ჰყავდა ჯამასპიშვილს, გულში იკლავდნენ დარდს და ძალას ემორჩილებოდნენ.

უკანასკნელად ჯამასპიშვილის მიერ დაჯაბრებულმა გლეხებმა საკითხი პირდაპირ დასვეს: „ან ჩვენ, ან ჯამასპიშვილი". გლეხები გავიდნენ კოლექტივიდან და მოითხოვეს ანგარიშის გასწორება.

კოლექტივის წარმომადგენლები გაემგზავრენ ქვემო-მაჩხაანში, სადაც სოფლის საბჭოსათვის უნდა მოეხსენებიათ კოლექტივის ხელმძღვანელის მთელი „საქმეთ", მათ დაედევნა ჯამასპიშვილი, რომელსაც თან ახლდა მისი შეიარაღებული „მცველები". ეს ხდება 17 მარტს.

— თქვენ კოლექტივიზაციის მტრები ხართ — მიაძახა ჯამასპიშვილმა გლეხებს და ერთ მათგანს თოფის კონდახი გადაარტყა ზურგზე.

ჯამასპიშვილის მხლებით აღშფოთებულმა გლეხებმა სტაცეს ხელი ჯამასპიშვილს, გადმოსვეს ცხენიდან და განაიარაღეს. გლეხებმა განაიარაღეს მისი მხლებლებიც და გამოისტუმრეს.

ჯამასპიშვილმა კაცი აფრინა ზემო-მაჩხაანის საბჭოში, სადაც შესთვალა: „კულაკები აჯანყებულნი, გამოგვიგზავნეთ დასახმარებლად კომუნარები".

საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა გიორგი ნატროშვილმა დაიჯერა ეს ამბავი, გამოჰყო კომუნარების რაზმი და გაგზავნა.

გლეხები კომუნარებმა ვერ ნახეს, სამაგიეროდ დააპატიმრეს ბებერი ქალი ბაბე ქადაგიძე, ფეხმძიმე ქალები და ბავშვები.

საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნატროშვილმა, რომელსაც მიუყვანეს ასეთი „აჯანყებული კულაკები", გასცა ბრძანება მათი დაპატიმრების შესახებ და თანახმად ბრძანებისა ისინი მოთავსებულ იქნენ თაკლაში.

ასეთ აღმაშფოთებელ უმსგავსოებას არ შეურიგდნენ გლეხები, მათ გაგზავნეს ხალხი სიღნაღში, რომ რაიონის ხელისუფლებისათვის გაეცნობებიათ ეს ამბავი, მაგრამ ჯამასპიშვილმა აქაც გადაუჭრა მათ გზა, სასწრაფოდ აცნობა სიღნაღის ხელისუფლებას: „შეიარაღებული კულაკები მოდიან და დაუხვდით".

სიღნაღის ხელისუფლებამაც გაგზავნა რაზმი, მაგრამ „შეიარაღებულ კულაკების" მაგიერ, ნახეს ღარიბი გლეხები, რომლებიც თავის „ხელმძღვანელზე" სჩიოდნენ.

ჯამასპიშვილი და ნატროშვილი გაასამართლა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესიამ ამხ. ზოცვაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ვ. კაკაბაძის მონაწილეობით.

ჯამასპიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და 6 თვით, მკაცრი იზოლიაციით და 3 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა, ნატროშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

ვერ.

ლენინის სახ. ტყავის ქარხანა. დამკვრელი მუშა-ქალი მანქანასთან

თბილისის ზოოპარკის მოწყობა

თბილისის ზოოლოგიური პარკის გასაფართოებელი სამუშაოები გაცხოველებული ენერგიით სწარმოებს. პარკში ჯერ-ჯერობით მნახველთათვის გახსნილია მხოლოდ სამეურნეო ეზო, სადაც მოთავსებული არიან ყველა ცხოველები. ამავე დროს ზოოპარკისათვის უკვე შეძენილია ტროპიკული ცხოველებისა და სხვადასხვა ნადირის დიდი პარტია. ახლო ხანში ყველა ახლად შეძენილი ცხოველები ჩამოყვანილი იქნებიან თბილისში.

ამის გამო ზოოპარკის ადმინისტრაცია შეუდგა ცხოველების სამყოფ ბაღების სასწრაფო გაშენებას. უკვე დაწყებულია ახალი ნერგების დარგვა და ტროპიკულ მცენარეებისათვის შესაფერისი კუთხეების მოწყობა. მიწადმოქმედების კომისარიატმა, მთავარმა საკურორტო სამმართველომ და თბილისის აღმასკომის კულტურის სექციამ ზოოპარკს უფასოთ დაუთმეს საჭირო ნერგეულობა.

ბაღების გაშენებისთანავე დაიწყება შეძენილი ცხოველების პარკში გადაყვანა. ნაწილი ცხოველებისა ამჟამად იმყოფება ბათომში, ხოლო მეორე ნაწილი მოთავსებულია თბილისის სამხეცეში.

პატარა ჯეირნები

თბილისის ზოოპარკმა ჩაატარა საყურადღებო ცდა გარეული ჯეირანისა და შინაური თხის ურთიერთი დაგრილებისაგან ნაყოფის მისაღებათ. აღსანიშნავია, რომ ზოოლოგიურ პარკებში თითქმის არსად არ მოიპოვება დედალ-მამალი ჯეირანი, რომელიც ცნობილია მხოლოდ საქართველოს მთებში და აქაც ეს ცხოველი თითქმის უკვე გადაშენებულია.

ცდების შემდეგ ზოოპარკში შინაურმა თხებმა დაბადეს შესანიშნავი გარეგნობის პატარა ჯეირნები, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან მათი ველური მამისაგან.

თევზით მოიწამლა 22 კაცი

გორი, 15 აპრილი, (საკ. კორ.) კვირას, 13 აპრილს, სოფელ შინდისში, (გორის ოლქი) ლექსო თათრიშვილმა „მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად" მეზობლებს დაურიგა ცხინვალში ნაყიდი თითო ნაჭერი თევზი. თევზით მოიწამლა 22 კაცი, რომელთაგან 4 უკვე გარდაიცვალა, ხოლო 4 მძიმე მდგომარეობაშია.

საქ. სახკინმრეწვში

„900 მეტრიან ტალღაზე"

რეჟ. ლ. პუშმა დაამთავრა კინო-სურათის გადაღება ხევსურეთის ცხოვრებიდან. სცენარი შ. ხუციკვაძის და ი. პუშის. ოპერატორი ვ. პოზნანი. მთავარ როლებში: რიმა მჭედლიძე, ლელიკო ხოტივარი და საშა წითლიძე.

„გაახილე თვალი"

რეჟ. მ. კალატოზიშვილმა დაამთავრა კინო-სურათის გადაღება სვანეთის ცხოვრებიდან. სცენარი ს. ტრეტიაკოვის. ოპერატორი შ. გეგელაშვილი. მთავარ როლებში: ხ. ფალავანდიშვილი, ს. ჯალიაშვილი და ელენე ცხაკაია.

„მამობილი"

რეჟ. გ. ლომიძე იღებს კინო-სურათს ქალაქის მუშათა ცხოვრებიდან. სცენარი ვ. შკლოვსკისა და გ. მდივანის. ოპერატორი ა. კაზანსკი. მთავარ როლებში: თ. მაჭავარიანი, ბაქრაძე და დაგუროვი.

„ხაბარდა"

რეჟ. მიხ. ჭიაურელი იღებს კინო-სურათს ქართველ ინტელიგენციის ცხოვრებიდან ძველი და ახალი თბილისის შეჯახების ფონზე. სცენარი ს. ტრეტიაკოვისა და მ. ჭიაურელის. ოპერატორი ა. დიღმელი. მთავარ როლებში: ს. ზავრიევი, პ. ჭყონია, ო. ვაჩნაძე და ასათიანი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

„გაურა"

რეჟ. გ. მაკაროვი იღებს კინო-სურათს მუშათა საოჯახო ყოფა-ცხოვრებიდან. სცენარი პ. მორსკოისა ფელეტონისტების ვ. როგოვსკის და ა. პიტერსკის თემის მიხედვით, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი. მთავარ როლებში: ალექსანდრა თოიძე, კირილე მაჭარაძე და სანდრო ჯალიაშვილი.

„ამერიკანკა"

რეჟ. ლეო ესაკია მოსკოვში იღებს კინო-სურათს ბოლშევიკური არალეგალური სტამბის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ეპოქიდან. სცენარი გიორგი სტურუასი. ოპერატორი ს. ზაბოზლაევი. სურათის გამოშვება განზრახულია 1905 წლის რევოლუციის 25 წლის იუბილესათვის.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი 16 აპრილი

დღეს, დილის 9 საათიდან 10 ს. 30 წ. ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე", რომელსაც აწყობს საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორი. პროგრამაშია—ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 10 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება:

17 ს.—17 ს. 55 წუთამდე—მუსიკა ნასადილევს; 17 ს.-55 წ.—18 ს. 25 წ.—ოქტომბრელის საათი რუსულ ენაზე; 18 ს.-25 წ.—19 ს.-5 წ.—რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 19 ს.-5 წ.—19 ს.-30—დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი, ლექცია ფინანსების შესახებ ქართულ ენაზე; დროის შემოწმება; 20 ს.—20 ს. 20 წუთამდე—საუბარი—„როგორ წარმოიშვა ქრისტიანობა რუსეთა შორის" ქართულ ენაზე; 20 ს. 20 წ.—21 საათამდე—რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობების გადაცემა; 21 ს. 10 წ.—23 ს. 40 წ.—კონცერტი ისტორიული ციკლიდან—„მუსორგსკი", ანტრაქტებში რეკლამის გადაცემა; 23 ს. 40 წ.—24 საათამდე—უკანასკნელი ამბები.

რკინის გზებზე

მზადება ტვირთზიდვის გაზაფხულის სეზონისათვის

ყოველ გაზაფხულზე რკინის გზების მუშაობას საგრძნობი გაცხოველება ემჩნევა, რაც გამოწვეულია სააღმშენებლო მუშაობის დაწყების გამო. ამ დროს ძლიერდება სააღმშენებლო მასალების გადაზიდვა. ამასთანავე თვალსაჩინოთ დიდდება დანარჩენ ტვირთების ზიდვაც.

გაძლიერებული ტვირთზიდვის უზრუნველყოფის მიზნით რკინისგზები წინასწარ ატარებენ მოსამზადებელ მუშაობას. ამზადებენ მოძრავ შემადგენლობას, საწყობებს, საქონლის დასაწყობ ეზოებს და სხვ.

წელსაც დაწყებულია ასეთი მზადება გაზაფხულის ტვირთზიდვის სეზონისათვის. რკინის გზების გამგეობებს დავალებული აქვთ, მიმდინარე სააღმშენებლო სეზონში მთლიანად შეასრულონ გზებზე საჭირო საწყობების აღმშენებლობის პროგრამა.

ამასთანავე გზებმა უნდა წარუდგინონ გზათა სახალხო კომისარიატს თავისი მოთხოვნილებები თანხებზე საწყობების გაფართოებისა და ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობებისათვის.

სეზონის დადგომისათვის ახალ საწყობების აგების და არსებულების გადაკეთების ყველა სამუშაოები უნდა დამთავრდეს.

გზის მუშაკების თავაშვებულობის ნიმუში

გუშინ ბაქოს მეორე სადგურიდან შავი ქალაქის მიმართულებით წავიდა მაზუთით სავსე სამი ცისტერნა. ეს გამოიწვია სამანევრო ორთქლმავლის ცისტერნებზე გაუფრთხილებლად დაჯახებამ.

კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით ერთმა მუშამ განზრახ გადაიყვანა ისარი მოძრავ ცისტერნების ქვეშ. ამის გამო ცისტერნები გადავარდნენ ლიანდაგიდან და დაიმტვრენ.

სწარმოებს ამ შემთხვევის დამნაშავე პირთა ვინაობის გამორკვევა.

წერილი რედ. მიმართ

მიმდინარე წლის 22 მარტს გაზეთ „კომუნისტ"-ში მოთავსებული იყო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წერილი სანიტარული დასის ხელმძღვანელ სინო წერეთლის შესახებ. ს. წერეთელმა დროზე ვერ მოაწოდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ცნობები სანიტდასის მუშაობაზე. ამის გამო გაუქმებულად ვაცხადებდით იმ მანდატს, რომელიც მიცემული ჰქონდა წერეთელს, როგორც სანიტდასის ხელმძღვანელს, ჯანსახკომის მიერ.

ამჟამად ჯანსახკომი გაეცნო ს. წერეთლის მიერ წარმოდგენილ ყველა ცნობებს და საჭიროდ სცნობს აღნიშნოს, რომ სანიტდასმა ს. წერეთლის ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დიდი სასარგებლო მუშაობა ჩაატარა.

ჯანსახკ. მოადგილე **ი. ფრანგულიანი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ა.-წ. 10 აპრილს მოწვეული ქალების რაიონის ხელდელეგატთა კრებების კონფერენცია, ხელმძღვანელებთან, ფაბქარხადგილკომებთან და უჯრედის ბიუროს წევრებთან ერთად, მოწვეულთა უმრავლესობის გამოუცხადებლობის გამო, გადადებულ იქნა.

ქალაქის რაიკომი კატეგორიულ წინადადებას იძლევა კომკავშირის მდივნის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ — გამოცხადდეს უჯრედის სხდომაზე, რომ აღნიშნული კონფერენცია მეორეთ მოწვეულია 16 აპრილს, საღამოს 6 საათზე, „თელასის" წითელ კუთხეში (თავისუფლების მოედანი, ქარვასლის შენობა).

—:—

ლენინის რაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 16 აპრილს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია თბ. საბჭოს საანგარიშო კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ ვაგონების შემკეთებელი ქარხნის, დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები.

—:—

საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ივანე ბერიკაშვილს გამოცხადდეს სამი დღის განმავლობაში საკონტროლო კომისიაში ამხ. მეგრელიშვილთან.

17 აპრილს, საღამოს 6 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოწვეულია თბ. საბჭოს საანგარიშო კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ „სამშენის", მაუდის ქარხნის, ავეჯის ქარხნის, რკინის გზის სტამბის და საბაჟოს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები.

—:—

17 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოწვეულია თბილისის საბჭოს საანგარიშო კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ: „ზაკტოპის" გამგეობის, დამცველი რაზმის, რკ. გზის პოლიტსამმართველოს, [illegible] სახელოსნოს, საგზაო პროფგანათლების, რკინისგზის საავადმყოფოს, რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილების, შრ-3-ის, საშემოსავლო დარგის, განათლების მუშაკთა კავშირის, „ზაკტოპის" გარაჟის, ლურსმანის ქარხნის, ხისნაწარმის, სახკინმრეწვის, რკინისგზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები.

—:—

18 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქონლის სადგურის წითელ კუთხის დარბაზში მოწვეულია საბჭოს საანგარიშო კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ: საქონლის სადგურის, მტვირთავების, მო-2-ის, პრ-6-ის და მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 სეზონი

ოთხშაბათს, 16 აპრილს, მე-7 აბონემ. მე-14 წარმ. მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერის დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით **დემონი**

ხუთშაბათს, 17 აპრილს მე-7 აბონემ. მე-15 წარმ. უკანასკნელად **შოთა რუსთაველი**

ანონსი: ამ დღეებში **აბესალომ და ეთერი**, ახალი დადგმა.

ნ. 622

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — პოლა ნეგრი ახალ მხატვრულ სურათში **მეხვეწეავი მ ვთული**

რ. ლუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — მხატვრული ფილმი **მსოფლიო ჩემპიონი** ბილ კოდის და ო. ხეხოვას მონაწილეობ.

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — დადგმის მეორე კვირა **ზელიმხანი** მთავარ როლებში: ლ. ბესტაევის, ნ. ხანოვი, თინა მაჭავარიანი

პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — პრემიერა **ცეცხლის ტრანსპორტი** ქსენია კლიაროს, გ. კუზნეცოვის მონაწ.

სპარტაკი ყოფ. არფახტო — მხატვრული ფილმი **რატომ ასე?** პროგრამის გარდა როდის მოვლენ ტურისტები.

დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — მარჩელა ალბანი და ვერნერ კრაუსი სურათში **კულისებს იქით**

მიღებულია
მხატვრული ფილმი
ძია თომას ქოხი
ბიჩერ სტოუს
ცნობილი რომანის მიხედვით
მალე
კინო-თეატრებში

ამ დღეებში:

რ. ლუქსემბურგის სახ. კინოში (ყოფ. მინიონი) — **ფაიუმი** — რეჟისორი [illegible]

კინო-სპარტაკში (ყოფ. არფახტო) — **დამსხვრეული ღმერთები** — რეჟისორი [illegible]

სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
კლინიკაში
ოდონტოლოგიურ
ინსტიტუტში
(პლეხანოვის პრ. № 126)
დაიწყო ავადმყოფების მიღება
საღამოს საათებში
შეღავათიან ფასებში.
4—6-მდე კბილების მკურნალობა.
6—8-მდე ხელოვნ. კბილების ჩასმა.
25—3 818

თბილისის მუშათა თეატრი (ყოფ. სახალ. სახლი)

ჭიათურის მუშათა 1-ლი თეატრის გასტროლები

აპრილის 16—17 ს. შანშიაშვილი ბრაზი.
„ 18—19 გ. ბაბისკირია ზღვაური.
„ 20—21 ს. შანშიაშვილი პროტექცია.
„ 22—23 ია ეკალაძე—ზეინკალი
„ 24 25 აფინოგენოვ—„მგლის ბილიკი".

სამხატვრო ნაწილის გამგე-რეჟისორი—პავლე ფრანგიშვილი.
ბილეთების ფასი 2 მ-დან 3 კ-მდე. დასაწყ. საღ. სრულ 8-სახ. ს.
2104 თეატრის დირექტორი ბიტოლი ლეჟავა.

თბილისის ტელეფონის ქსელის გადაკეთების ხელმძღვანელი კანტორა **იძლევა**
ქუჩების მოკირწყვლის და ქვაფენილების დაგების სამუშაოებს, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნას მიწის ქვეშა კანალიზაციის გაყვანის შემდეგ. განცხადებები მიიღება 20 აპრილამდე, მისამართით: თბილისი, კლარა ცეტკინის ქ. № 93.
ნ. 631 ტელეფონი № 18—73.

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8), ამით აცხადებს, რომ კვირას, 20 აპრილს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 630

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— ინვალიდ. მოწმ. № 1153—პლატონ ყარამანის-ძე ტატიშვილის სახ. 2096
— 9-წლედის დამთ. მოწმ. № 190, გაცემ. ქუთაისის მე-6 9-წლ. მიერ—ივანე გრიგორის-ძე ჯულელის სახელზე. 2097
— სამხ. აღრ. წიგნ. შაქრო ფალავანდიშვილის სახელზე. 2115
— პურის წიგნ. ლიტერი „გ"—გვიორგი ნიკოლოზის-ძე ცაგარეიშვილის სახელზე. 2102
— სამხ. აღრიც. ბარათი № 54—ვანო მერებაშვილის სახელზე. 2106
— პურის წიგნ.—ალექსანდრა გიორგის ასულ ლომიძის სახელზე. 2107

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54. ხანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.
საავადმყოფოს განყოფილებები:
ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ღამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხატიაძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.
პოლიკლინიკა:
ხუმოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს. 1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვესელეზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩაკიანი 3—5 საათამდე.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—3 საათამდე.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე.
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინეტი 11—1 ს. და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4 6 საათ.
იმავე კაბინეტში კონსულტანტათ პროფ. ბურგსდორფი.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. ღიიღებს პროფესორი ს. ყიფშიძე 3—4
თერაპევტიულ კაბინეტში პროფ. შ. მიქელაძე 2—3 საათ. სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი.
„ პროფ. მ. წინამძღვარიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. პონდოევი 3—5 საათამდე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავებთა დავადებათა ექ. ი. მეტრეველი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ . ერთი მან.
0 27

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილისა და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამ და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ლოგოპედი ა. ა. პაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი, შეხსმა „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქე ობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას სქე ობრივი ტ] ღოას ტაიია), ჰსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიხის ქ. № 1. აღმაშენებლის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჟამლას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 20—66. 25—1

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვახერის ქ. (ყ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე) 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მახაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი აცნობებს თავის წევრებს პოეტ
ვლადიმერ მაიაკოვსკის
ტრაგიკულ გარდაცვალებას. 2103

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობა და ჟურნ. „პროლეტარული მწერლობის" რედაქცია აცნობებს პროლეტარულ საზოგადოებრიობას რევოლიუციონერი პოეტის, რუს. პრ. მწერ. ასოციაციის წევრის
ვლადიმერ მაიაკოვსკის
ტრაგიკულ გარდაცვალებას. 2104

თბილისის მე-14 შრ. სკოლის მე-10 ჯგუფის მოწაფეობა და ხელმძღვანელი ღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საუკეთესო ამხანაგის
თინა აბდუშელიშვილის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. (ს)

თავზარდაცემული მშობლები: სერგო და ვარინკა, და მადონა, ბაბუა სარიდანი, ბებია ეგრასტი, ბიძები: პროფესორი გიორგი, ვალერიანე (ვალიკო) და ქუჩუკი (სიმონი) ახვლედიანები, პეტრე ქვანია, პარმენ გამიძაშვილი, მამიდები: თამარი (თალიკო), ანასტასია (პასიკო), და კალინა (კაკია) ახვლედიანები, დეიდა მელანა დადიანი, ბიცოლები: პაშა, ლიუბა და ფაცაცა, ბიძაშვილები: ელიკო, ნინა, ატუნია, იულია, ვალერი, სარიდონი, ნოდარი და ბესიკი ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ უდროოდ დაგველუპა საყვარელი
ლამარა ახვლედიანი
გამოსვენება თბილისის 1-ლ საავადმყოფოს პროსპექტ. (ყოფ. არამიანცი) 4 ნახ. საათ. პარასკევს, 18 აპრილს. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (ს)

თბილისის პედაგოგიური სადგურის საბავშო კერის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, ამავე კერის ბავშვის
პატარა ლამარა
ახვლედიანის უდროოდ გარდაცვალებას. 2099

თბილისის პედაგოგიური სადგურის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ამავე სადგურის თანამშრომლის სერგო ახვლედიანის
პატარა ლამარას
უდროოდ გარდაცვალებას. 2100

მშობლები: იაკობა და ვერა ბოკუჩავა, მულები: პაშა ბოლქვაძისა და ნინა რამიშვილისა, მაზლები: ირაკლი და ვალოდია ბოკუჩავა, რძალი თამარა ბოკუჩავასი, სიძეები: სამსონ ბოლქვაძე და მიშა რამიშვილი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, მათთვის საყვარელი და გულითად მეგობრის
ლიპა ბოკუჩავას (თურქია)
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, მერკვილაძის ქ. № 31 (ყოფ. რეუტოვის). 2101

საქ. სახვაჭრობის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი თანამშრომლის კონსტანტინე ბოკუჩავას მეუღლის
ლიპა ს'ველის ასული ბოკუჩავას
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (რეუტოვის ქ. № 31) დღეს, 16 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2095

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გერასიმე, შვილიძე ქალიშვილი ვერა, სიძე ერ ილი ჩიგოგიძეები შვილებით: ლილი და ლიათი ვაუწყებთ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე, დედა, სიდედრი და ბებია
სალომე როსტომის ასული
გახტაძე-შველიძისა
დაკრძალვა მოხდება ქალაქ ხონში, შაბათს 19 აპრილს, დღის 4 საათზე ქარჩხაძის სასაფლაოზე. ნ. 635

სტალინისის რაიაღმასკომის და რაიკოლმეურნეობათა კავშირის გამგეობა ამით უწყებენ საზოგადოებას, რომ სოფელ წითელ ოქტომბერში (ძლევისჯვარი) 13 აპრილს, ტრაგიკულად მოკლულ იქნა ამავე სოფლის არტელის გამგეობის აქტიური წევრი
ილია (ჯუგო) ვასილის-ძე
თადელაშვილი
დაკრძ. მოხდება 16 აპრ., ნაშუადღ. 3 ს. იმავე სოფელში ნ. 634

სამუდამოთ გაუბედურებული დედა ელენე, მამა ყარამანი, მეუღლე ნატალია შვილები თეია და მიშათი იუწყებიან, რომ ხვალ, 17 აპრილს, 5 საათზე დიდუბის პანთეონში, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ მედიცინის დოქტორის, სახ. უნივ. პრივატ-დოცენტის
ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძეს
ხსოვნის აღსანიშნავათ. 2095

ტირაჟი—55.193

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 604